CMYK



## Cemo TanamebrZolebo!

### ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს!

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ საკუთარი მომავლისთვის, ჩვენი შვილების მომავლისთვის!
ჩვენი სამშობლოსთვის!
ჩვენი საქართველოსთვის!
ჩვენ ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც ველარავინ წაართმევს ხალხს თავის არჩევანს!
ჩვენ ღირსებას დავუბრუნებთ ჩვენს ქვეყანას!
ჩვენ ღირსებას დავუბრუნებთ და გავაერთიანებთ ჩვენს ხალხს!
ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას!



# საერთო გაზეთი

№39 (223) ● 12-18.IX.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



**გოგი თოფაძე:**

## ra moxdeba da rogor moxdeba, ar vici, magram ivaniSvili mova xelisuflebaSi, namdvilad mova!

## demokratiiT datanjuli



მიშას იმიტომ ჰგონია ივანიშვილი ტროცკი, რომ თვითონ არის პატარა სტალინი

**კახა კუკავა:**

## pirdapir vacxadeb, Tu saWiro gaxda, revoluciaSi uyoymanod miviReb monawileobas!

ISSN 2233-3983



**მალხაზ წერეთელი:**

## `WiaTurmanganumis~ xelovnuri gakotreba 12 000 aqcionerisaTvis mouSuSebel Wrilobad darCeba...

**ბალათერ არაბული:**

## სააკაშვილი საქართველოს ქვის ხანაში დაბრუნებას უპირებს...

## luis navaros gamokvlevebi gamokvlevebulTaTvis

## რატომ წყევლის მეუფე იოსები გურულებს?

**გოგი ხუციშვილი:**

## saakaSvils surs Tanamedrove modernizebuli iarliyiT qveynis mmarTvelobaSi feodaluri tipis urCxuli daabrunos

## `makkeiniT varT maked~

„თუ გინდა სითბო და ალერსი, მეგობარს ჩახედე თვალებში“

## zakaevsa da Cvens xelisuflebas Soris berezovski dgas...

# mimarTva zugdidelebs

**ჩემო ძვირფასო ზუგდიდელებო,**

დგება დრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებისა, როდესაც ჩვენ, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე საზოგადოებამ უნდა განვსაზღვროთ ჩვენი ქალაქისა და რაიონის, ჩვენი ქვეყნის ბედი და მომავალი. გადავწყვიტოთ, შევგწევს თუ არა უნარი ვიბრძოლოთ ღირსებისა და სიმართლის დასაცავად.



დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება სიბრძნე, ვაჟკაცობა და გონიერება სწორი არჩევანის გასაკეთებლად. ჩვენ თავად უნდა გადავწყვიტოთ, თუ რა გზას ვირჩევთ: სიცრუისა და სიყალბის, ძალმომრეობისა და აბუჩად აგდების, უუფლებობისა და შიშის, თუ უფლისა და საზოგადოებისაგან ნაკარნახევი ღირსებისა და სიმართლის გზას.

ეს არჩევანი დღეს კეთდება!

ამიტომაც გადავწყვიტე მივმართო და ვთხოვო ყველა ზუგდიდელს, ზუგდიდსა თუ თბილისში მცხოვრებ ყველა ჩემს თანამოქალაქეს — დადექით სიმართლის მხარეს! ეს აუცილებელია ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის, ზუგდიდელებისთვის, ჩემი მეგრელებისთვის, ჭეშმარიტი ქართველებისთვის. არავინ არ უნდა დარჩეს გულგრილი არჩევნების მიმართ. ვინაიდან დღეს გვეძლევა შესაძლებლობა უარი ვთქვათ ძალადობასა და სიყალბეზე და არჩევნების გზით შევცვალოთ ხელისუფლება.

ადამიანი ხომ სამყაროს გვირგვინია, რომელსაც უფლისგან ებოძა თავისუფალი არჩევანის უფლება. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ეს უფლება გამოვიყენოთ, დავიცვათ იგი და არავის მივცეთ შესაძლებლობა მისი ხელყოფისა.

**უკანასკნელი 20 წლის მანძილზე სამეგრელომ სხვა რეგიონებზე მეტად განიცადა ეკონომიკური სიდუხჭირე. ძმათამკვლელი ომი, უსამართლობა. სამეგრელო გალატაკებულ, დაშინებულ და დათრგუნულ რეგიონად გადაიქცა, უმუშევარი მოსახლეობითა და დამწუხრებული, უსიხარულო სახეებით, პატიმართა კატასტროფული რაოდენობით.**

დღეს პოლიტიკაში ყოფნა და საზოგადოებრივი აქტიურობა ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, თითოეული ჩვენთაგანის მოვალეობაა. ეს არის ჩვენი ღირსების საქმე. ჩვენ ყველას ერთად მოგვიწევს შელახული თავმოყვარეობის აღდგენა და არა მხოლოდ დაკარგული ტერიტორიების, არამედ ჩვენი აფხაზი და ოსი ძმების, დების დაბრუნება. „კაცი, რომელიც დღეს განაცხადებს "პოლიტიკა არ მაინტერესებსო", სამწუხაროდ მიამიტად იტყუებს თავს. არავის გვაქვს უფლება ვიყოთ გულგრილი პოლიტიკის, საქართველოში მიმდინარე პროცესების და 1 ოქტომბრის არჩევნების მიმართ. ჩვენი ვალდებულებაა გვქონდეს პოზიცია - დღეს აქაა ჩვენი დიდგორი და ბასიანი.

**როგორც არაერთხელ ყოფილა ქვეყნის ისტორიაში, დღესაც სამეგრელომ უნდა შეასრულოს გამაერთიანებლის როლი! სწორი არჩევანის გაკეთების შემთხვევაში, ზუგდიდს, ზუგდიდის მოსახლეობას შეუძლია შეცვალოს რეჟიმი და ცხოვრების წესი არა მარტო ამ ქალაქში, არამედ მთელ ქვეყანაში.**

ჩემო ზუგდიდელებო, ძმებო და დებო, ერთხელაც გავიხსენოთ ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, როგორ გადავრჩით ისტორიის ულმობელ ქარტეხილებში. ჩვენში კოლხების სისხლი ჩქეფს, იმ ძირძველი კოლხებისა, რომლებმაც თავიანთი ვაჟკაცობით დღემდე მოგვიყვანეს. გავუფრთხილდეთ და ჩავეჭიდოთ ყველაფერს ღირებულს, რომ არ დავიკარგოთ წუთისოფლის მზაკვრულ ლაბირინთებში. დავიცვათ სისხლითა და ოფლით გადარჩენილი სანუკვარი განძი - "ენა, მამული, სარწმუნოება". ჩვენი ერის მფარველი ანგელოზი თავად ზეციური დედოფალი - ყოვლადწმინდა დედა ღვთისმშობელია, რომლის კვართი ზუგდიდში ინახება და რომლითაც ასე ვამაყობთ ზუგდიდელები. ეს დიდ პასუხიმგებლობას გვაკისრებს!

**დღეს ცვლილებების დროა! ამიტომაც ვდგავარ კოალიცია "ქართული ოცნების", ბატონი ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ალასანიას გვერდით. იქ, სადაც ჩემი ადგილია — ჩემი ზუგდიდისა და ზუგდიდელების გვერდით. მჯერა და ვიცი, რომ ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ და არჩევნებით შევცვლით დღევანდელ ხელისუფლებას. შევცვლით იმ უსახურ რეალობას, რომელიც ჩვენ ზუგდიდქალაქში, მთელს ზუგდიდის რაიონში და სრულიად საქართველოშია.**



როგორც ამას წინათ უწმინდესმა და უნეტარესმა ბრძანა : "სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე". მადლობა უფალს ამ დიდი წყალობისათვის. მმდაბალი შიში საბოლოოდ უნდა დაიძლიოს. ჩვენი არჩევანი უნდა იყოს მტკიცე და გაბედული. სიმართლეა ის ძალა, რომელიც შიშს ამარცხებს. დღეს სიმართლე "ქართული ოცნების" მხარესაა.

**მჯერა, ზუგდიდი და სრულიად საქართველო 1 ოქტომბერს ღირსეულ გამარჯვებას მოიპოვებს. მანამდე კი 22 სექტემბერს ზუგდიდში შედგება სამაგალითო საზეიმო შეხვედრა ბატონ ბიძინა ივანიშვილთან და კოალიციის სხვა ლიდერებთან.**

**ყველას გელოდებით, ჩემო გაუტეხელო ზუგდიდელებო!**

**მერაბ ქვარაია**

კოალიცია „ქართული ოცნების“
ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელი

*ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტთან, კოალიცია „ქართული ოცნების“ ვაკის ახალგაზრდული ფრთის წევრთან* ***ირაკლი კალანდიასთან***

**— ირაკლი, რატომ გადაწყვიტე „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანება?**

— ჩემი კურსიდან სულ რამდენიმე ვართ, ვინც ეს გადაწყვეტილება მივიღეთ. იმიტომ, რომ მიგვაჩნია, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ოქტომბრის არჩევნები გვიახლოვდება და ეს არის ბოლო შანსი — საქართველო ან განვითარების სწორ გზას დაადგება, ან დაიღუპება, უნდა შეიცვალოს ყველაფერი.



მე და ჩემი მეგობრები ისე ვართ განწყობილი, რომ არ დავთმობთ ჩვენს არჩევანს და ეს ძალიან მიხარია, თუმცა გული მწყდება, რომ სტუდენტების უმეტესობას, ძირითადად მათ, ვინც რეგიონებიდან არის ჩამოსული ინფორმაცია არ აქვთ და ყველაფერი ისე ჰგონიათ, როგორც სახელისუფლებო ტელევიზიებიდან ხედავენ. აქ, უნივერსიტეტში, მათი ძირითადი „იდეოლოგი“ თვითმმართველობაა, რომელსაც დაჰყავს ესენი ექსკურსიებზე, პოლიტიზებულ შემეცნებით-გასართობ ღონისძიებებს ატარებენ, ათასობით თანხები იხარჯება ისეთ რამეებზე და სტუდენტებს წარმოდგენაც არ აქვთ, რომ ეს მათი სწავლის გადასახადია, მათივე ჯიბეებიდან ამოღებული.

კმაყოფილი არიან, თავისთავად ცხადია, და მერე ისევ ამ თვითმმართველობას ირჩევენ და ვერ ხვდებიან, რა სიტუაციაა ქვეყანაში.

მე სტუდენტურ გაერთიანება „სტუდენტურ ხმაშიც“ ვიყავი. ვიბრძოდით გათავისუფლებულიყო უნივერსიტეტი მართვადი თვითმმართველობისაგან. თვითმმართველობამ რამდენჯერმე მთხოვა გავმხდარიყავი მათი ჯგუფის წევრი, მაგრამ განვუცხადე — მე ვარ „ქართული ოცნების“ წევრი და არ შემიძლია ვიყო თქვენთან, რადგან ვერ მოვითმენ ცალმხრივ პოლიტიკურ პროპაგანდას სტუდენტებში-მეთქი. ვერ მივიღებდი ნაცმოძრაობის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ამას თვითმმართველობის წევრები აკეთებენ. ვერ წავიდოდი, მაგალითად, მაკკეინთან

# samegrelom unda Tqvas yvelaze Tamami sityva...

**— რის შეცვლას გულისხმობთ?**

— ქვეყანაში მასობრივი შიშია გამეფებული. არ უნდა გაგრძელდეს ასე, თუ ასე კიდევ გაგრძელდა, შევეგუებით გაბატონებულ შიშს, მერე უკვე ძალიან გვიანი იქნება.

ამბობენ, კრიმინალი და კორუფცია დავამარცხეთო, კრიმინალი არ არის ის, მე ოფისიდან „ქართული ოცნების“ მაისურით რომ გამოვდივარ და არ ვიცი, სახლში ცოცხალი დავბრუნდები თუ არა?

იცით, თქვენ, ცოტა ხნის წინ დააკავეს „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ჯგუფის წევრი ბექა ჯიქიძე და უკვე მიუსაჯეს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა.

ჩვენ ჩავატარეთ აქცია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, მაგრამ რად გინდა, რეაგირება არ ყოფილა.

**— ის ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს. თქვენ თუ შემთხვევის ადგილზე არ ყოფილხართ, რა იცით, იქნებ იხულიგნა კიდევაც?**

— არა, არა, მე, მართალია, იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი რამ არ იმალება. ბექა „ქართული ოცნების“ მაისურით ყოფილა მეგობართან ერთად. იმ მეგობარს პატარა ჩხუბი მოსვლია და ბექა ჯიქიძე წაუყვანიათ. იქ შეურაცხყოფაც მიუყენებიათ ბექასთვის სამართალდამცავებს.

საქმე ისაა, რომ ვერ ვიტან ტყუილს და თვალთმაქცობას. სანამ პირველ კურსზე ვიყავი, ბიძინა ივანიშვილის ფულით ხდებოდა პირველი კორპუსის რემონტი, ჩვენ მეხუთე კორპუსში ვიყავით, კიბეები ისე იყო მორყეული, ხის ფიცრებით იყო გამაგრებული, სტუდენტებს ერთი სული გვქონდა, როდის გარემონტდებოდა პირველი კორპუსი. ყველა ფიქრობდა, რომ რემონტი უნივერსიტეტის სახსრებით მიდიოდა და არავინ იცოდა, რომ ივანიშვილი აკეთებდა ამას. მერე, როცა გადავედით I კორპუსში, არავის უთქვამს, რომ ივანიშვილის ხელით იყო გალამაზებული იქაურობა.

შეხვედრაზე და ა.შ. არადა ვალდებულნი არიან. თბილისის მერთან შესახვედრად ამას წინათ გრანდიოზული შეხვედრა მოაწყვეს.

ტენდენციური რომ არის ყველაფერი, ეს არ მომწონს. ბიძინა ივანიშვილს რომ უნდოდეს სტუდენტებთან შეხვედრა, ვინ იცის, რა მოხდება. თვითმმართველობა, ალბათ, ხელს კი არ შეუწყობს, პირიქით, შეუშლის.

**ყველაზე მეტად ახლა ვწუხვარ იმაზე, რა მოხდება სამეგრელოში ივანიშვილთან შეხვედრაზე. მე სამეგრელოს შვილი ვარ და ველოდები, რომ სამეგრელომ უნდა თქვას ყველაზე თამამი და გადამწყვეტი სიტყვა. რაც სამეგრელოში ხდება, ეს არაა უბრალო ამბავი, მე ვიტყოდი, ეს არის ფაშიზმის უმაღლესი დონე. პირდაპირ შედიან სახლებში და ეუბნებიან — შვილს დაგიჭერ, მოგიკლავ, თუ არ დაგვიჭერ მხარს და ა.შ. მაგრამ მე იმედი მაქვს და ყველაზე მეტად მინდა ახლა ეს — რეალობამ მოლოდინს გადააჭარბოს, მოვიდეს ძალიან ბევრი ხალხი. არავის არ უნდა შეეშინდეს თუნდაც როლანდ ახალაიასი, სირცხვილია, როცა ამ ადამიანის კანდიდატურას სთავაზობენ ასარჩევად ზუგდიდის მოსახლეობას, თან უპირისპირებენ ირაკლი ალასანიას, არაა ეს ნორმალური სიტუაცია.**

მე ზუგდიდის აქციაზე აუცილებლად წავალ, შევუერთდები მეგრელების პროტესტს ძალადობის და უსამართლობის წინააღმდეგ.

უნდა გავიმარჯვოთ, სხვა გზა არ არის!

**ირანდა კალანდაძე**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# fragmentebi biZina ivaniSvilis gamosvlis teqstidan

## 9 სექტემბრის აქციაზე, თელავში





**დღეს** აქ, პატარა კახის სატახტო ქალაქში, განსაკუთრებული სიმძაფრით ვგრძნობთ კახელი კაცის გაუტეხელ ძალასა და სულიერ სიმტკიცეს, რომელმაც არა ერთხელ იხსნა ქართლკახეთიცა და მთელი საქართველოც სრული ფიზიკური და სულიერი განადგურებისაგან.

სწორედ კახელ კაცს, ბახტრიონის გმირს, საქართველოს უმამაცეს მხედარს, ბიძინა ჩოლოყაშვილს ეკუთვნის შთამომავლობისათვის ანდერძად დანატოვარი სიტყვები:

„...ძმებო, ნუ შევშინდებით, რამეთუ სიკვდილი უნებლიეთ დაბადებიდანვე თან გვახლავს... და რაკი უნდა მოვკვდეთ, ბარემ მოვკვდეთ ქრისტესთვის და საქართველოსთვის“.

**მე ერთხელ** გამოვთქვი ჩემი მოსაზრება ერთერთ ხიდთან დაკავშირებით.

ეს საკაშვილმა ხელზე დაიხვია და ბრალდებები მოაყოლა, რომ მე დამანგრეველი ვარ, თვითონ კი აღმშენებელი. წლების განმავლობაში იმაზე ვზრუნავდი, რომ ჩემი ქვეყნის აღმშენებლობაში მიმეღო მონაწილეობა. და ამაში არაფერია განსაკუთრებული, რადგან ამ ქვეყნის შვილი ვარ და ეს ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა და მიმიჩნია.

რაც მიკეთებია, ყველაფერი თავად მიიწერეს, ყველაფერი, და ახლა გამოლმა მედავებიან, დამანგრეველი ხარო.

როცა რამეს აკეთებ, რაც შეიძლება ჩუმად უნდა აკეთო, უხმაუროდ.

**ქვეყნის** პრეზიდენტი თავის ხალხს განადგურებით არ ემუქრება, კრიმინალს და მტერს არ უწოდებს, ეს არ ხდება არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში.

ეს უნდა დამთავრდეს!

თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, საკაშვილი ცდილობს, ორად გაჰყოს ხალხი და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდოს ერთმანეთს. ამგვარი საშინელი დაპირისპირების უმწარესი გაკვეთილი ოცი წლის წინ მიიღო ჩვენმა ხალხმა, რომელიც, მჯერა, იმდენად დაბრძენებულია, რომ უკვე მსგავსი აღარაფერი მოხდება.

ყველამ თვალნათლივ დაინახა, რომ არც ერთი ხელისუფლება და პოლიტიკური ლიდერი არ ღირს იმად, რომ მისმა მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთი სასიკვდილოდ გაიმეტონ. ამიტომ საკაშვილი, რამდენსაც უნდა ეცადოს, ვერ გახლეჩს ჩვენს ხალხს.

ცოტაც გაუძელით, ხალხო, ერთი თვეც აღარ დარჩა არჩევნებამდე, და გპირდებით, რომ მომავალი რთველი სხვანაირი იქნება.

**მე გამოვნახე** კანონიერი გზა დაზარალებულთა დახმარებისთვის და ის 80-მილიონიანი ჯარიმა, რომელიც სახელმწიფომ უკანონოდ დამაკისრა, გადავრიცხე სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად და ეს ფული აუცილებლად და უკლებლივ უნდა მოხმარებოდა ხალხს!

ხომ ხედავთ თქვენც, რომ ეს თანხაც არ მოვიდა თქვენამდე, რადგან ხელისუფლებამ ისევ საკუთარი მიზნებისთვის სხვადასხვა რეგიონში გადაანაწილა. არადა ეს 80 მილიონი იმის საშულებას იძლეოდა, რომ თითოეულ ოჯახს კომპენსაციის სახით სულ ცოტა 4 ათას 700 ლარი მიეღო!

**ახლა მედავებიან,** თითქოს მასწვალებლებს ვემუქრები და ვაშინებ. არ დაიჯეროთ, ხალხო, პირიქით, ჩემზე მეტი ქომაგი არავინ გეყოლებათ, იცოდეთ!

მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ დღეს ყველაზე უუფლობო და დამცირებული მასწავლებლები არიან. დღეს ხელისუფლება მათგან სრულ მორჩიებას და მსახურებას მოითხოვს, მასწავლებლის უფროსია ყველა - მინისტრი, დირექტორი, მანდატური, ხშირად მშობელიც კი.

მასწავლებლის ავტორიტეტი მთლიანად დაკნინებულია. მასწავლებლებო, ქედს ვიხრი თქვენ წინაშე!

**ვისაც გინდათ,** რომ ჩვენი შვილები კარგ განათლებას ეწაფებოდნენ, კარგი და იაფი სახელმძღვანელოებით სწავლობდნენ, მოდით არჩევნებზე და ხმა მოგვეცით ჩვენ, „ქართულ ოცნებას“!

ვისაც გინდათ, რომ თქვენი და თქვენი ახლობლების ჯანმრთელობა სახელმწიფომ დააზღვიოს, არც წამალი ეძვირებოდეს და არც კარგ საავადმყოფოში მკურნალობა, მოდით და აირჩიეთ „ქართული ოცნება“ და მისი მაჟორიტარობის კანდიდატი.

მათ კი, ვინც ნაციონალურ მოძრაობას შემოხაზავს მაინც, იცოდნენ, რომ როდესაც ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში, მათ არავინ გაუხსენებს ასეთ არჩევანს, და ყოველი სიკეთით, რასაც საქართველოს აღმშენებლობა მოიტანს, ისინიც ისევე ისარგებლებენ, როგორც ყველა დანარჩენი.

ჩვენ ბოლოს მოვუღებთ ხალხის დაყოფას ხელისუფლების მომხრეებად და მოწინააღმდეგებად, ამას გპირდებით!

**ჩემო თანამებრძოლებო!**

**ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს!**

**ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ საკუთარი მომავლისთვის, ჩვენი შვილების მომავლისთვის!**

**ჩვენი სამშობლოსთვის!**

**ჩვენი საქართველოსთვის!**

**ჩვენ ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც ველარავინ წაართმევს ხალხს თავის არჩევანს!**

**ჩვენ ღირსებას დავუბრუნებთ ჩვენს ქვეყანას!**

**ჩვენ ღირსებას დავუბრუნებთ და გავაერთიანებთ ჩვენს ხალხს!**

**ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას!**

**ჩვენ ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც აღარავის დასჭირდება ლუკმაპურის საშოვნელად სამშობლოდან გადახვეწა.**

**საქართველოში დაცული იქნება ადამიანის ყველა უფლება, აზრისა და სიტყვის თავისუფლება;**

**სასამართლო იქნება სამართლიანი, მედია - დამოუკიდებელი, ბიზნესი -ხელშეუხებელი!**

**ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც ჩვენს საამაყო ჯარისკაცებსა და პოლიციელებს მიეცემათ იმის შესაძლებლობა, რომ ღირსეულად ემსახურონ სახელმწიფოს და არა რომელიმე ხელისუფალს!**

**თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ხალხი იცხოვრებს, რომელსაც აღარ ექნება პოლიტიკური დევნის შიში!**

**მე ამას გპირდებით!**



თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

## protestis ufleba, gavigeT, rom ar gvaqvs, magram imis ufleba mainc Tu gvaqvs, rom dagvTvalon?

# ლუის ნავაროს გამოკვლევები გამოკვლევებულთათვის



ლუის ნავარომ აიჩემა, ბიძინა ივანიშვილმა 2 ოქტომბერს ხალხს საპროტესტო გამოსვლებისკენ მოუწოდაო.

არ უთქვამს ეს ბიძინა ივანიშვილს, მან თქვა, თუ არჩევნები გაყალბდება, 2 ოქტომბერს ,,ქართული ოცნების" მხარდამჭერები ქუჩაში გამოვალთ, რომ დაგვთვალონ, თუ რამდენი ვართ სინამდვილეშიო.

ვიმეორებ, არ უხსენებია ივანიშვილს სიტყვა პროტესტი, თუმცა რომც ეხსენებინა, რა, ქართველ ხალხს, თუ მას არჩევნებს უყალბებენ და მის ღირსებას ფეხქვეშ თელავენ, პროტესტის გამოხატვის უფლება არა აქვს?

**ფრანგებს, ბერძნებს, იტალიელებს, არაბებს, ქურთებს, ინგლისელებს უფლება აქვთ პროტესტი გამოთქვან კი არა, თავზე დაამხონ ყველაფერი თავიანთ ულირს ხელისუფლებებს, ქართველებს კი ერთი უწყინარი, მშვიდობიანი პროტესტის უფლებაც არ ჰქონიათ თურმე.**

რატომ, ძმაო, რისი გულისთვის, თორემ კი...

ვის რა დაუშავდება ჩვენი პროტესტით — შეიძლება ერთი — მიშა წადი! დავიძახოთ და სანამ ის წასვლას მოიფიქრებს, ჩვენ თვითონ წავალთ სახლში.

ოთხი თუ ხუთი წელია სულ ვაპროტესტებთ და ვაპროტესტებთ, მაგრამ ვის რა ზიანი მიადგა ამით, ვის რა გაუფუჭდა?

**პროტესტის უფლება, გავიგეთ, რომ არ გვაქვს, მაგრამ იმის უფლება მაინც თუ გვაქვს, დაგვთვალონ?**

— რა დაგთვალონ, კაცო, თქვენ ხომ არ შეიშალეთ, რომ დაგთვალონ, ქუჩაში ხომ უნდა გამოხვიდეთ, ქუჩაში გამოსვლა კი უკვე პროტესტია, — გადაირია ნავარო.

ე.ი. ქუჩაში გამოსვლის უფლებაც არ გვაქვს, ნავარო?

**რა ვარო, რა თქვა ამ ნავარომ?**

**რა ვარო და საზოგადოებრივი აზრის კვლევა ვარ და გამოკვლევებულებს ვუმტკიცებ, რომ მერაბიშვილს უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე ივანიშვილს და ეს ჩემი გამოკვლევა არჩევნებში თუ შესაბამის პროცენტებში აისახება, არ გაიკვირვოთო.**

გაკვირვებით კი გაიკვირვეთ, თუ გინდათ, მაგრამ ქუჩაში გამოსვლა და, მითუმეტეს, პროტესტის გამოთქმა არ გაბედოთო, —,,ჩაგვინამიოკა" ნავარომ.

თითქმის იგივე გვითხრა მეგობრის (სააკაშვილის) სანახავად ჩამოსულმა მაკკეინმაც, ოღონდ უფრო რთულად და ჩახლართულად — არ იქნება კარგი არჩევნების შემდეგ დაპირისპირება ხანგრძლივ დავაში გადაიზარდოს... დამარცხებასთან შეგუება უნდა ვისწავლოთო, — დაგვარიგა.

გაყალბებასთან შეგუება უნდა ვისწავლოთო, გეთქვათ, ბარემ, მისტერ ჯონ...

* * *

როგორც ირკვევა, ქართველებს ქუჩაში გამოსვლის უფლება და ამასთან ერთად პროტესტის უფლებაც ჩამოგვართვეს.



**ხელისუფლება ღვთისააო, — გვასწავლის ბიბლია, მაგრამ, ვეჭვობ, ამ ფრაზაში ის ხელისუფლება იგულისხმებოდეს, რომელიც ნავაროების, მაჭავარიანების, გოგორიშვილების, თარხნიშვილების, იაკობაშვილების მიერ გაყალბებული არჩევნების წყალობით გახდა ხელისუფლება.**

— დიქტატურის წინააღმდეგ აჯანყება ღვთის მორჩილებაო, — გვიმტკიცებს თომას ჯეფერსონი.

ჯეფერსონი წესიერი კაცი იყო და ტყუილს არ იტყოდა...

## rasmusenma dagvibara...

რასმუსენი ჩამოვიდა და ავღანეთში საბრძოლველად ქართველი ბიჭები ცხვრის ფარასავით წაასხა, სამაგიეროდ, იმედიანი სიტყვები დაგვიტოვა: — თქვენ სულ უფრო და უფრო უახლოვდებით ნატოს... ახლა ისე ახლოს ხართ, ისე ახლოს ხართ, აქამდე არასოდეს რომ არ ყოფილხართო.

მე მგონი, ესენი გვაბითურებენ, ჩვენ კიდევ აზრზე არ ვართ...



**ნატო ქიმერად და მოჩვენებად იქცა — ჩვენ ვუახლოვდებით, ვუახლოვდებით, ვუახლოვდებით, ის კი სულ უფრო და უფრო გვშორდება...**

— აი, ახლა ამ ოქტომბრის არჩევნებს სამართლიანად რომ ჩაატარებთ, ჩათვალეთ, რომ თითქმის ნატოში ხართო, — გვითხრეს.

არ აპირებს სააკაშვილი ამ არჩევნების სამართლიანად ჩატარებას — არ უნდა ამ კაცს ნატოში და ძალაა?

**ისეთი ფოკუსების კორიანტელს დააყენებენ „ნაცები" ოქტომბერში, ერთი ოცი წელი ნატოს კარებთან ახლოსაც არ მიგვიკარებენ,**

სამაგიეროდ, მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილებში ქართველთა აქტიურ მონაწილეობაზე დიდსულოვნად დაგვთანხმდებიან.



**ჩვენ ნატოში შესვლის უფლება არ გვაქვს, თორემ ნატოსთვის სიკვდილის უფლება ვინ წაგვართვა?**

ავღანეთიდან ნატოს ქვეყნები გამოდიან, ჩვენ კიდევ უფრო გაძლიერებული კონტინგენტით ვრჩებით.

საერთოდ, მთელი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი რომ გამოვიდეს ავღანეთიდან, ჩვენ მაინც დავრჩებით.

**დავრჩებით და მოვკვდებით ნატოს სახელით.**

საკუთარ ომში სიკვდილი გვეზარება, თორემ სხვის ომში სიკვდილი თამაშად და გვიჩანს მღერად.

ასე იყო ოდითგანვე, ასეა ახლაც და ასე იქნება, ალბათ, მომავალშიც...

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# დემოკრატიით დატანჯული

## მიშას იმიტომ ჰგონია ივანიშვილი ტროცკი, რომ თვითონ არის პატარა სტალინი

გასული კვირის შაბათს გამართულმა „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობამ თუ ყრილობებმა საბჭოთა პერიოდის დღესასწაულები გამახსენა, როცა 1 მაისს თუ 7 ნოემბერს ქალაქებსა თუ სოფლებში მშრომელთა კოლონები გამოეფინებოდნენ და წითელი ალმების ფრიალით ესალმებოდნენ ტრიბუნებზე შემოსკუპებულ პარტიულ დიდკაცობას.

გარეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზე იყო — ადამიანებს ბედნიერი, გაცინებული სახეები ჰქონდათ, სკანდირებითაც ხმაშეწყობილად სკანდირებდნენ, პლაკატებზეც კომპარტიის სადიდებელი სიტყვები ეწერა, ქუხდა მხნე, ოპტიმისტური მუსიკა, მაგრამ მთელი უბედურება ის იყო, რომ ყველაფერ ამას სიყალბის და ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავდა.

საქმე იმაშია, რომ ამ ადამიანების უმრავლესობა ძალად, სავალდებულო წესით იყო ქუჩაში გამორეკილი და მთელი ეს დღესასწაული თავიდან ბოლომდე დადგმული იყო, როგორც გრანდიოზული სპექტაკლი.

როგორც დღეს სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ავალდებულებს თავის რწმუნებულებს, გამგებლებს, სკოლის დირექტორებს, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გამოიყვანონ ადამიანები ამა თუ იმ ღონისძიებებზე, ზუსტად ასე ავალდებულებდნენ კომუნისტები თავიანთ პარტიულ ქვეშევრდომებს, ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებს, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, უმაღლესი სასწავლებლების, სკოლების ხელმძღ-



ვანელებს ორგანიზება გაეკეთებინათ და უზრუნველყოთ ადამიანთა ასპროცენტიანი დასწრება.

მართალია, მიხეილ სააკაშვილი სხვებს უკიჟინებს, წარსულში უნდათ დაგვაბრუნონო, მაგრამ სინამდვილეში სწორედ სააკაშვილი გვაბრუნებს წარსულში, უფრო ზუსტად კი არ გვაბრუნებს, უკვე დაგვაბრუნა კომუნისტურ ეპოქაში.

ფაქტობრივად, ეს ერთი-ერთში იმეორებს კომუნისტური მმართველობის სტილს და იმ პიარტექნოლოგიებს, რომელთაც კომუნისტები ცდილობდნენ ადამიანებისთვის ტვინების გამორეცხვას და დაზომბირებას.

**მიხეილ სააკაშვილი თავისი ბუნებით, თავისი ხასიათით და ფსიქიკით ძალიან ჰგავს გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლშევიკებს — მათსავით ისიც მზად არის გაანადგუროს ოპონენტები, დაამციროს, დააკნინოს ყველა, ვისაც მისგან განსხვავებული აზრები და შეხედულებები აქვს, პირად მტრად აღიქვას ყველა, ვინც მას მონურად ქედს არ უხრის.**



ისიც, 30-იანი წლების ბოლშევიკებივით, ახალი ტიპის ადამიანის შექმნას ცდილობს (გაიხსენეთ ლისენკოს ცნობილი სიტყვები: „მე არ დავბადებულვარ ადამიანად, მე ადამიანად პარტიამ შემქმნა“).

ნებისმიერი საშუალო ინტელექტის ფსიქოლოგი დამიდასტურებს, რომ ადამიანები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ზნით და ხასიათით იბადებიან და ამ გენეტიკური კოდის შეცვლა არც აღზრდას შეუძლია, არც განათლებას.

**სააკაშვილის ტრაგედია ის არის, რომ ის დაბადებით არ არის დემოკრატი.**



**დემოკრატობაც თანდაყოლილი ღვთით ნაბოძები ნიჭია, დემოკრატებად იბადებიან, ისე როგორც იბადებიან მუსიკოსებად, მხატვრებად, პოეტებად...**

დესპოტებად და დიქტატორებადაც იბადებიან, ისე როგორც იბადებიან მკვლელებად, კლეპტომანებად, სადისტებად, სადომაზოხისტებად, ავაზაკებად, კარიერისტებად, ეგოისტებად.

მიხეილ სააკაშვილი ტრაგიკული პიროვნებაა — მას უნდა ეცხოვრა ბოლშევიკურ საქართველოში, ტყავის შავი პალტო უნდა ცმოდა და ხელში მაუზერი უნდა სჭეროდა, მას კი ბედის ირონიით, დემოკრატიულ საქართველოში მოუწია ცხოვრებამ და მოღვაწეობამ.

**მიხეილ სააკაშვილი დემოკრატიით დატანჯული კაცია, რადგან ის იძულებულია ხანდახან მაინც მოიქცეს ისე, თითქოს დემოკრატი იყოს და აკეთოს ის, რისი გაკეთებაც მის შინაგან ბუნებას რადიკალურად ეწინააღმდეგება.**

მას უკიდურესად სძულს დემოკრატიული ღირებულებები, სძულს ის დემოკრატიული ინსტიტუტები და ის პიროვნებებიც, რომლებიც მას დემოკრატიისკენ, შემწყნარებლობის და ლოიალურობისკენ მოუწოდებენ.

მისი პოლიტიკური კარიერისთვის აუცილებელი რომ არ იყოს, ის სიამოვნებით გაანადგურებდა ყველას და ყველაფერს, რაც მის ძალაუფლებას ეწინააღმდეგება და, მისი აზრით, საფრთხეს უქმნის.

ის დემოკრატობანას თამაშობს და ამით იტანჯება, წვალობს, ითრგუნება, თუმცა ხშირად თამაშს თავს ანებებს და, აი, მაშინ წარსდგება ხოლმე თავისი ნამდვილი სახით, სახით, რომელიც პირქუში, სასტიკი, შურისმაძიებელი და დაუნდობელია.

როცა დემოკრატიით ტაკიმასხრობა ბეზრდება, ნიღაბს იხდის და მობეზრებული როლისგან თავისუფლდება, ის თითქოს გარეგნულადაც სხვანაირი ხდება — სხვა დროს მოშვებული მისი დონდლო ტორსი ენერგიით იმუხტება, ხმაში ფოლადი გამოერევა და ის რაღაცით ემსგავსება ყუმბარას, რომელიც სადაცაა გამოსხლტება ლულიდან და მიზანში ამოღებული მსხვერპლის გასანადგურებლად გაეშურება.

სააკაშვილისთვის სამყარო შავ-თეთრია. ადამიანებიც და ადამიანებთან ურთიერთობაც შავ-თეთრ ფერებში აქვს გადაწყვეტილი — შავია ყველა, ვინც მის ოპონენტობას ბედავს, თეთრი — ვინც მონურად შესციცინებს თვალებში.

ის, როგორც ჩანს, უკვე დაიღალა დემოკრატიით და ბოლო ხანებში დემოკრატიის მშენებლობაზე ცოტას ლაპარაკობს, სამაგიეროდ, ძალიან ბევრს საუბრობს ამა თუ იმ ობიექტის, სახლების, ხიდების, ქალაქების მშენებლობებზე, რითაც თითქოს დემოკრატიის დეფიციტის კომპენსაციას ცდილობს.

**— რა დროს ომია, დემოკრატია მაქვს ასაშენებელიო, კი არ ამბობს, — რა დროს ომია, ლაზიკა მაქვს ასაშენებელიო, — იძახის.**

**მას ჰგონია, რომ ლაზიკის, ან სხვა რომელიმე ობიექტის აშენებით გადაფარავს და გადასწონის ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების არარსებობას.**

ობიექტების მშენებლობას ის სახელმწიფოს მშენებლობასთან აიგივებს, რაც აბსოლუტურად მცდარი და ყოვლად უსუსური დემაგოგიაა.

— ჩვენ არ გვინდა წარსულში დაბრუნება, ჩვენ, წინ, მომავლისკენ უნდა ვიაროთ. წინ, საქართველო! — ამბობს სააკაშვილი, თუმცა მან არ იცის გზა წინისკენ, ანუ მომავლისკენ, როგორც არ იცოდნენ ეს მისმა სულიერმა წინაპრებმა, კომუნისტებმა, რომლებსაც სულ Âï åðåä ეკერათ პირზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს Âï åðåä უფსკრული იყო.

როცა წარსულზე ლაპარაკობს, სააკაშვილი ვერ ხვდება და ვერ აცნობიერებს, რომ თავად არის წარსული თავად არის გუშინდელი დღე, მიუხედავად მისი ახალგაზრდული ასაკისა.

(უნდა ითქვას, რომ ასაკი საერთოდ არაფერ შუაში არ არის იმის განსასაზღვრად, ვინ რას წარმოადგენს, ვინ რა ფასეულობებს ემსახურება და ვინ აზროვნებს უფრო პროგრესულად).

უსამართლო და უარგუმენტო მგონია სააკაშვილის მიმართ საყვედური, თუ რატომ ვერ აშენებს იგი დემოკრატიას?

ეს იგივეა, ადამიანს, რომელსაც ხატვის ნიჭი არ აქვს, ვუსაყვედუროთ, რატომ არ შეუძლია მაღალმხატვრული ნაწარმოები შექმნას.

ეს იგივეა, ადამიანს, რომელსაც მუსიკალური სმენა არ აქვს, სიმფონიის ან ოპერის დაწერა დავავალოთ და როცა ის ამ დავალებას ვერ შეასრულებს, საყვედურებით ავავსოთ.

არ აქვს მიხეილ სააკაშვილს დემოკრატობის ნიჭი და რა ჰქნას?

**რისი ნიჭიც აქვს, რაც განგებამ უბოძა იმ ნიჭს ის შესანიშნავად იყენებს, მაგრამ დემოკრატი ვერასოდეს გახდება და რამდენიც არ უნდა წვრთნან უცხოელმა მასწავლებლებმა ამ საქმიდან არაფერი გამოვა.**

ჯერ კიდევ როდის თქვა პოეტმა: „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა“.

ის უბედურობანი, რაც სააკაშვილმა დაატრიალა, არ არის მხოლოდ მისი ბრალი, ეს იმ საზოგადოების ბრალია, რომელმაც დემოკრატიის მშენებლად ისეთი კაცი აირჩია, რომლისთვისაც დემოკრატიული ღირებულებები თავიდანვე მიუღებელი და უცხო იყო.

**სააკაშვილი თავისი ბუნებით, თავისი შინაგანი წყობით, თავისი ფსიქიკით, სტალინის**



**უნიჭო მიბაძვაა, ამიტომაც ეჩვენება მას ბიძინა ივანიშვილი ტროცკად, ხოლო მისი გარემოცვა ზინოვიევ-კამენევის დაჯგუფებად.**

მიხეილ სააკაშვილი მისი შეცდომებით სავსე ცხრაწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ძალიანაც რომ უნდოდეს, დემოკრატიას ვერ ააშენებს, რადგან ეს იქნება უმკაცრესი განაჩენი მისთვის.

სააკაშვილმა რომ დღეს დემოკრატია ააშენოს, ეს იგივეა ხარაკირი გაიკეთოს.

სააკაშვილი დემოკრატიით დატანჯული კაცია.

**სააკაშვილისთვის დემოკრატია ბედი მდევარია, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად წამოეწევა და ყველაფერზე ერთად მოსთხოვს პასუხს.**

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# ra moxdeba da rogor moxdeba, ar vici, magram ivaniSvili mova xelisuflebaSi, namdvilad mova!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ბატონი **გოგი თოფაძე.**

**— ბატონო გოგი, NDI-ის სოციოლოგიური კვლევების ბოლო შედეგებზე საუბრით რომ არ დავიწყო, უბრალოდ, წარმოუდგენელია — რას იტყვით, თქვენც ნაწილობრივ ეთანხმებით დადებულ შედეგებს?**

— უნდა გითხრათ, რომ მე არც ერთ კვლევას არ ვაქცევ ყურადღებას, რადგან იმთავიდანვე ვიცი, რომ ეს კვლევები გამიზნულად ტარდება და საზოგადოების დეზორიენტაციაზეა გათვლილი —



არ მინდა ამაზე საუბარი... მე რასაც 1995 წლიდან ვუყურებ, იმ პროცესს არჩევნებს ვერ დავარქმევ — იყო ძალადობა, ტომრებით იყრებოდა ხმები, 1999-შიც ასე იყო, მერე უფრო დახვეწეს ტექნოლოგიები — მრჩევლები ბევრი ჰყავთ და დაიწყეს ეგზიტპოლები, სიების დამახინჯება, „კარუსელები“ და კიდევ ვინ იცის, რამდენი რამ არსებობს, მაგრამ როგორ დავუჯეროთ იმ ხალხს, რომელიც 1995 წლიდან აქ იყო, ესწრებოდა არჩევნებს და ვერ დაინახა ვერც ერთი დარღვევა!

**— ამაზე მიგანიშნებდით, პატივცემული „მკვლევარები“ და დამკვირვებლები თვითონ ხომ არ არიან „დასაკვირვებლები“ და თან საფუძვლიანად დასაკვირვებლები? „არჩევნები ჩატარდა დემოკრატიულად, მცირე დარღვევებით“ — მე მხოლოდ ამგვარი „დაკვირვების შედეგები“ მახსოვს...**

— 1999 წლის არჩევნებიდან ერთ ფაქტს გავიხსენებ — კასპში გვყავდა ერთი ძალიან აქტიური აქტივისტი ქალბატონი კომისიაში. დამკვირვებელი იყო, არ მახსოვს, დანიელი იყო თუ ბელგიელი ქალი, 8-ის ნახევარზე სინათლე რომ ჩააქრეს და შემოვიდნენ ტომრებით, ეს პატარა ქალი, აქტივისტი, რომ გადაეფარა ურნას წივილ-კივილით, ვერ ააგლიჯეს ვერაფრით. ატყდა ჩოჩქოლი. სიბნელეში, ამ ჩხუბსა და ალიაქოთში ვეღარ გაარჩიეს და ამ უცხოელს მოხვდა მუშტი, სახის ცალი მხარე გვარიანად ჩაულურჯდა. მოკლედ, ხმები ჩაიყარა და დაიწერა დასკვნა, რომ ყველაფერი ნორმალურად ჩატარდა, ყოველგვარი დარღვევის გარეშე. მეორე დღეს პრესკონფერენცია მოვაწყვეთ და ეს ქალიც იქ იყო. საიდან გაქვთ სახეზე ეს სილურჯე-მეთქი. რაღაცას დავეჯახეო. კი არ დაეჯახე, გცემეს შე უსინდისო, რა ფული გაქვს აღებული, რომ გაგხეთქეს ცემით და ხელს აწერ დასკვნას, რომ ყველაფერი კარგად ჩატარდა, დარღვევა არ დაფიქსირებულა-მეთქი...

აი, ესაა დამკვირვებლები! 1995 წლიდან რამდენი არჩევნები ჩატარდა და ნუთუ ვერასდროს ვერავინ დაინახა სერიოზული დარღვევა? — ამიტომ არ მწამს ამათი.

**— ამ ორიოდე დღის წინ სააკაშვილის მეგობრები, პატივცემული უცხოელი სტუმრები, ხალხის არჩევანის პატივისმცემლები რომ იყვნენ ჩამოსულები, როგორ გგონიათ, მართლა ხალხის ნების მხარდასაჭერად ჩამოვიდნენ? იქნებ, პირიქით, მეგობარი გაამხნევეს და ამიტომაც დაგვიგდეს სიტყვა, დამარცხებულმა ღირსეულად უნდა მიიღოს ხალხის არჩევანიო...**

— ახლა სიტუაცია ცოტა შეიცვალა და რატომ იცით, თვითონ, ეს ხელისუფლება იმდენად არის დისკრედიტებული საერთაშორისო ასპარეზზე, იმდენად გაიგო ყველამ, რომ ეს ყველაფერი ბლეფია, ტყუილია, რა დემოკრატია, რის დემოკრატია, რომ მათი განწყობა შეიცვალა...

ამ ხელისუფლებამ იმდენი რამე აკადრა საქართველოს მოსახლეობას, რომ აღარაფერი დარჩათ სათქმელი, ერთადერთი, რაც დარჩათ, ესაა დაშინება და ტერორი, რასაც ვხვდებით კიდეც ყველგან.

იცით, რა არის ყველაზე ცუდი და მიუღებელი, ნებისმიერი წყობის მთავრობა, სიმართლით იქნება თუ სიცრუით, ცდილობს საკუთარი ხალხის გულის მოგებას, ცდილობს, მოაჩვენოს, რომ მათზე მზრუნველია — ამ ხელისუფლებამ ესეც დაკარგა, სრულებით არ აინტერესებს მოსახლეობის აზრი. ამ ხელისუფლებამ იცის, რომ ამდენი მოტყუების შემდეგ აღარავინ დაუჯერებს და ეს ძალიან სახიფათოა — ხელისუფლება, რომელიც აღარ ცდილობს, რომ თავისი ხალხის გული მოიგოს, ტოტალიტარიზმიდან ტირანიაში გადადის, ძალადობის ნებისმიერი ფორმით ეცდება, რომ თავი გადაირჩინოს.

ხალხისთვის თავმოწონებაზე ვლაპარაკობ და, რაც ამათ ბიძინა ივანიშვილს გაუკეთეს, რომელ ჩარჩოში ჯდება, რომელ სახელმწიფოს შეიძლება რომ შევადაროთ ამათი ქმედება — ყველაფერზე მიდიან, რომ თავი და ის მიტაცებული თანხები გადაირჩინონ, რომლებიც ოფშორებში აქვთ. მათ კარგად იციან, რომ ხალხი თუ არ შეშინდება, პასუხს მოსთხოვს ყველა იმ დანაშაულზე, რაც ჩაიდინეს, ამიტომ, ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

მე მინდა ვუთხრა მოსახლეობას, რომ ტყუილად ეშინიათ. კი, უნდათ, რომ ჰყავდეთ დაშინებული და აშინებენ, მაგრამ არაფრის თავი აღარ აქვთ.

**— რაც საქართველოს სჭირს, არ ფიქრობთ, რომ გარედან მართული პროცესია?**

— რა თქმა უნდა, დამღუპველი მრჩევლების. სოფლის მეურნეობას რომ ასე მოექცევი და რაღაც



7-8 %-ზე ლაპარაკობ, უკვე აღარ ხარ ამ ქვეყნის ადამიანი — ეს სოციალური პრობლემაა და არა 7-8 პროცენტი. საქართველოში ორმოცდაათ პროცენტზე მეტი, ე.ი საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობს, ამდენ ხალხს რომ წირავ, გენოციდი არ არის? — მილიონნახევარი კაცია წასული საქართველოდან, ის ძირითადი ძალა, რომელიც პროდუქციას ქმნის. შენ წაართვი ამ ხალხს წყალი, ტექნიკა, მიწა და ბოლოს სამშობლო, სხვა ქვეყნებში მოსამსახურეებად გააქციე და დამცირებულ მდგომარეობაში ჩააგდე. რატომ? იმიტომ, რომ ასე გირჩიეს მრჩევლებმა...

დააცარიელეს სოფლები და მერე, კიდევ, ერთი დამაფიქრებელი მომენტია — ჩვენი ტრადიციები დამყარებულია პატრიარქატზე, ოჯახის კეთილდღეობა იყო ყოველთვის მისი მამოძრავებელი მიზანი, აი, ამას კლავენ — რა ოჯახი უნდა იყოს და რა მამაკაცურ სიამაყეზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ოჯახის დედა წლობით წასულია უცხოეთში და იქიდან ინახავს ქმარ-შვილს, ვინ იცის, რა მორალურად და ფიზიკურად მძიმე შრომით — დაინგრა უკვე ქართული ტრადიცია. ეს ყველაფერი გათვლილილი იყო და ასე დაგვინგრიეს ქვეყანა, გააუბედურეს საქართველოს მოსახლეობა...

რა მოხდება და როგორ მოხდება, არ ვიცი, მაგრამ ივანიშვილი მოვა, ნამდვილად მოვა!

ამოიწურა ყველანაირად ამათი ხელისუფლებაში დარჩენის პერსპექტივა. სულ დავდივარ სოფელ-სოფელ და ვატყობ — შიშის სინდრომი ძლიერი იყო, მაგრამ ამ აქციებმა დიდი გავლენა მოახდინა, მოდის ხალხი და აღარ ეშინიათ.

იცით, როგორ არის — ქართველი კაცი მომთმენი კაცი გამოდგა, უძლებს, რომ ოჯახში ხან ხორცი არ აქვს და ხან ხაჭაპური და საცივი, რაც ყოველთვის ჰქონდა, იტანს, მაგრამ იმას ვეღარ იტანს, საკუთარი შთამომავლობის უპერსპექტივობა რომ დაინახა. ქართველი კაცი ოჯახით ცოცხლობს და შვილი თუ შვილიშვილი ან უნდა წავიდეს აქედან, ან მონობაში უნდა იყოს — ეს დაინახა და უკვე ვეღარ ჩერდება, უკვე საკუთარ თავს ადანაშაულებს, რომ საკუთარი მოდგმა მონობისთვის გაწირა და ის მომთმენი აღარაა... ხალხის ნაწილში იცით, რა იგრძნობა — „კარგი, ნუ დამაჩრჩობ ახლა, მე ვიცი, საარჩევნო ურნასთან რას ვიზამ...“

ქართველ კაცს გონიერებას ვერ წაართმევ, ქართველ კაცს რომ გონებრივი პოტენციალი აქვს გენეტიკურად, ნუ შეედრებიან ვიღაც-ვიღაცები, რომ ტრაბახობენ — ეს ხალხი მიხვდა ერთ რამეს, რომ ეს ბიძინა არ იტყუება, ის ფულის საშოვნელად არ ჩამოსულა საქართველოში. ის 5 მლრდ, რომელიც გადაგდებული აქვთ ამათ, აქ მოიტანს, აქეთ დახარჯავს თავისას. კარგი გათვლა გააკეთა ერთმა ჩვენმა მეგობარმა, ყოველდღე რომ 1 მლნ. დოლარი ხარჯოს, 18 წელი ეყოფა და რა უნდა უნდოდეს კაცს, რომელსაც ყველაფერი აქვს?

მე დიდი ხანია ბიძინას ვიცნობ და სანამ პოლიტიკაში გამოჩნდებოდა, ბევრი გვაქვს ნალაპარაკევი — სულ განცდებში იყო.

ბიძინას ოჯახსაც კარგად ვიცნობ, ჭურის თავზე რომ მოატარებდა ხელს მამამისი, აბა, რომელი გავსინჯოთო — უბრალო გლეხის ოჯახიდან გამოსული კაცია ბიძინა და უნიჭიერესი კაცი გამოდგა, ხომ?

რამდენჯერმე შევუთვალე ბენდუქიძეებს (მასე ვუწოდებ მაგათ ყველას ერთად, ვითომ ექსპერტები რომ არიან სოფლის მეურნეობის საკითხებში), მოდით, დამიჯექით დებატებში-მეთქი, მაგრამ არ მოვიდნენ, კურდღლები არიან. ახლა რომ მოვიდა ახალი პრემიერი და დაიწყო ბიძინას სიტყვების გამეორება — რა ხალხი არიან, რა გუნდია ასეთი, რომ, როცა სოფელს კლავდნენ, ვინც თავს გიქნევდათ, ახლა კი ამბობს, სოფელიო, რატომ არ ეკამათებიან, რა სოფელიო?

ეს მოდის 1996 წლიდან, ვალავი იყო სავალუტო ფონდიდან, მაშინ დაიწყო, რომ საქართველოში მევენახეობა უპერსპექტივო

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

არისო ... რამდენი ჩხუბი მქონდა...

იცით, რა არის ყველაზე საწყენი? შეიძლება, ემსახურებოდე რაღაც იდეას, მაგრამ რომ იცი, კლავ შენი ქვეყნის ეკონომიკას და ნაცვლად იმის აღიარებისა, რომ შეგეშალა, თუთიყუშივით იმეორებ, რად გვინდა სოფელი, ვისა აქვს სოფელიო. სინგაპურს სადა აქვს მიწა, კაცო, ერთი ქალაქია სინგაპური!

**— იქნებ თქვენ მაინც ამიხსნათ, რა აჩემებაა სინგაპური, სინგაპურში სინგაპურელი სანთლით არის საძებარი და ამაში უნდა მივბაძოთ?**

— რა თქმა უნდა! მერე, რომელ წარმატებულ ქვეყანას არ აქვს სოფლის მეურნეობა — ამაზე მისაუბრია მათთან. ერთმა შვეიცარია მომიყვნა მაგალითად, იქო, 5% აქვს სოფლის მეურნეობასო. ტყუი-მეთქი! შენ რომ ანგარიშობ რძე რამდენი მიიღო, იმ რძიდან რამდენი რამეც გაკეთდა, 40%-ზე მეტზე ადის. შვეიცარია საბანკო ქვეყანაა, მაგრამ სოფლის მეურნეობა აწყობილი აქვთ ძალიან ძლიერად, თავისი ხილი და ბოსტნეული აქვს, რატომ შეიტანს სხვისას — აბა, ჩვენ რომ ვაკეთებთ, ეგაა საქმე?

**— კასპი აქ გვქონდეს და ხახვი და ნიორი ეგვიპტიდან შემოგვქონდეს?**

— კი, ბატონო, ეგვიპტიდან შემოაქვთ — ესენი არიან ქვეყნის გამყიდველები, ამათ, ამ ექსპერტებს უნდა მოეთხოვოს პასუხი და მათთან ერთად ყველა იმ ჟურნალისტს, მილიონობით ხალხს რომ ატყუებენ. შენ იცი, რომ სხვა ინფორმაციის წყარო რაიონში არ აქვთ, გამოდიხარ და ატყუებ? ვინ არის ეს „იმედი“, „რუსთავი-2“, „რეალ-ტვ“ — ლაპარაკი არ არის ჟურნალისტურ ეთიკაზე, ადამიანობაზეა ლაპარაკი — არ გრცხვენია ამას რომ აკეთებ? ჩვენი ადათ-წესები ღირებულია, რომ გარყვენით მთელი საქართველოს ახალგაზრდობა, მარტო თქვენ არ მოგწონთ? — დამღუპველს რომ ლაპარაკობენ და მაინც ჯიუტად იმეორებენ...

ბენდუქიძე თუ წუხს საქართველოზე, ეგეც ძალიან მდიდარი კაცია, ოღონდ აქიდან გატანილი ფულით გამდიდრდა, ბიძინას რომ აკრიტიკებენ, ერთი ქველმოქმედება მითხრან რა გაუკეთებიათ თვითონ.

ეს კითხვა უნდა დასვას ხალხმა — ბენდუქიძე, შენც ხომ ძალიან მდიდარი ხარ, ივანიშვილს არაფერი წაუღია საქართველოდან, შენ კი, აქედან გატაცებული ფულით ვაუჩერების სპეკულაციით გახდი ძალიან მდიდარი კაცი, რამე ვალი არ გაქვს იმ ქვეყნის ხალხის წინაშე, ვინც გაგამდიდრა? — ეს ამათ ყველას ეხება. ივანიშვილს რომ აკრიტიკებ, რაღაც ბაზა ხომ უნდა გქონდეთ...

**— მორალური უფლება.**

— მორალი სადა აქვთ, კაცო, ქვეყანა გაყიდეს! აქამდე ყველგან იყვნენ, „კავკასიაზეც“ გამოდიოდნენ „მაესტროზეც“ — ახლა რატომ აღარ გამოდიხართ, ვანოსი გეშინიათ? ააა, ბიძინასი არ გეშინიათ? — მოვა ბიძინა და მოგეთხოვებათ პასუხი ყველაფერზე, რაც ჩაიდინეთ საქართველოში!



**— ბიძინას მოსვლას არჩევნები უძღვის წინ, არჩევნები კი ამომრჩეველია, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 1 100 000 კაცი უკვე მიწერილია სიებში ხელისუფლების სასარგებლოდ, ანუ არჩევნების შედეგები უკვე გაყალბებულია...**

— თუ ბიძინა, ეს უჭკვიანესი კაცი ისეთი მიამიტი გგონიათ, რომ ყურადღებას არ აქცევს გაყალბების საშუალებებსა და მეთოდებს, ძალიან ცდებით. ესენი ყაჩაღობენ — ეუბნებიან, ეს კაცი 12 წლის წინ მოკვდაო და არა, მაინც ჩაწერილია სიაში... კარდაკარ ხომ იარეს, მივიღეთ, რომ თურმე 3 600 000 ამომრჩეველი გვყავს საქართველოში. ამდენი ამომრჩეველი კი არა, ამდენი მოსახლეობა თუ გვყავს? — ეს ერთი. მეორე, უცხოეთში არ დაუტოვეს ხმის მიცემის შანსი, ერთი, რომ არალეგარი ხმას ვერ მიცემს და მეორე, დამატებითი სირთულეები შეიტანეს და რატომ — უცხოეთში გაქცეული მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე ამათი მოწინააღმდეგეა. მერე კიდევ, როგორ შეიძლება, რომ ციხეში პატიმარი და პრობაციონერი ამათი მომხრე იყოს, თუ ნაჯახით არ ადგანან თავზე, (ბრლადებულთა 70% ვიცით, რომ უსაფუძვლოდ ზის) ან მათი ოჯახის წევრები — ეს ყველაფერი დათვლილია და ამას ანალიზი გაუკეთდება. პრევენციული ზომები მიღებულია, ნუ გგონიათ, რომ ასე მიშვებულები არიან... არ არის ასე მარტივად საქმე, მთელი მსოფლიო დადგება ფეხზე...

**— კარგით რა, რომელი მსოფლიო, მხოლოდ აღშფოთებას და შეშფოთებას რომ გამოთქვამს ჩვენს უბედურებაზე?**

— ჩვენ საუბარი იმით დავიწყეთ, ვენდობი თუ არა ამათ გამოკვლევებს და დამკვირვებლებს — არ ვენდობი, იმიტომ, რომ მაქვს პრაქტიკა, სცემეს ქალი და კარგად ჩატარდა ყველაფერიო, მაგრამ დღეს აღარ დაუჭერენ მხარს. ძალიან ბევრი უცხოელი ჩამოდის, ძალიან ბევრ უცხოელთან საუბრობს ბიძინა და საუბრობენ ჩემი კოლეგები — გაოცებული არიან უცხოელები, აღარ არის ის განწყობა, რომ ეს შუქურაა დემოკრატიის... კი, როცა იყვნენ დავალებით, თვალს ხუჭავდნენ ბევრ რამეზე, მაგრამ აღარ არის ასე — რატომ მოცვივდა ყველა აქ?

**— რეალურ შედეგამდე მაინც ვერ შემაცვლევინებთ აზრს — ხელისუფლების გასამხნევებლად.**

მსოფლიო აკვირდება ამ არჩევნებს — ფაქტებს დავუდებთ წინ, რომ გაყალბებულია. მანამდე 29-ში გამოვალთ...

ყველა საარჩევნო უბანთან ხალხი იდგება. იქ იქნებიან არა



მხოლოდ კომისიის წევრები, დამკვირვებლები, არამედ 4-5 ადამიანი, ჩვენ მაგას ვთხოულობთ, რომელიც დაწერს რამდენი კაცი შევიდა. 200 კაცი რომ შევიდა, 1200 იყოო, ვერ დაწერს...

ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ბევრ რამეს ვეღარ გაბედავენ და ტყუიან, როცა ამბობენ, ჩვენ უკვე მოგებული გვაქვსო. ამას იმიტომ აცხადებენ, რომ ხალხი შეშინდეს, ხელისუფლებაში ისევ ესენი რჩებიანო — არ არის ასე და დაიჯერეთ!

ახლა იმის რეალური შანსი გაგვიჩნდა, რომ შეგვიძლია ჩვენი ქვეყანა, ჩვენი შვილები და შვილიშვილები გადავარჩინოთ და მერე, შეიძლება, ეს შანსი აღარ იყოს, გადააყლაპებენ ესენი და გადაგვყლაპავენ კიდეც ეს დიდი სახელმწიფოები თავის ინტერესებით. შანსი გაგვიჩნდა, რომ ისეთი კაცი გვყავდეს ხელმძღვანელად, რომელიც ხალხს ეყვარება, ათას სიკეთეს გააკეთებს, მართლა ამოგვწევს ამ ჭაობიდან, დავადგებით იმ გზას, რომელიც საქართველოს არნახული რენესანსისკენ წაგვიყვანს. ორ-სამ წელში საქართველოს ვეღარ იცნობთ — ვიცი მისი გეგმები.

**— რუსეთის ფაქტორზე რას იტყვით.**

— რუსეთისთვის საქართველოს დაკარგვა ძალიან პრობლემატური გახდება. უპირველესად ის ვთქვათ, რომ რუსეთი ყოველთვის დამპყრობელი ქვეყანა იყო და ასეთად რჩება დღემდე მიწების მიტაცების დიდოსტატად, აგერ კურილიის კუნძულებს 50 წელია არ თმობს, ავადმყოფობა აქვს ასეთი, მაგრამ დათმობს ჩვენს ტერიტორიებს, ამის ყველა მონაცემი არსებობს...

**— არ ვიცი, რას გულისხმობთ, მაგრამ მეზობელ ქვეყანასთან რომ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა უნდა გვქონდეს, ეს უდავოა...**

— მეორეც, ვთქვათ, ეკონომიკის მხრივ, ასეთი ისტორიებით რას მივაღწევთ?

**— ერთი რამ ახსენით, რაც რამ ჰქონდა საქართველოს, ვგულისხმობ სტრატეგიულ ობიექტებს, ყველაფერი რუსეთზეა გადაცემული და რატომღაა შერაცხული მტრად?**

— ამათთვის, ჩემო კარგო, სულ ერთია, ვინ იქნება და რას მიჰყიდის, ვინც მეტს მისცემს, ყველაფერს იმას მიჰყიდის. აქვეა, მეზობლად, რუსეთმა დაინახა ამათი ეს სისუსტე და დრო იხელთა. ესენი რომ ხელისუფლებაში დარჩნენ, კიდევ ბევრ რამეს მიჰყიდის... რუსეთისთვის გადაცემული ძალიან ბევრი ობიექტის გამოსყიდვას და საქართველოსთვის დატოვებას აპირებს ბიძინა.

**— რკინიგზა და გაზსადენიღა დაგვრჩა, სხვა რაღა დაგვრჩა რუსეთისთვის საინტერესო...**

— დაგვრჩა, ძალიან დიდი რესურსი დაგვრჩა. წყალი! — წყალი არ უნდა გაიყიდოს! 5-6 წლის შემდეგ ნავთობზე გაცილებით ძვირი იქნება წყალი... მაგ თემაზე ბევრია სალაპარაკო — ჩვენ ხომ არც ის ვიცით რა და როგორ გაიყიდა — ენგურჰესის შეთანხმება ვიცით, ჰესები რომ შენდება, შეთანხმების პირობები ვიცით? — არ არის საჯარო, მაგრამ ეს ყველაფერი გამოაშკარავდება და მოვთხოვთ პასუხს, ამიტომ არიან დაფეთებულნი.

**— კუთხეში მიმწყვდეული აგრესიული ადამიანი გაცილებით აგრესიული ხდება...**

— შედეგი? რა მიიღეს ახლო აღმოსავლეთში — ეს ახლა ხმაურობს, თორემ მშიშარაა, მსოფლიოს აქვს ნანახი მისი სამარცხვინო კადრები. არჩევნებამდე ბობოქრობენ, რომ ხალხი დაშინდეს, თორემ არაფრის თავი აღარ აქვთ, მით უფრო იმის, რომ მსოფლიოს დაუპირისპირდნენ...

**მაია ჭელიძე**




## xalxis azriT

8 წელია ხელისუფლებაში რომ ხარ და ასე 500, 700 ან 600 (მიშამ დააწყო ასე) ათასი ადამიანის მეტს რომ ვერ მიიყვან (გამოიყვან) აქციაზე, აშკარად წაგებული გაქვს... რატომ? 6 თვის ჩანასახში მყოფ პარტიას 200 -250 ათასი ადამიანი არ უნდა გამოყავდეს შენ რომ კარგი იყო და იმიტოოომ... გაიგევით?

ისე.. ამ ბეჩავმა (გნებავთ, ბედშავმა) ,როგორ ყველაფერი ბიძინაჩემისგან გადაიღო, მაისურები, ეს ქალაქებში შეხვედრები... მაგრამ ნაძალადევის და შაშინებულის.... ოჯახთან ჩახუტება მერე? :)) ერთი ბავშვებს ვერ გაარეპინა და ბერაზე დაიბოღმა :))) ამხელა ოყლაყი ბაღანაზე რომ დაიბოღმება!!!!!!!!!!!! განა მარტო გარეპვის უნარი და ნიჭი, ბერას დედაც შურს, მამაც, ოჯახიც და ყველაფერი, რაც მაგ ბედშავს ბავშვობაშიც არ ჰქონია!

აქ ვიღაცეებს მართლა ჰგონია, რომ დღეს, ხალხი, ნებაყოფლობით მივიდა ნაცმოს ყრილობაზე, თუ თავს იშტერებენ? უი, ქუთაისში "ოცნებაზე" მეტი ვერ შეკრიბა.

ვისაც აიძულებენ მობილურით გადაიღონ შემოხაზული 5-ანი. შემოხაზეთ 5-ანი, გადაუღეთ მობილით, მერე გადახაზეთ, გააფუჭეთ ბიულეტენი. ვისაც აიძულებენ უკვე გამზადებული, 5-ან შემოხაზული ბიულეტენი შეიტანონ და სანაცვლოდ ცარიელი გამოიტანონ. შეგაქვთ 5-ან შემოხაზული ბიულეტენი, ამავე ბიულეტენს აფუჭებთ და გამოგაქვთ ცარიელი ბიულეტენი.

ქუთაისელმა მეგობარმა დამირეკა. სასწაული ამბავი ხდებოდაო. დავდიოდი იმ ხალხში და სანთლით ვეძებდი ქუთაისლებსო. მაშრუტკებით ჩამოყვანილები იყვნენ ყველაო. შემეცოდნენო, მშივრები, ნატანჯები და დამორცხვებულები. მაგ შანტაჟისტს ხმას როგორ მივცემთო.

დღეს თბილისში ბევრი ხალხი დარბოდა მაისურებით "მე მიყვარს საქართველო".... თქვე დალოცვილებო თუ ასე გიყვართ საქართველო, რატომ გარბოდით 2008 წლის აგვისტოში თბილისიდან? ან რატომ გაიქეცით იმიტირებული ქრონიკის შემდეგ? სული უფრო ტკბილია არა? არაფერს გსაყვედურობთ! მაგრამ ნუ დამიმტკიცებთ, რომ ჩემზე მაგრად გიყვართ ეს ქვეყანა

ყველა საკვანძო პერსონა უცხოეთიდან იყო ჩამოსული ერთი კონკრეტული მოწოდებით-არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად, გვითხრეს, რომ ეს იქნება ლაკმუსის ტესტი, ყრილობაზე კიდევ მიშა მისი გუნდიანად ხმამაღლა აცხადებს რომ ეგლა აკლია ხელისუფლება მუმიებს გადააბაროს და რომ არ დაუშვებს ხალხის გამოსვლას და ექნება მეტი სარგებელი ხალხს. ჰოდა, სულ უფრო იკვეთება ნაცმოს განზრახვა არჩევნების ტოტალურად გაპრავების, მერე რეპრესიების, იმ ხალხის, ვინც გაბედავს და გააპროტესტებს, მოკლედ სიამოვნებით გავილევიძებდი ნოემბრის 1-ში უკეთესი მომავლის იმედით



# lafanyuri _ saqarTvelos bermudis samkuTxedi

„საერთო გაზეთის“ მკითხველს ემახსოვრება ჩემი და ჩემი ძმობილი ქისტი მახმად მარგოშვილს საუბრები, პანკისის ხეობაში მომძლავრებული ვაჰაბიტური მოძრაობების შესახებ.

„ვგრძნობ, ხეობაში ხელოვნურად ჩანერგილი ვაჰაბიზმი, არა მხოლოდ ჩვენ, პანკისელ ქისტებს, არამედ ჩვენს სამეზობლოში მოსახლე ქართველებსაც დიდ პრობლემებს შეუქმნის, ამიტომ საერთო ჭირს ახლავე თუ არ მივხედეთ, შემდეგ გვიანი იქნება და სისხლიც დაიღვრებაო“-ო შემოდგომაა... საქართველოს ხელისუფლება და მოსახლეობა ერთდროულად იმკის იმ ცოდვებს, რაც პანკისის ხეობაში 90-იანი წლების დროს ჩაითესა, ე.ი. გრძელვადიან შუღლს, გრძელვადიან გაუგებრობას და ასევე გრძელვადიან სისხლიან დაპირისპირებას. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ჩამოთვლილი ჭირისა, რასაც 84 წლის უხუცესი ჩემთან ინტერვიუებში ცრემლმორეული აღნიშნავდა და აჰა, თურმე რა მართალი ყოფილა?!

იქნებ იცის ვინმემ საქართველოს დედაქალაქ თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში რა „დამსახურებებისთვის“ მკურნალობდა საერთაშორისო ტერორისტი დოკუ უმაროვი, რომელიც თვით „რუსთავი-2“ კი დააფიქსირა თავის ვიდეოკამერით და ჩვენც გვაჩვენა?! მეტიც, 2011 წლის 26 მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი „კავკასიის იმარატს“ ტერორისტულ ორგანიზაციად რომ აცხადებს და აქ, საქართველოში, „იმარატის“ არაერთი ხელმძღვანელის, არაერთი მებრძოლის უვნებლად გადაადგილების მომსწრე რომ ხდება — არ არის ლოგიკური, დაისვას კითხვა — სააკაშვილი უკანონოდ შეიარაღებულ ჯგუფებად კავშირში ხომ არ არის და როგორ ხდება ისიც, რომ ამერიკის ვითომცდა მოკავშირე საქართველოს ხელისუფლება სინამდვილეში რუსული გეგმის ნაწილად იქცა?

ზუსტად 3 წლის წინ რუსეთის ოფიციალურმა წარმომადგენელმა „ნატოში“ დიმიტრი როგოზინმა, ჩემთან ინტერვიუში განცვიფრება ვერ დამალა საქართველოს ხელისუფლების სითავხედეზე იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება აშკარად და ურცხვად თბილისში საერთაშორისო ტერორისტ დოკუ უმაროვს მფარველობდა და მისთვის რუსი სამხედროების მიერ ნასროლი ტყვიით მიყენებული ჭრილობების მოშუშებაში ეხმარებოდა!!! იგივე ინტერვიუში, დიმიტრი როგოზინი საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებდა, რომ რუსეთისთვის ცნობილი იყო, სააკაშვილის კეთილგანწყობით შექმნილი ბანდფორმირებების შესახებ და მეტიც, ბატონი როგოზინი, იმასაც ამბობდა, რომ მათთვისაც ცნობილი იყო საქართველოს ტერიტორიაზე იმ „ბანაკების“ ადგილმდებარეობა, სადაც „ბოევიკები“ იწვრთნებოდნენ და ბაზირებდნენ!!!



რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მაშინ იგივე ინფორმაციებს ფლობდნენ რიგითი პანკისელებიც და რიგითი ლაფანყურელებიც, მაგრამ ისინი როგოზინისგან განსხვავებით, უკანონო ფორმირებების კონტროლში, როგორც ქართველ ძალოვანებს, ისე რუსეთის სპეცსამსახურებსაც ადანაშაულებდნენ.

„საერთო გაზეთის“ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ კახელი ვარ და ლოგიკურად, საქართველოს ამ კუთხეში უფრო მეტი ნაცნობი მყავს, ვიდრე სხვაგან... ვიცნობ გლეხსაც, მასწავლებელსაც, ექიმსაც და იმ „ნაცებსაც“, რომელთაც შუბლის ძარღვი ჯერ ბოლომდე არ გაწყვეტიათ. როგორც წერილის დასაწყისშივე ავღნიშნე, საუკეთესო ურთიერთობები მქონდა და მაქვს, ძირძველ ქისტებთან — მარგოშვილებთან, ხანგოშვილებთან, ციხესაშვილებთან და ა.შ. ჰოდა 18 აგვისტოს სისხლიანი მოვლენების შემდეგ, რასაკვირველია, დავუკავშირდი ამ ადამიანებს, წვრილად გამოვკითხე, რა მოხდა, რა სიტუაცია იყო იმ ხანად ხეობაში და მათზეც ხომ არ იყო ზეწოლა — ჩუმად ყოფილიყვნენ?

ჩემს პირველ შეკითხვაზე — იცოდნენ თუ არა, ვინ იყვნენ მოკლულები? მიპასუხეს, რომ — იცოდნენ! ისეც მითხრეს, რომ ეს ბიჭები რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდნენ, უფრო სწორად, ჩამოიყვანეს.

ვინ ჩამოიყვანა? — შევეკითხე მე...

— ვისთანაც ამ წლების განმავლობაში ურთიერთობა ჰქონდათ, საქმიანი ურთიერთობა! ხვდები, ხომ?

მიცვალებულები ვინც არიან, ყველა დაასაფლავეთ?

— ყველა არა, არ გვაძლევენ!

— რატომ არ იძლევიან, ხომ არ უთქვამთ? — შევეკითხე მე...

— ვინც გადმოგვცეს, ისინიც სულ დაცხრილულები არიან, თითქოს დახვრიტესო, აკი, აჩვენეს, „სპალნიმეშოკებში“ იყვნენ ისევ, ეძინათ და დახვრიტეს. საცერივით აქვთ ტანი. ტყეში, თანაც ბრძოლაში, ეს გამორიცხულია... „იმათ გვითხრეს, დიდი ამბავი და სამძიმრები არ გინდათ, ჩუმათ უბრალოდ დაასაფლავეთო! არ გამოვა ეგ ამბავი, არა... ამათ საქონელი ვგონივართ, პირუტყვები...

ახლა, ახლა რა ვითარებაა მანდ, სიწყნარეა?

— ამას თუ სიწყნარე ჰქვია... ახალგაზრდები დაგვიხვრიტეს. გვეუბნებიან, ხმა არ ამოიღოთ თორემ, თქვენც იგივე მოგივათო და გვახსენებენ იმ დროს, როცა ჩვენ უდანაშაულო ახალგაზრდობა აქ პანკისში საკუთარ ეზოებში დახოცეს და ააფეთქეს. ეეე, რაც ჩვენ გადავიტანეთ, ენა ვერ იტყვის. არ შევარჩენთ არც პეტრეს და არც დანარჩენებს ამ ამბავს...

— ხალხი რას ამბობს, ქართველებზე ძალიან გაბრაზებულები არიან?

— ჩემო დაო, ხალხმა რა დააშავა, ან ქართველმა და ან ქისტმა? ჩვენ უბრალო ხალხი მარტო ჭირისუფლებად გვაქცია სააკაშვილმაც და პუტინმაც! აბა, შეხედე ქართველ და ქისტ მოკლულებს, თითქოს ერთი დედის შვილები არიანო, ისეთი ლამაზები, ისეთი ჯიშიანები არიან! უბრალო ქართველების მიმართ რა პრეტენზიები უნდა გვქონდეს? რა, ქართველმა მშობლებმა იცოდნენ და იციან რისთვის მოუკლეს შვილები?



რატომ იყვნენ საცერივით დაცხრილული ქისტი და ჩეჩენი მებრძოლები? ანდა რას ნიშნავდა „რუსთავი-2“-ის ნაჩვენები ის კადრები, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ ზოგიერთი „ბოევიკი“ ისევ საძილე ტომარაშია და არა რომელიმე ხესთან ჩასაფრებულ მდგომარეობაში?

ნუთუ მართლა მიპარვით და მუხანათურად ჩაცხრილა ეს ახალგაზრდები, ჩვენმა ნაქებმა სპეცდანიშნულების ბატალიონმა? ეს თუ მართლაც ასე მოხდა — რა ჰქვია ამას და რა გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს ყოველივეს, არ უნდა გვაფიქრებდეს?

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოებას რატომ გვიმალავენ იმ დანარჩენი „დივერსანტების“ ვინაობას, ვისი გვამებიც პროზექტურაში აქვთ გამოკეტილი და იმაზეც არაფერს გვეუბნებიან, ამჟამად მოდულის შენობაში რამდენ „დივერსანტს“ ურტყამენ „აღიარებითი ჩვენების“ მიღების მოლოდინიო?

ძვირფასო მკითხველო! უცნაურად არ გეჩვენებათ, რომ უახლესი იარაღებით აღჭურვილი ადამიანების ჯგუფს კარგა ხნით ადრეც ხედავდნენ ლაფანყურელები და პანკისელები? მეტიც, ისინი არა მხოლოდ აქ მცხოვრებ ადამიანებთან შედიოდნენ კონტაქტში, არამედ ძალოვანებთანაც? მთელი ამ ხნის განმავლობაში რატომ არ აიყვანეს მძევლები მათ და როცა ვითომ აიყვანეს, ფული აჩუქეს, სამხედრო „ბათინკიც“ აჩუქეს და ისე გამოუშვეს?

რატომ იძახის ერთ-ერთი „მრევლის“ მეზობელი კაცი — ეგ, ბიჭები სუყველა „ნაც.მოძრაობის წევრები“ არიან და მძევლადაც არავისა ჰყოლიაო?“

დამეთანხმეთ, რომ რუსეთის ხელისუფლების დუმილი, ჩეჩნეთის ხელისუფლების დუმილი, საქართველოს ხელისუფლებისა და მისი ოპოზიციის დუმილი „ლაფანყურის ომის“ შესახებ იმაზე მეტ კითხვას ბადებს, ვიდრე დასასმელია და ვკითხულობ კიდეც — ამჯერადაც, ყველამ ერთად, რუსეთის ჩანაფიქრს, გეგმებს ხომ არ შეუწყო ხელი შემდგომი მოქმედებისთვის და ლოპოტიდან „ლოპოტა“-ს (რუსულად-განცხრომა, ნეტარება) მდგომარეობაში ხომ არ ჩააგდო კრემლის მესვეურები „ბარამბოს“ კანფეტების თანხლებით?

ერთადერთი, რაც ამ სისხლიან ტრაგედიაში მკაფიოდ გამოიკვეთა, ის არის, რომ მოკლულია 14 ადამიანი, 3 ქართველი ჯარისკაცი და 11 ე.წ. დივერსანტი, რომელთა სისხლსაც არავის შეარჩენენ ჩრდილოკავკასიელები და რომლებმაც სწორედ ამიტომ გამოუცხადეს „ჯიჰადი“ —სააკაშვილს, მერაბიშვილს, ახალაიას და შაშკინს.

თანაც, როგორც ქისტები, ისე ლაფანყურელები პირად საუბრებში ღიად აცხადებენ, რომ არაფერი არ დამთავრებულა, პირიქით ყველაფერი ახლა დაიწყო და ვერდიქტი გამოტანილიაო. დააკვირდით? 14 ადამიანი იმსხვერპლა სატანამ, მარიამობა დღეს!

ასტროლოგიურ ციფრთა გადაანგარიშებით კი, ნახეთ, როგორ გამოდის?

14 ეს ციფრი არის 1-იანისა და ოთხიანის ერთობლიობა. ჯამში კი 1+4 ტოლია 5-ის და ნეტავ, ვინ არიან ამ ციფრის მოტრფიალეები?

დიახ, ნაცმოძრაობის საყვარელი ციფრია 5 და ახლა დაფიქრდით, შემთხვევითია ეს?

**ირინე გოგოსაშვილი**

## „ქართულმა ოცნებამ“ სასამართლოში სარჩელი შეიტანა

ბლოკმა „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ საქართველოს საკონსულოებში ემიგრანტების ამომრჩევლებად დარეგისტრირების წესის გამარტივების მოთხოვნით, ცესკო—ს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში “ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ზურაბ მარაქველიძემ შეიტანა.

მისი თქმით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 9 სექტემბრის დადგენილების თანახმად, უცხოეთში მცხოვრები ქართველები ამომრჩევლად დასარეგისტრირებლად უშუალოდ უნდა გამოცხადნენ რეგისტრაციის ადგილას, რაც მათ სერიოზულ ბარიერებს უქმნის.

როგორც მარაქველიძე განმარტავს, 9 სექტემბრის დადგენილებით, მაგალითად, მილანში და იტალიის სხვა ქალაქებში მცხოვრებმა ქართველებმა რეგისტრაცია საელჩოში, ანუ რომში უნდა გაიარონ. იქ ჩასასვლელად კი ერთ სამუშაო დღის დაკარგვა მოუწევთ, რაც მათ პრობლემებს შეუქმნის.

„აღნიშნული ბარიერი ხელოვნურადაა შექმნილი. მოქალაქეებს დარეგისტრირების საშუალება ფოსტით უნდა მისცემოდათ, საბუთებს შეაგროვებდნენ და ფოსტით გაგზავნიდნენ. მაგრამ ცესკო—მ პროცედურა გაართულა. „ქართული ოცნება“ ცესკოს ამ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს და მოითხოვს, რომ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს მიეცეთ საშუალება, დამატებითი დაბრკოლების გარეშე მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში“, — განაცხადა მარაქველიძემ.

## „ქართული დასი“ 2 ოქტომბრიდან აქციებს იწყებს

პოლიტიკური პარტია ”ქართული დასი” 2 ოქტომბრიდან აქციებს იწყებს.

როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, აქციები, სახელწოდებით „დაიცავი საკუთარი ხმა“ პერმამენტული იქნება.

მისივე თქმით, აქციები 23 დღის განმავლობაში თბილისისა და ქუთაისში პარლამენტის შენობებთან, ასევე პრეზიდენტის რეზიდენციასთან გაიმართება.

როგორც მან აღნიშნა, აქციები იმ შემთხვევაშიც გაიმართება, თუ გამოცხადებული მაჩვენებლები არჩევნების რეალურ შედეგებს არ ასახავს.

„თემატური ხასიათის აქციები არჩევნების რეალური შედეგების გამოქვეყნებას, კონსტიტუციური წყობის დაცვას და ქვეყანაში სტაბილურობის დაცვას ემსახურება,” - განაცხადა ბაღათურიამ

აქციის ჩატარების ნებართვის მისაღებად თბილისისა და ქუთაისის მერებს ”ქართული დასის” წარმომადგენლები განაცხადებით ხვალ მიმართავენ.

„მედიანიუსი“



# malxaz wereTeli: „ჭიათურმანგანუმის“ ხელოვნური გაკოტრება 12 000 აქციონერისა და მათი ოჯახის წევრებისათვის მუდმივ და მოუშუშებელ ჭრილობად დარჩება...

*ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საწარმოს, სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის“ გაკოტრების ანატომიის, ფართო საზოგადოებისათვის უცნობ დეტალებზე პოლიტიკური კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ ჭიათურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი* **მალხაზ წერეთელი** *გვესაუბრება.*

**— ბატონო მალხაზ, ყოველგვარი ფამილარობის გარეშე მინდა მოგმართოთ: თქვენი განვლილი გზით, ცხოვრების წესით, ადამიანური თვისებებით ჭიათურაში ერთ-ერთ გამორჩეული პიროვნება ბრძანდებით. რამდენად საკმარისია ეს, რომ პარლამენტში ჭიათურელთა რჩეული გახდეთ?**

— გმადლობთ, ასეთი შეფასებისათვის. მეუხერხულება საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც შევეცდები გიპასუხოთ.

პოლიტიკაში ახალფეხადგმული არ მეთქმის — წლებია, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვარ. ჩემი წარსულითაც შემიძლია ვიამაყო, თუმცა ჩემი, როგორც დეპუტატობის კანდიდატის უპირატესობას (მეპატიოს პირდაპირობა) ერთი რამეც განაპირობებს.

მე, მალხაზ წერეთელი, ვიქნები სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის“ იმ 12 ათასზე მეტი აქციონერის უფლებათა დამცველი საქართველოს პარლამენტში, რომლებიც ამ საწარმოს ხელოვნურად გაკოტრების მსხვერპლნი გახდნენ. ასეთი მეთოდით გაკოტრებამ მძიმე დარტყმა მიაყენა „ჭიათურმანგანუმის“ აქციონერების ქონებრივ მდგომარეობას, რაც მათი ოჯახებისთვის დღემდე მოუშუშებელი ჭრილობაა.

საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში, ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი ამ აქციონერთა უფლებების აღდგენა იქნება — ყველაფერს ვიღონებ, რომ შეიქმნას საპარლამენტო კომისია „ჭიათურმანგანუმის“ გაკოტრების დეტალების დასადგენად და სამართლიანობის აღსადგენად.

აქვე განვმარტავ: ამ საქმის გამოძიება ხელს არ შეუშლის შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მუშაობას, რომელიც „ჭიათურმანგანუმის“ ქონების ბაზაზე აგრძელებს მუშაობას, თუმცა მისი სამართალმემკვიდრე არ არის.

**— იქნებ მკითხველს უფრო დეტალურად განუმარტოთ, როგორ გააკოტრეს „ჭიათურმანგანუმი“ ხელოვნურად?**

— სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის“ ქონებაზე გაკოტრების საქმის წამოწყების შემდეგ მალევე, სასამართლოს განჩინებით, საწარმო რეაბილიტაციის რეჟიმზე გადაიყვანეს. რამდენიმე თვის განმავლობაში მანგანუმის მოპოვება და მთლიანად საწარმოო პროცესი, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ რეჟიმში ჩადგა... მაგრამ მალევე კვლავ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება. გაკოტრების მმართველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ადვოკატი როინ მიგრიაული დანიშნეს. მის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში სამართლის ამ დარგის განვითარება. ვფიქრობდით, რომ ცნობილ იურისტს საქმის გამრუდებულად წარმართვას ვერავინ გაუბედავდა.

ბატონი როინ მიგრიაული, როგორც მოსალოდნელი იყო, შეუდგა დაკისრებული მოვალეობის კვალიფიციურად შესრულებას, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს იმდროინდელი კანონის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს: მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილი მოვალის ეკონომიკური და ფინანსური სიძნელეების გადაწყვეტას, აგრეთვე მისი კრედიტორების ინტერესების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას. საქმის წარმოება მოვალის გადარჩენა-გაჯანსაღებამდე უნდა მისულიყო... მაგრამ საქმე სხვაგვარად წარიმართა.

არ ვიცი, რა წერია ოფიციალურ დოკუმენტებში, რა მიზეზით დატოვა როინ მიგრიაულმა გაკოტრების მმართველის თანამდებობა დანიშვნიდან ორ თვეში, მაგრამ ცნობილია რეალური მოტივი — მან იგრძნო, რომ იგი შესაძლოა, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის მონაწილე გამხდარიყო, თუკი „ჭიათურმანგანუმის“ აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელის — ეკონომიკის სამინისტროს ნებას დათანხმდებოდა.... ახალ მმართველად იურისტი დავით კაკაბაძე დაინიშნა...

**— ინტერვიუს შესავალშივე აღნიშნეთ, რომ საწარმოს გაკოტრებით დარტყმა მიიღო 12 ათასზე მეტმა აქციონერმა. როდის და როგორ გახდნენ ისინი აქციონერები?**

— XX საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში პრივატიზების პროცესი დაიწყო, საწარმო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმი“ გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად, რომლის აქციათა 100 პროცენტი სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა. პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებით, ამ აქციათა სამი პროცენტი შრომითი კოლექტივის 12 ათასზე მეტ თანამშრომელს უსასყიდლოდ გადაეცა. მაშინ თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება ერთ ლარს შეადგენდა. 2004-2005 წლებიდან მოყოლებული, ჭიათურის მანგანუმზე მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნა თანდათან იზრდებოდა, შესაბამისად, აქციათა ფასმაც მკვეთრად მოიმატა. სპეციალისტების დასკვნებით, „ჭიათურმანგანუმის“ ხელოვნური გაკოტრება რომ არა, აქციათა 3 პროცენტის საბაზრო ღირებულება დღეს მილიონობით დოლარი იქნებოდა.

ასე რომ, როდესაც „ჭიათურმანგანუმის“ ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოება გაიხსნა, ამით მოვალის ეკონომიკური სიძნელეების დაძლევა კი არ იყო განზრახული, არამედ, თურმე, იმთავითვე საწარმოს ლიკვიდაცია იგეგმებოდა.

12 ათასზე მეტი აქციონერის ვინაობა (სახელები, გვარები, საცხოვრებელი ადგილის მისამართები და სხვა) დღესაც არის დაფიქსირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მონაცემებსა და შესაბამის სხვა დოკუმენტაციაში.

**— და უფლებაშელახული, ქონებაწართმეული აქციონერებისათვის ცნობილი არაფერია?**

— მათ ყველაფერი ჩინებულად იციან, მათ შორის — ეკონომიკის სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ცინიკური ხუმრობის შესახებ: „ჭიათურმანგანუმის“ გაკოტრებასთან დაკავშირებით ერთ-ერთ თათბირზე მას უთქვამს: 12 ათას აქციონერს მათსავე სამუშაო იარაღებს გავაქონინებ, მათზე დავსვამ და ისე მოვისვრიო... ამჟამად ბევრი აქციონერი ჯერ კიდევ მანგანუმის მრეწველობაში მუშაობს (როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ბიზნესს შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ აგრძელებს) და სამუშაოს დაკარგვის შიშით პირში წყლის ჩაგუბებას ამჯობინებს.

რაც შეეხება მაღალჩინოსნის დანაქადებს, მან სიტყვა შეასრულა, მართლაც „მოისროლა“ 12 ათასზე მეტი აქციონერი, რომელთაც ხელთ ფარატინა ქაღალდებიღა შერჩათ. იმ 12 ათას „მოსროლილ“ აქციონეთა შორის იყვნენ საწარმოო მარცხით დაინვალიდებული ადამიანები, რეგრესის პენსიონერები (ბევრი მათგანი ინვალიდის ეტლს დღემდეა მიჯაჭვული), რომლებიც მიზერული სახელმწიფო პენსიის იმედად დარჩნენ. მკითხველს შევახსენებ, რომ მიმდინარე წლის აპრილში ბატონი ბიძინა ივანიშვილი რეგრესის პენსიონერებს შეხვდა და დახმარება აღუთქვა. კოალიციის პროგრამის ეს ნაწილი პრაქტიკულად გადაწყვეტილია.

„მოსროლილმა“ აქციონერებმა იციან, რომ არავის არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ გაკოტრების საქმის წარმოება ლიკვიდაციით კი არა, რეაბილიტაციით დამთავრებულიყო. მათთვის ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ეკონომიკის სამინისტროს ზეწოლის გამო, სასამართლოში ვალაუვალი მოვალის მიერ, არც ერთი კერძო საჩივარი, არც ერთი მორიგების განცხადება არ შესულა.



ვიდრე მომდევნო კითხვაზე გადავიდოდეთ, მცირედი გადახვევა; პრეზიდენტი სააკაშვილი სატელევიზიო გამოსვლებისას ხშირად იმეორებს — ჩვენთან არ მოიპოვება ნავთობი და ბუნებრივი აირი, ამიტომ ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერი არ არისო. ერთი სული მაქვს ამ დროს სიტყვა შევაწყვეტინო და შევახსენო:

ბატონო პრეზიდენტო, სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს უნიკალური ფიზიკური და ქიმიური თვისებებით გამორჩეული ჭიათურის მანგანუმი, რომლის წარმოების შედეგად მიღებული მილიონობით დოლარის მოგება, სადღაც შორს, კვიპროსის ოფშორული ზონის ბანკებში, იქვე დარეგისტრირებული კომპანიის ანგარიშზე ირიცხება, რომლის დამფუძნებელთა ვინაობა გასაიდუმლოებულია.

ასე რომ, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ეკონომიკური უძლურების მიზეზი ბუნებრივი რესურსების ნაკლებობა კი არა, ელიტური კორუფციაა.

**— როგორღა გაგრძელდა „ჭიათურმანგანუმის“ გაკოტრების საქმის წარმოება?**

— გაკოტრების წარმოების პროცესში (2005-2008 წლები), ლამის ყოველდღიურად იზრდებოდა მოთხოვნა ჭიათურის მანგანუმზე და მატულობდა სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციაც. ამას სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიც ადასტურებს. არსებობდა იურიდიული და რეალური ფაქტობრივი საფუძვლები იმისა, რომ მომხდარიყო „ჭიათურმანგანუმის“ რეაბილიტაცია. ეს პროცესი საბოლოოდ დაასრულა 2008 წლის 4 ივლისს საჩხერის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე — მალხაზ ჩუბინიძე, სხდომის მდივანი — ნინო ჩიხელიძე): „ჭიათურმანგანუმის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება დასრულებულად ცნო; საწარმო გაკოტრებულად გამოაცხადეს და სამეწარმეო რეესტრიდან ამოიღეს. აი, ფინალი აშკარა უკანონო ეპოპეისა!

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: აქციონერებს, ვინც თავიანთი ჯანმრთელობა და ახალგაზრდობა „ჭიათურმანგანუმის“ წარმატებულ საწარმოდ ჩამოყალიბებას შესწირა, ხელთ ფარატინა ქაღალდი შერჩათ. საწარმოო სიმძლავრეები: გამამდიდრებელი ფაბრიკები, მაღაროები, ავტოსატრანსპორტო პარკი, უნიკალური წიაღით მდიდარი საბადოები ლამის საჩუქრად გადაეცა შპს „ჯორჯიან მანგანეზს“, რომლის დამფუძნებელი კვიპროსის ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიაა.

**— ბატონო მალხაზ, ჩვენი ინტერვიუ პესიმისტურ ნოტზე მთავრდება?**

— რას ბრძანებთ, არასოდეს ვყოფილვარ პესიმისტი! ვიცი, თვითონ ქალაქ ჭიათურაში, მის რიონებში, სოფლებში უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი. ქალაქი თითქოს სასმელი წყლის რესურსების ნაკლებობას არ განიცდის, მაგრამ სრულიად მოუწესრიგებელია წყალმომარაგების სისტემა, რომელზეც უკვე სამ მილიონამდე ლარია დახარჯული.

თუკი დეპუტატად ამირჩევენ, „შავი ოქროს“ ქალაქში პრიორიტეტული იქნება გარემოს დაცვის საკითხები, მიწისძვრითა და მიწისქვეშა სამთო სამუშაოების წარმოებისას დაზარალებულთა უფლებების დაცვა, სოფლის მეურნეობის განვითარება... მე მზად ვარ, ამ პრობლემების მოსაგვარებლად, ჭიათურელთა ინტერესების დასაცავად...

ნება მომეცით, ეს ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამით დავასრულო: „ჩვენ დავამთავრებთ საქართველოში საბჭოეთის ეპოქას, ტყუილების ეპოქას! ელიტარული კორუფციის ეპოქას! უსამართლობისა და უნამუსობის ეპოქას! საქართველოში პატიოსნების დრო მოდის!“

**თამაზ თოფურიძე**

ლუის ნავაროსთან მიმართებაში მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი არსებობს- სამარცხვინოდ გავაძევოთ საქართველოდან. გავაძევოთ ისე, რომ მომავალში ვერც ერთმა მოხალისე ნავარომ ველარ შეძლოს ქართველი ხალხისთვის თავზე დაფურთხება. ვფიქრობ, რომ საპროტესტო კამპანიის მთავარ ღერძად უნდა იქცეს აქციების ორგანიზება ნდI-ის და სხვა ოფისების წინ. ახლა, რა თქმა უნდა, გამოხტება ზოგიერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, თუ პოლიტიკოსობის მსურველი და იტყვის, რომ ეს პროცესისთვის ხელის შეშლაა...:))) დაიწყეთ აქციების ორგანიზება იმ გაყალბებისა და ტყუილის წინააღმდეგ, რასაც ნავაროები გვახევენ თავს. ეს კრიმინალია. აქციების ორგანიზება კი არაა დანაშაული — ჩვენი მთავარი უფლებაა.

ძველად ქართველები ძალიან დაფასებულები ვყოფილვართ! ლეკები მოგვიტაცებდნენ თუ არა მაშინვე სტამბოლის ბაზარზე გავყავდით, სადაც ტაციაობა ტყდებოდა ჩვენზე, არა მე უნდა ვიყიდო, არა - მეო! ახლა მაზანდა დაგვივარდა, შეიძლება კი შემოვეტაცოთ ვინმეს, მარა მუშტარი აღარ გვყავს, ამიტომ გვაჭმევენ, გვაცმევენ, ჯიბის ფულს გვაძლევენ და უკან გვაბრუნებენ. ამ პირობებში იავნანამ რა უნდა ქნას?!

ყრილობა იყო ფორმით ვითომ ამერიკული (როგორც ალბათ, შეუკვეთა მიშამ თავის პიარშჩიკებს) და შინაარსით — სუფთა კომუნისტურ–ბოლშევიკური. ტექსტებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, მართლა ცუდად აქვთ ეტყობა, საქმე, ჩვეულებრივზე მეტი ტყუილი და ცილისწამება დასჭირდათ! თან ნამეტანი ხმაჩახლეჩილები ღრიალებდნენ.




# xa l xis az r iT

არა მარტო ”ლენინიზმ-ნეობოლშევიზმის” - სრული მარაზმის კარნავალია ” ჰეილ ჰიტლერ-ის წინამძღოლობით!!! თავი ევროპაში ვისაც ჰგონია, ძალით ჩაცმულ 5-იან მაისურებში გამოწყობაზე, დემონსტრაციებზე ძალით მონაწილეობის მიღებაზე საბჭოთა კავშირი ცოტათი მაინც არ ელანდებათ?რამდენი ”მოდელირებული ქრონიკა” უნდა ვნახოთ, რამდენი ლოპოტას ხეობის ოპერაცია, რამდენი შარაძე, ჟვანია, გირგვლიანი, ვაზაგაშვილი, გამცემლიძე, ქიმერიძე, სოსო წიკლაური, ჩოხელი, ხვედელიძე და სხვა, რამდენი დაღუპულ-დაჭრილი ავლანეთში, რამდენი ატირებული დედა, მამა, მეუღლე, შვილი, შეყვარებული, რამდენი ნაცემი და შეურაცხყოფილი ვეტერანი, სახლებიდან გამოყრილი ძველი თუ ახალი ლტოლვილ-დევნილი, გარედან გამჭვირვალე და შიგნიდან ბნელი, ბურუსით მოცული პოლიციის შენობა, რამდენი ვანდალური ძეგლის გადატან-გადმოტანა ან სულაც აფეთქება-განადგურება,რამდენი უნდა ვნახოთ და ვიგემოთ, რომ გამოვფხიზლდეთ?! თავს ნუ დავიმშვიდებთ, რომ ”დრონი მეფობენ და არა მეფენი”!!! იქნებ სენეკას დავუჯეროთ: ”გავზომოთ ცხოვრება ქმედებებით და არა დროით”.




# `makkeiniT var maked~

## „თუ გინდა სითბო და ალერსი, მეგობარს ჩახედე თვალებში“

— მაკკეინი სააკაშვილთან ჩამოვიდა, როგორც მეგობარი მეგობართან, რომ არჩევნების წინ გაეფრთხილებინა, რაიმე სისულელე არ ჩაიდინო, ბიჭო და არ დაგვლუპოო — ასეთ ახსნას უძებნის ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი მაკკეინის ვიზიტს საქართველოში.



— მსოფლიოში ძალიან ცოტა დარჩა ადამიანი, ვისაც სააკაშვილი უჯერებს... ის იმდენადაა შეპყრობილი ძალაუფლების შენარჩუნების სურვილით, რომ ცოტა ვინმეს თუ უსმენს, ხოლო ვისაც უსმენს, მათგან მაკეინი, რა თქმა უნდა, გამორჩეული პიროვნებაა სააკაშვილისთვის. მაკკეინი, ალბათ, შეეცადა დაერწმუნებინა სააკაშვილი, რომ სჯობს არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს — ამბობენ ქართველი ექსპერტები და პოლიტოლოგები.

მოკლედ რომ ვთქვათ, დიდი მარჩიელობა და მკითხაობაა გაჩაღებული — რატომ ჩამოვიდა მაკკეინი და რა უთხრა სააკაშვილს? სააკაშვილის დასატუქსად ჩამოვიდა თუ სააკაშვილის მხარდასაჭერად? იქნებ იმის გასაგებად, ეს ივანიშვილი რუსეთის კაცია თუ არა?

ამ მაკეინის გამკვირვებია, ივანიშვილის რუსეთუმეობის ამბავი რომ აინტერესებს, რატომ ის არ აინტერესებს ვინ არის სინამდვილეში მისი პოლიტიკური შვილობილი მიხეილ სააკაშვილი და ისეთი რა მეგობრულ-ნათესაური კავშირები აქვს რუსეთთან, ნახევარი საქართველო თავის ტერიტორიებიან-ეკონომიკიანად რუსეთს რომ გადააბრალა?

მარტო ამ მაკკეინის კი არა საერთოდ ამერიკელების მიამიტობით და გულუბრყვილობით ვარ გაოცებული, მათთვის როგორ დარჩა დამალული და გაუგებარი ის, რაც საქართველოში თითქმის ყველამ იცის — დაწყებული ჟურნალისტებიდან და დამთავრებული რიგითი მოქალაქეებით.

მაკკეინს მოახსენეს, რომ ბიძინა ივანიშვილმა თავისი უკანასკნელი ბიზნესიც გაყიდა რუსეთში, მაგრამ რატომღაც არაფერი მოუხსენებიათ იმის შესახებ, რომ თვით ხელისუფლება და მასთან დაახლოებული პირები კიდევ უფრო აღრმავებენ და აძლიერებენ რუსეთთან ბიზნესურთიერთობებს.

რატომ არაფერი უთხრეს მაკკეინს და მის თანმხლებ სენატორებს, რომ სააკაშვილი და პუტინი კრიზისულ სიტუაციებში ისე ფილიგრანულად აზღვევენ ერთმანეთს, ისე სინქრონულად მოქმედებენ, რომ დიდი მიხვედრა არ უნდა, რასთან გვაქვს საქმე.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როცა სააკაშვილის გუნდში მოიაზრებიან ბენდუქიძეები, ვაშაძეები, ნაყოფიები, შარანგიები, სხვები და სხვები, ივანიშვილის პრორუსულობაზე საუბარი სასაცილო არ არის?

მაკკეინს, რომელიც ოთხი წელი ჰყავდათ რუსებს ტყვედ, პათოლოგიურად სძულს რუსეთი და ეტყობა, შურისძიების გრძნობა არ ასვენებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტყვეობიდან ბევრმა წყალმა ჩაიარა და ამერიკა-ვიეტნამის ომიც უკვე ბევრს არ ახსოვს.

სამაგიეროდ, ყველაფერი ახსოვს მისტერ ჯონს და, როგორც ვთქვით, რუსებზე შურისძიების დაუოკებელი სურვილი მოხუცებულობაშიც გადმოჰყვა.

— რუსებმა გაწყენინეს? აგერ არ ვარ მე? თქვენ ოღონდ იარაღი მოგვეცით და რუსებს თავიანთ დაჟანგულ ტანკებს და თავიანთ ფრთამოღრეცილ თვითმფრინავებს სულ ჯართად ვუქცევთ! — გამოვარდა უცებ ხმალამოღებული ჯეელი, ტანად ბრგე, ხმით ხაფი, ალაგ-ალაგ მრისხანე, გვარად სააკაშვილი და ერთბაშად მოხიბლა უკვე ასაკში შესული მაკკეინი.

— აი, ვინ ამიხდენს ოცნებას, აი, ვინ იძიებს შურს ჩემს მაგივრად, აი, ვინ მჭირდება მე, — იფიქრა მაკკეინმა და ერთი რომ ჩაავლო ხელი ამ ახლად მოვლენილ გმირს, დღემდე არ გაუშვა.

ამასაც, ამ „გმირ“ ჯეელსაც რა ენაღვლება — ხან დედას აგინებს რუსეთს, ხან მამას, ხან ორივეს ერთად, ერთი-ორჯერ ყუმბარებიც ლეწა, რითაც, ალბათ, მაკკეინის გული გაახარა, თუმცა ამით მაკკეინის გულთან ერთად რუსების გულიც გაახარა, რომლებმაც საპასუხოდ ისეთი დაგვცხეს, დღემდე ვერ მოვსულვართ გონს.

მოხერხებული კაცია ეს ჩვენი სააკაშვილი — იქით მაკკეინს და ამერიკელებს უხარებს გულს, აქეთ პუტინს და რუსეთს, ერთადერთი, ვისაც გულს უკლავს, ეს ქართველებია, თუმცა ქართველები სათვალავში ჩასაგდებიც არ არიან, მთავარია, მაკკეინს და რუსებს ასიამოვნოს.

— ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ საქართველომ შეპირებული შეიარაღება დროულად მიიღოსო — დაუბარა „ბაბუა“ ჯონმა თავის საამაყო „შვილიშვილს“ და წავიდა.

მართალია, ის არ უთქვამს, შეიარაღებას კი მოგცემთ, მაგრამ მერე შენ იცი, როგორ შენებურად მიულეწავ თავ-ყბას ამ თავხედ რუსებსო, მაგრამ ამას თქმა რად უნდოდა — ეს ხომ ისედაც იგულისხმებოდა.

როგორც ჩანს, მაკკეინს მტკიცედ სჯერა, რომ 1 ოქტომბრის არჩევნებში ისევ სააკაშვილი და მისი „ნაც.მოძრაობა“ გაიმარჯვებს და სწორედ იმიტომ თქვა, იარაღს მოგცემთო, თორემ მაკკეინი ივანიშვილის შესაიარაღებლად რომ არ მოიკლავდა თავს, ცხადია.

ახლა მთავარია, „ნაცმოძრაობის-„ღირსეული“ გამარჯვების შემდეგ ვილაცვილაცებმა ქუჩაში გამოსვლა და ხმის ამოღება არ გაბედონ და „გამარჯვებულს“ „გამარჯვება“ ყოველგვარი პროტესტის გარეშე მიულოცონ.

ასე იშიფრება მაკკეინის ნართაულები და არა ისე, როგორც „ქართული ოცნების“ ზოგიერთი ექსპერტი შიფრავს.

რა დავაშავეთ ასეთი, მაინცდამაინც მაკკეინს უნდა შევეწიროთ?

დაბოლოს, აქვე გთავაზობთ მკითხველის მიერ გამოგზავნილ ლექსს სათაურით „მაკკეინი ვართ მაკედ“.

მხატვრული ღირებულებების თვალსაზრისით, ლექსი დიდი ვერაფერი ბედენაა, მაგრამ შინაარსით საინტერესო უნდა იყოს:

### მაკკეინით ვართ მაკედ

**კვლავ აღმართს ვებღაუჭებით,**  
**ვერაფრით გავივაკეთ,**  
**იქით მზიანი დარია,**  
**თოვს და წვიმაა აქეთ.**  
**ისევ თალხშია ჩამჯდარი,**  
**ჩემი ვერა და ვაკე,**  
**მაკკეინით ვართ ფეხმძიმედ,**  
**მაკკეინით ვართ მაკედ.**

**ზეიმობს სააკაშვილი,**  
**პუტინი — არანაკლებ!**  
**დაბეჩავებულ ქვეყანას**  
**თავზე აყრიან ნაკელს,**  
**წინ არამზადა მიუძღვის,**  
**არამზადების ნაკრებს**  
**მაკკეინით ვართ ფეხმძიმედ,**  
**მაკკეინით ვართ მაკედ.**

**ავღანეთს მივალთ საომრად,**  
**და რასმუსენი გვაქებს.**  
**ოქტომბრის შემდეგ ნაცები,**  
**დაგვირიგებენ კაკებს.**  
**კვლავ გადავავსებთ ისედაც**  
**პირთამდე სავსე საკნებს.**  
**მაკკეინით ვართ ფეხმძიმედ,**  
**მაკკეინით ვართ მაკედ.**

*P.S. ამ ამერიკელებს უცნაური ზნე დასჩემდათ ბოლო ხანებში — საქართველოს საზღვრებს გასცდებიან თუ არა, რატომღაც სააკაშვილის სიყვარულის ბუშტი გაუსკდებათ იმწამსვე და საზღვრებს გარედან სულ პაჩი-პუჩებს გვიგზავნიან.*

*ასე მოიქცა ქალბატონი ჰილარი და ასე მოიქცა ბატონი მაკკეინიც, რომელმაც საქართველოდან ცოტა შორს დაიგულა თავი თუ არა, ეგრევე მთელ მსოფლიოს აცნობა:*

*— მე ვამაყობ, რომ სააკაშვილი ჩემი მეგობარიაო.*

*ეხ, ქალბატონო თინათინ ხიდაშელო, რა ტყუილად გვაიმედებდით, მაკკეინი თავისი მეგობრის მეგობრულად დატუქსვის მიზნით ჩამოვიდაო.*

*დატუქსვა კი არა, ვერ ხედავთ კაცს ეამაყება, რომ სააკაშვილის მეგობარია...*

**გიორგი გამეზარდაშვილი**


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# გოგი ხუციშვილი:

# saakaSvils surs Tanamedrove modernizebuli iarliyiT qveynis mmarTvelobaSi feodaluri tipis urCxuli daabrunos



**გვესაუბრება კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორი, პროფესორი გოგი ხუციშვილი:**

**— ბატონო გოგი, NDI-მ კვლევა ჩაატარა, რის შედეგადაც ბიძინა ივანიშვილს მხარს 12 პროცენტი უჭერს.**

— NDI ავტორიტეტიანი საერთაშორისო ორგანიზაციაა, მაგრამ მეორე მხრივ, იგი კვლევებს საკუთარი ძალებით არ ატარებს — მას ადგილობრივ პროფესიულ ჯგუფთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. შესაბამისად, პასუხისმგებლობა რასაც NDI-ს ვაკისრებთ, ქართულ პროფესიულ ჯგუფზე უნდა გადავამისამართოთ. ჯგუფი, რომელთანაც ლუის ნავარო მუშაობს, არ შეიძლება მიუკერძოებლად, ობიექტურად ჩაითვალოს. კარგი იქნებოდა NDI-ს დროდადრო სხვადასხვა ჯგუფებთან გაეფორმებინა ხელშეკრულება, მაგრამ ამ არჩევნებისთვის ეს რჩევა უკვე დაგვიანებულია.

**— როგორ ფიქრობთ, ვის დაუჭერს ამ არჩევნებში ამერიკა მხარს — მიხეილ სააკაშვილს თუ ხალხს? მათი მხარდაჭერა ხომ ყოველთვის პრეზიდენტს ეკუთვნოდა.**

— ახლა, ასე არ იქნება, თუმცა ხელისუფლებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ამერიკას აღარ სურს ისე გამოჩნდეს, თითქოს ზეწოლას ახდენს ერთი რომელიმე პოლიტიკური ძალის საწინააღმდეგოდ ან სასარგებლოდ. ამიტომაცაა აშშ საკუთარ ქმედებებსა და შეფასებებში თავშეკავებული, მაგრამ შეფასებები, რაც ამერიკელი პოლიტოლოგების, მეცნიერების მიერ კეთდება, ვაშინგტონის მხრიდან მხარდაჭერილია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. შეფასებები, რომელიც არაოფიციალური ხაზით კეთდება, ძალიან კრიტიკულია. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს დამოკიდებულება შეცვლილია, რაც გამოწვეულია შემდეგით — ყველა ცივილიზებული ქვეყნის პრაქტიკითა და კანონით, გუნდი, რომელმაც ხელისუფლებაში ორი ვადა ამოწურა, უნდა წავიდეს და ადგილი სხვა გუნდს დაუთმოს. მთავარი ესაა. უნდა მოხდეს ხელისუფლების ტრანზიცია, მაგრამ ეს პროცესი ჩვენთან გაძნელებულია, რადგან ჯგუფი, რომელიც ხელისუფლებაშია იმდენადაა ჩაბღაუჭებული სკამებს, რომ პრაქტიკულად არავის აძლევს შესაძლებლობას ძალაუფლება გაუყოს.

**— სააკაშვილმა აღნიშნა კიდეც, აღმაშენებელმა 20 წელი მოანდომა ქვეყნის გაერთიანებასო. ეს, პრაქტიკულად მინიშნება იყო, რომ იგი არსად წასვლას არ აპირებს.**

— ახლა XXI საუკუნეა, სააკაშვილი კი XII-XIII საუკუნის ამბებს გვთავაზობს საპროგრამო მიზნად. მან ხომ თქვა — ჩემი აშენებული ქვეყანა სხვას როგორ უნდა გადავცეო. მას უნდა თანამედროვე მოდერნიზებული იარლიყით ფეოდალური ტიპის ურჩხული დააბრუნოს ქვეყნის მმართველობაში.

**— რაც შეეხება სენატორების ვიზიტს, როგორ შეაფასებთ მათ განცხადებებს?**

— საერთოდ, ძალიან კრიტიკულად, სკეპტიკურად ვუყურებ იმას, რომ წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოში სწორედ ის სენატორები ჩამოდიან, რომლებიც სააკაშვილს უჭერენ მხარს. ეს, წინასაარჩევნოდ პოლიტკურ ზეწოლას ჰგავს. ეს ხელისუფლების ერთ-ერთი დაგეგმილი ნაბიჯი იყო, რათა საარჩევნოდ თავიანთი პოლიტიკური პოზიციები გაეძლიერებინათ. მაკკეინი და კიდევ რამდენიმე სენატორი „რესპუბლიკური პარტიის" იმ კონსერვატიულ ჯგუფს წარმოადგენენ, რომლებიც ბუშის პერიოდში რადიკალურ პოზიციაზე იყვნენ, რამაც საქართველოს არა დემოკრატიული, არამედ ავტორიტარული გზით სვლას შეუწყო ხელი.

**— ამ ფონზე, რამდენად უნდა გვქონდეს დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მოლოდინი?**

— მოლოდინი მაინც უნდა გვქონდეს. იმიტომ, რომ გაყალბება გარკვეულ ფარგლებში ხდება. არ არსებობს აბსოლუტური, სრული გაყალბება. ყველაფერი ამომრჩევლის აქტივობაზე, მის ჩამოყალიბებულობაზეა დამოკიდებული. თუ ხალხი 1 ოქტომბერს იმ არჩევანს გააკეთებს, რასაც ახლა მისი განწყობები გამოხატავს, მაშინ მმართველმა პარტიამ ვერ უნდა შეძლოს იმდენი ხმის დაგროვება, რომ აბსოლუტურ დომინანტურ პოზიციაში დარჩეს. მაგრამ თუ აღმოჩნდა, რომ ჩვენი ამომრჩეველი წინააღმდეგობრივი, ჩამოუყალიბებელი, სუსტია გადაწყვეტილების მიღებაში და „იმედის", „რუსთავი-2"-ის გავლენის ქვეშ ექცევა, მაშინ სამომავლოდ ამ ქვეყნის საქმე ცუდად ყოფილა.



**— როგორ ფიქრობთ, დღევანდელი ამომრჩეველი სუსტია გადაწყვეტილების მიღებაში?**

— დიახ, სუსტია და სწორედ ეს მაღელვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ არჩევნების შემდეგ ჩვენი დემოკრატიული განვითარების პერსპექტივები და ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების სურვილი, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მოსახლეობის უმრავლესობამ ხელი უნდა შეუწყოს არსებული ვითარების შეცვლას და პარლამენტი იმ ძალებისგან დაკომპლექტდეს, რა მოთხოვნაც საზოგადოებაშია. ამჟამად, ჩვენ ხელოვნური პარლამენტი გვაქვს, ეს უნდა დამთავრდეს. ამომრჩეველთან შეხვედრებს ვმართავთ, ისინი ხშირად აღნიშნავენ — გვინდა, აზრი უფრო აქტიურად გამოვხატოთ, მაგრამ გვეშინია და თავს ვიკავებთო. კი, ბატონო, ახლა შეიკავეთ თავი, მაგრამ არ შეიკავოთ თავი 1 ოქტომბერს, სადაც არავინ გიყურებთ და თავისუფლად შეგიძლიათ აზრის დაფიქსირება. მთავარი ესაა, მაგრამ თუ საკუთარი, რეალური არჩევანის დაფიქსირება მოსახლეობას მასობრივად გაუჭირდა, უკვე ქვეყნის მომავალზე დიდი კითხვის ნიშანი დაისმება. საფრთხე იმისა, რომ მოსახლეობას ამ არჩევანის გაკეთება გაუჭირდება, არსებობს. მაგრამ მაინც იმედს ვიტოვებ, რომ 1 ოქტომბერს არჩევნებზე ხალხი ჩამოყალიბებული პოზიციით მოვა.

**— ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილი ხმამაღლა აცხადებს, რომ არჩევნები უკვე გაყალბებულია. ზოგი თვლის, რომ ამ შემთხვევაში გამოსავალი მეორე დღეს ქუჩაში გამოსვლა და მსოფლიოს მიერ ჩვენი დათვლაა. რას ფიქრობთ, ამაზე?**

— რა თქმა უნდა, სჯობს არჩევნებამდე დაგვთვალონ. არცერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და დამკვირვებელთა ჯგუფი საკუთარ თავზე არ აიღებს იმას, რომ ქვეყნის მთავრობის მიერ შექმნილ სურათს მკვეთრად დაუპირისპირდეს, გააბათილოს და ბოლომდე გაიყვანოს თავისი აზრი, ეს არ მოხდება. მათ იციან, რომ თავიანთ სიმართლეს ვერ გაიტანენ. ამიტომ, მათ შეუძლიათ დარღვევების აღმოჩენა, საერთო ვითარებაზე აზრის გამოთქმა, მაგრამ მიღებული შედეგის გაუქმებას, შეცვლას ვერცერთი საერთაშორისო ორგანიზაცია საკუთარ თავზე ვერ აიღებს.

**— ანუ რა გამოდის, მათგან ძველებურად აღშფოთება-შეშფოთებას მივიღებთ?**

— ასე გამოდის. ამიტომ, სჯობს რეაგირება ახლავე მოხდეს. თუნდაც, თუ ვთვლით, რომ დამკვირვებლები საკმარისი არ არიან, ახლავე მოვითხოვოთ დამატება. ოპოზიცია, სამოქალაქო სექტორი ახლა უნდა გააქტიურდეს და არა არჩევნების მერე. ეს არჩევნები საქართველოს მომავლისთვის გადამწყვეტია. თუ ამ არჩევნების შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს მოსახლეობა ეთანხმება დღეს არსებული ფიქტიური პარლამენტის კიდევ 4 წელი იმავე სახით არსებობს, ეს უკვე საზოგადოების უუნარობაზე იმეტყველებს, რასაც ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვება.

**— ოპოზიციის ნაწილი არჩევნების გაყალბების შემთხვევაში მოსალოდნელ რევოლუციაზე საუბრობს, როგორია თქვენი პროგნოზი ამ საკითხთან მიმართებაში?**

— არამგონია რევოლუცია მოხდეს. არავინ დაუშვებს ხელისუფლების ლეგიტიმაცია უკვე მეორედ რევოლუციის გზით მოხდეს. მთელი დატვირთვა უკვე ამომრჩეველზე გადადის, ანუ რამდენადაა იგი ცვლილებისთვის მასიურად მზად. არა კონკრეტულად რომელიმე კანდიდატის მხარდასაჭერად, არამედ ცვლილებისთვის. ერთპარტიული პარლამენტი უნდა დასრულდეს, მთელი დატვირთვა სწორედ ამაზე მიდის — თუ რამდენადაა მზად ამომრჩეველი ამისთვის. უნდა შემუშავდეს მექანიზმები, რომელიც თვითონ არჩევნების დღის გაკონტროლების საშუალებას მოგვცემს. ოღონდ, არა ეგზიტპოლები. ეს მოსახლეობაზე ძალიან დიდ ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს. ძალიან მაშფოთებს ერთი რამ — წინა არჩევნების წინ სამოქალაქო სექტორსა და საერთაშორისო დამკვირვებლებს შორის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა და კომუნიკაცია იყო, ახლა გაცილებით ნაკლებია. რატომ უნდა ხდებოდეს ეს? ეს არჩევნები ხომ სასიცოცხლოდ უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე წინა.ამ არჩევნების მიმართ უფრო მეტი ყურადღებაა, ამავე დროს დამკვირვებელთა მისია უფრო ნაკლებად შემოდის კონტაქტში, ვიდრე ადრე იყო.

**— რას უკავშირებთ ამ ყოველივეს, რით შეიძლება იყოს ეს გამოწვეული?**

— შემიძლია ვთქვა, რომ ქუჩაში ვიღაც ადამიანი დაშინებულია, მაგრამ როგორ შეიძლება ეუთოს დამკვირვებელი დააშინო?! აბა, რა არის მიზეზი? — მოუმზადებლობა იმ ვითარებისადმი, რომელშიც სამუშაოდ ჩადიხარ, თუ რა ხდება?! ეს ჩემთვისაც გაუგებარია, ეს კითხვა უპასუხოდაა დარჩენილი, მაგრამ არსებობს სხვადასხვა მანიპულაციები, რათა ნაკლები იყოს კონტაქტი, — საერთაშორისო ორგანიზაციებს მხოლოდ იმ ორგანიზაციებთან ახვედრებენ, რომელთაგანაც ხელისუფლება წინასწარ გათვლილ პასუხს ელის. შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციებს მიუთითებენ კიდეც ვის შეხვდნენ და ვის არა. ანუ საკმაოდ, არაჯანსაღი საარჩევნო გარემოა.

**— პრეზიდენტმა 11 რეგიონში ფართომასშტაბიანი აქციები ჩაატარა. ეს ძალის დემონსტრირება იყო, თუ...**

— რა თქმა უნდა, ეს იყო ძალის დემონსტრირების, აქტივობის, ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა. არადა, როცა მოქმედი ხელისუფლება ხარ, მთელი ადმინისტრაციული რესურსი ხელთ გაქვს, გამგებელს არ გაუჭირდება სკოლის დირექტორებს, მასწავლებლებს ხალხის შეკრება დაავალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სამსახურიდან გაუშვებენ. ასე, რა თქმა უნდა, ბევრი ხალხი მოვა. როგორ შეიძლება ეს სერიოზულად აღვიქვათ, როგორც მხარდაჭერის ფაქტორი. ეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტორია და არა მხარდაჭერის.

**— რამდენად სწორად მიგაჩნიათ ოპოზიციის მხრიდან კრიმინალად მონათლულ ხელისუფლებასთან ერთად არჩევნებში მონაწილეობა. ბურჯანაძე ამბობდა: ჯერ გადავაყენოთ ეს ხელისუფლება და მერე დავნიშნოთ არჩევნებიო.**

— 7 ნოემბერსაც ეგონათ, რომ ხალხის კრიტიკული მასა შეძლებდა ხელისუფლების გადაყენებას, მაგრამ ასე არ მოხდა, იმიტომ, რომ რაღაც მომენტში აშშ-მ სისუსტე გამოავლინა, ქართველი ხალხის მხრიდან კი იყო შემართება. ბურჯანაძის პოზიცია კარგად მესმის, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ვერ გავამართლებ, იმიტომ, რომ სააკაშვილს ასე ვერავინ გადააყენებს, ამას მხოლოდ ჩამოყალიბებული ამომრჩევლის გადაწყვეტილებით მივაღწევთ. თუ ამომრჩეველი ამ საკითხზე ჩამოყალთიბებული არ იქნა, ეს არ ნიშნავს, რომ ხელები უნდა ჩამოვუშვათ და ყველაფერი დაღუპულად მივიჩნიოთ. ამ მომენტისთვის, როგორც ჩანს, სიტუაცია ჩამოყალიბებული არ არის. ხალხი ნელ-ნელა ყალიბდება, ღვინდება, მაგრამ საქართველოს, სამწუხაროდ, მეტი დრო სჭირდება ამ ჩამოყალიბებისთვის, ვიდრე სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს.

**— სასურველი შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, ხომ არ არის ხელისუფლების მხრიდან გარკვეული პროვოკაციების მოწყობის საფრთხე?**

— თუ რუსეთს ვგულისხმობთ, იგი ცდილობს საქართველოს ამბებში არ ჩაერიოს. საქართველოს არჩევნების გამო, რუსული ჯარი აქ არ შემოვა, მაგრამ არ არის გამორიცხული თავად სააკაშვილმა მოაწყოს რაიმე პროვოკაცია. თუმცა, აქვე ერთიც უნდა აღინიშნოს — ხელისუფლების მხრიდან პროვოკაციის მოწყობის საშიშროება მაშინ იქნებოდა, თუ იგი არჩევნებში წაგების პერსპექტივის წინაშე დადგებოდა. ამ ეტაპზე, ხელისუფლების წაგების პერსპექტივას ვერ ვხედავ. მას უზარმაზარი რესურსი აქვს. რაც შეეხება ოპოზიციას, იგი ნამდვილად შეწუხებულია და ასეც უნდა იყოს. ამ ვითარებაში, ხელისუფლების ხელში, მოსალოდნელია მათ ხმები დააკლდეთ. ხალხის მოლოდინია ოპოზიცია პარლამენტში ძლიერად იყოს წარმოდგენილი. თუნდაც მეორე ადგილზე გასვლა ოპოზიციისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, მაგრამ რა თქმა უნდა, ეს ვერ შეფასდება, როგორც მათი გამარჯვება. ეს იქნება გარკვეული წინსვლა, მაგრამ არა გამარჯვება. ისევ რეალობიდან უნდა გამოვიდეთ — თუ რამდენადაა ჩვენი ამომრჩეველი ჩამოყალიბებული. როგორც გითხარით, ამ მხრივ სერიოზული პრობლემა გვაქვს.

**თამარ შველიძე**

# nacionalebis winasaarCevno oinebi

**წინასაარჩევნო „მარათონი“ ძალას იკრებს. „ენდიაის“ კვლევის შედეგებმა, ფაქტობრივად, ყველას თავგზა აუბნია, საგონებელში ჩააგდო „ნაციონალები“, ნუთუ მართლა მოსახლეობის 30 პროცენტია მათი მომხრე? ანდა ვინ არის მოსახლეობის ის 21 პროცენტი, რომელმაც შეკითხვაზე, თუ ვის აძლევს ხმას პასუხზე უარი განაცხადა, ან ის 27 პროცენტი ადამიანებისა, რომელთაც პასუხის დაკონკრეტებაზე უარი თქვეს? მათი ერთობლიობა საერთო ჯამში, 48 პროცენტს შეადგენს. ეს კი საკმაოდ დიდი პროცენტია ამომრჩევლებისა, რომელთა პასუხი 1 ოქტომბერს რეალურად დაფიქსირდება და ყველაფერს ნათელი მოეფინება. მანამდე კი ვის დარჩება გამარჯვება, ჯერ კიდევ გაურკვეველია. იმედიანად არიან როგორც „ნაციონალები“, ისე კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები.**

რეალურად გამოიკვეთა ერთი რამ, კერძოდ ის, რომ „ნაცმოძრაობა“ გამარჯვების მიღწევისათვის ყველაფერზე წამსვლელია, აქედან გამომდინარე კი დარღვევები უკვე დაიწყეს. რა ტიპის დარღვევები გამოიკვეთა ამჟამად? როგორ იბრძვიან გამარჯვებისთვის?

ამ შეკითხვებს ჩვენ ფაქტებით ვუპასუხებთ.

1. ვინ არიან საარჩევნო კომისიებში „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრე 6 კაცი, რომელნიც „საოლქოს“ წარმომადგენლებად ითვლებიან?

— ესენი არიან სხვადასხვა სამინისტროებში და ადგილობრივ თვითმმართველობაში მომუშავე სპეციალისტები, რომელნიც საარჩევნო კომისიებში დამოუკიდებელ წევრებად მოავლინეს. ეს ხრიკი „ნაციონალებმა“ წინასაარჩევნოდ მოიფიქრეს. ამ ადამიანთა ზოგიერთი ნაწილი წინასაარჩევნოდ უფასო შვებულებაში გაუშვეს, რადგან თვითმმართველობაში მომუშავე თანამშრომლებს საარჩევნო კამპანიაში ჩართვა ეკრძალებათ.

ამდენად, საარჩევნო კომისიებში მმართველი პარტიის მიერ დანიშნული წევრების გარდა „ნაციონალების“ სასარგებლოდ „დამოუკიდებელი“ უპარტიო წევრებიც იმუშავებენ, მათ რაოდენობა კი იქნება 7 კაცი. ამას კვლავ ემატება ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის 1, ამავე პარტიის შვილობილი პარტიის „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის“ — 1, „ევროპელი დემოკრატების 1 წევრი, რომელნიც სრულიად უჭერენ მხარს „ნაციონალებს“ და ეს ყოველივე საარჩევნო უბნებზე ჩატარებულ პირველ სხდომაზე ნათლად გამოიკვეთა. ისინი სრული შეთანხმებით, ერთობლივად მოქმედებენ. დღემდე ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებენ ლეიბორისტები“, რომელთაც ხელისუფლება არას ერჩის და არც ზღუდავს იმ დროს, როცა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებზე არნახული ზეწოლა მიმდინარეობს. აქაც ფაქტებს მოვიშველიებთ.



**ფაქტი — 1**

2012 წლის 5 სექტემბერს, 01.00 საათზე ყვარლის რაიონში, სოფ. შილდაში პოლიციამ დააკავა კოალიცია „ქართული ოცნების“ ყვარლის რ-ნის ზონის კოორდინატორი ლევან ხუციშვილი და ამავე კოალიციის წევრი და აქტივისტი — ზაზა როსტიაშვილი მის კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში და გადაიყვანა პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში.

მათი დაკავება მოხდა ბაჩო ნიკოლოზიშვილის ჩვენების საფუძველზე, რომელიც არის „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორის ბიძაშვილის მეუღლე და მისი განმარტებით ლევან ხუციშვილმა მას „ნაციონალი“ უწოდა.

**ფაქტი — 2**

26 აგვისტოს კასპში დააკავეს კლინიკა „ავერსის“ მთავარი ექიმი ბეგი თათრიშვილი — გენერატორის ქურდობის ბრალდებით. იგი პოლიციამ სამსახურში აიყვანა — ბეგი თათრიშვილი გორში წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს, მისი სახლი გაჩხრიკეს და იქიდან 800 დოლარის ოდენობით თანხა ამოიღეს.

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ კასპის რაიონის მთავარი ექიმი კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ კავშირის გამო დააკავეს, რადგანაც დაკავებამდე ერთი დღით ადრე, ბეგი თათრიშვილს ხელისუფლების წარმომადგენლებმა იმ თანამშრომელთა სია მოსთხოვეს, რომლებიც სააკაშვილის დასახვედრად წავიდოდნენ, რაზედაც მან უარი განაცხადა! მისი შვილი კი კოალიცია „ქართული ოცნების“ კასპის ორგანიზაციის წევრია და მათი მაჟორიტარი კანდიდატის დავით ონოფრიშვილის საარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობს.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბეგი თათრიშვილი ავტორიტეტული პიროვნებაა და კასპში ის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს „ნაციონალური მოძრაობისათვის“.

**ფაქტი — 3**

„ხრამჰესის“ გენერალურმა დირექტორმა **დევი კანდელაკმა,** კოალიცია „ქართული ოცნების“ 9 აქტივისტი გაათავისუფლა სამსახურიდან. აქედან 7 წევრი იყო „ხრამჰესის 1“-ის თანამშრომელი, 2-კი „ხრამჰესი-2“-ის თანამშრომელი, მოტივი სამსახურიდან გაშვებისა არის მარტივი — შტატების შემცირება! ოღონდაც, ეს შემცირება, მხოლოდ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს ეხებათ ზოგადად, ეს ყველგან ასეა.

სინამდვილეში ეს გახლავთ ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნა.

**ფაქტი — 4**

ბოლნისში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი არის დარეჯან ჩხეტიანი, მისი ძმა და სიძე მუშაობდნენ იქ სახანძრო-სამაშველო სამსახურში, ორივენი გაუშვეს სამსახურიდან. ამავე რაიონიდან დაითხოვეს სამსახურიდან ბევრი ოცნების „ოცნების“ მომხრეები, მათ შორის ბაგა-ბაღის თანამშრომელი — ალექსიშვილი ეკა, პედაგოგი ასანიძე, გაზის სამმართველოს თანამშრომელი ზინა კოპალიანი, „მადნეულის“ თანამშრომელი — ჩაკვეტაძე, საკრებულოს თანამშრომელი — კაპანაძე.



**ფაქტი — 5**

ახალქალაქის რაიონის ნინოწმინდაში „ქართულ ოცნებას“ ოფისის მოძიებაში ეხმარებოდა იქაური მკვიდრი **ლევონ ვართანიანი,** ის არც კოალიციის წევრია და არც არაფერი. მიუხედავად ამისა, ის დაკავებული იქნა ამ ფაქტი გამო და მიყვანილ იქნა გამგეობის შენობაში, სადაც იმჟამად იმყოფებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი მიქოიანი, ასევე, პოლიციის უფროსი ამ რეგიონის და გამგებელი.

ამ ფაქტის შესახებ ოპერატიულად აცნობეს გოგლა ჟვანიას, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს ამ რეგიონში, რომელიც მოვიდა შემთხვევის ადგილზე, მაგრამ ის იქ არ შეუშვეს, მანქანით გზა გადაუკეტეს. ამის მერე დატყვევებული ვართანიანი პოლიციის მანქანაში ჩასვეს და სომხეთის საზღვრისკენ წაიყვანეს, რომელსაც მანქანითვე, დაედევნა შტაბის უფროსი გოგლა ჟვანია, მაგრამ მას მანქანით გზა გადაუკეტეს და არ მისცეს მიახლოების საშუალება. საქართველოს მოქალაქე ლევონ ვართანიანი კი სომხეთის საზღვარზე გადაიყვანეს და იქ დატოვეს. ამჟამად ის ველარ შემოდის საქართველოში გარკვეული მიზეზების გამო.

**ფაქტი — №6**

მნიშვნელოვანი ინციდენტი მოხდა ახალქალაქის რაიონის საოლქო-საარჩევნო კომისიის სხდომაზე, სადაც ნაციონალების წარმომადგენელმა ქალბატონმა, ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს, შემდეგ კი ჩხუბი ატეხა ისეთი, რომ მოხდა კომისიის წევრებს შორის შეხლა-შემოხლა და ფიზიკურად ერთმანეთისათვის ანგარიშის გასწორება. სამწუხარო ის გახლავთ, რომ ამ ფაქტის აღნიშვნის დროს ცესკოს თავმჯდომარემ ბატონმა ხარატიშვილმა „ოცნების“ ხალხი დაადანაშაულა, თუმცა, ის არ არის მხარე და ამისი უფლება მას არ აქვს. ამ საქმის განხილვისას, „ნაციონალურმა“ ისიც აღნიშნეს, რომ „ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან ადგილი ჰქონდა ქსენოფობიას. ფაქტობრივად, ეს ასე არ ყოფილა, ეროვნებას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგანაც ოლქის თავმჯდომარე იქ გახლავთ „ნაციონალი“ მარამგოზიანი და ის მოიქცა ისე, როგორც ამ პარტიას სჩვევია, მიუხედავად ეროვნებისა.

ამ ფაქტების გვერდით არ შეიძლება არ გავიხსენოთ „ნაციონალური მოძრაობის“ ახალი მეთოდები ხალხის მოსყიდვისა. კერძოდ: **1. რატომ წაიყვანეს მათ აგვისტოს თვეში დასასვენებლად ბანაკებში ბორჯომის რაიონში თავისივე პარტიის კოორდინატორების შვილები? 2. რატომ ჩაატარა მოსახლეობის აღწერა გურჯაანის რაიონის სოფლებში ამავე რაიონის საპატრულო პოლიციის განყოფილებამ? რატომ სთხოვდნენ ისინი მოსახლეობას პირადობის მოწმობებს? 3. რატომ არ დადგეს დღემდე ტელეფონები საუბნო-საარჩევნო კომისიების უბნებზე იმისათვის, რომ ხალხმა დარეკოს და მოითხოვოს სახლში საარჩევნო ყუთის მიტანა?**

**ვის აძლევს ხელს ხალხის არმოსვლა არჩევნებზე?**

მთავარ კითხვად კი რჩება ის, რომ **არის თუ არა „ცესკო“ მხარე და არა დამოუკიდებელი სუბიექტი არჩევნების დროს? —** ამას, ალბათ, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

**ნინო კასრაძე**

## ლალი მოროშკინა ნაციონალების ხელისუფლებაში დარჩენის შემთხვევაში ევროპაში პოლიტიკურ თავშესაფარს მოითხოვს



ჟურნალისტ ლალი მოროშკინას მტკიცებით, ის საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობიდან პოლიტიკური შეხედულებების გამო გაათავისუფლეს.

როგორც მოროშკინამ დღეს მედიაპალიტრის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მან რამდენჯერმე, მათ შორის ღია ეთერში, კოალიცია “ქართულ ოცნებას” მხარდაჭერა გამოუცხადა. გარდა ამისა, მმართველ გუნდში არც მის მიერ გამოცემული წიგნები მოსწონდათ.

მოროშკინას მტკიცებით, იმის შესახებ, რომ იგი სამსახურიდან გათავისუფლებული იყო უნივერსიტეტის რექტორმა გია კავთუაშვილმა აცნობა და შესთავაზა, რომ “არ ეხმაურა და ხელფასს შეუნარჩუნებდნენ”. ჟურნალისტის თქმით, ეს მისთვის შეურაცხმყოფელია.

მისივე განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ “ნაცმოძრაობა” საპარლამენტო უმრავლესობაში აღმოჩნდება, იგი ევროპის რომელიმე სახელმწიფოს პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს.

**„მედიანიუსი“**

# `oqros gombeSos~ mier miZRvnili oqros zodi

## პატრიარქი ილია II ნაცმოძრაობის ბოლნისის მაჟორიტარობის კანდიდატმა ნაყოფიამ ოქროს ზოდით დაასაჩუქრა!

ამ რამდენიმე დღის წინ სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II ბოლნისს ესტუმრა და უძველესი მართლმადიდებლური ტაძარი ბოლნისის სიონი მრევლთან და იქ ჩასულ სამღვდელო თუ საერო პირებთან ერთად მოილოცა!

ამ ისტორიაში თითქოსდა გასაკვირი არაფერია, მაგრამ ნამდვილად გამიკვირდა ამ მოგზაურობის რამდენიმე ეპიზოდი და მართალი გითხრათ, აღვშფოთდი კიდეც!

აღვშფოთდი იმიტომ, რომ საპატრიარქოს დელეგაციის ოფიციალური მასპინძელი, „ოქროს გომბეშოდ“ წოდებული, „ნაც.მოძრაობისა“ და რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოში მოვლენილი, სააკაშვილის ბიძის თემურ ალასანიას ძმაკაცი „ეფესბეშნიკი“ გენერალოვის მოადგილე, ამჟამად ბოლნისის რ-ნის მაჟორიტარი კანდიდატი კობა ნაყოფია გახლდათ და არა რაზდი კიდეც. იმიტომ, რომ ჯერ ერთი — გააჩნია ვინ გთავაზოვს საჩუქარს და მეორეც, იმასაც გააჩნია, ამ გატყავებულ ქვეყანაში, რა სახის საჩუქარს მოგართმევენ კეთილგანწყობის სანაცვლოდ!!!

თუ მეხსიერება არ მღალატობს, წმინდა სინოდმა წინასაარჩევნოდ „სპეციალური კანონიც“ კი მიიღო იმის შესახებ, რომ სამღვდელო პირებს კატეგორიულად ეკრძალებათ საარჩევნო პროპაგანდა, რომელიმე პოლიტიკური გვამის მიმართ, აგრეთვე ეკრძალებათ სიმპატიების გამოხატვა და ახლა, როცა 3 კვირაში არჩევნები იქნება, სინოდის, საპატრიარქოს და თვით ილია II ჩაბრძანება ბოლნისში, მათი კეთილგანწყობა ნაყოფიას მიმართ როგორ უნდა შევაფასოთ — უბრალო შემთხვევითობად თუ სპეციალურ ვიზიტად, რომელიც მიზნად „ნაც.მოძრაობის“ კანდიდატის მხარდაჭერას გულისხმობდა?!



ის მრევლი, რომელიც პატრიარქს ფეხდაფეხ მისდევდა ყველგან, სადაც კი ის იმ დღეს მიბრძანდებოდა.

ტელევიზიით გადაიცა ის კადრებიც, როცა ხელში ჩვილატატებული ქალები, მოხუცი ადამიანები თუ ხეიბრები დიდი მონდომებით ილტვოდნენ პატრიარქთან შესახვედრად, მოთმინებით ელოდნენ მის მიახლოებას, მაგრამ ე.წ. სახელმწიფო „დაცვა“, თუ კობა ნაყოფიას პირადი „დაცვა“, მათ პატრიარქამდე ხშირ შემთხვევაში, არ უშვებდა, რაც არათუ მიუღებელი, არამედ ამაზრზენი სანახავიც კი იყო.

და მაინც, რატომ მაინცდამაინც კობა ნაყოფია შეარჩია სამასპინძლოდ ადგილობრივმა თუ რეგიონულმა ხელისუფლებამ საპატრიარქოს სამდივნოსთან ერთად?

ალბათ, იმიტომ, რომ „ნაციონალური ხელისუფლება“ უკეთ უმასპინძლებდა და იზრუნებდა ყოველივეზე, მათ შორის სტუმართა უსაფრთხოებაზე, მაგრამ ამ წინასაარჩევნოდ თავად საპატრიარქომ რატომ განაცხადა თანხმობა, „გენერალურ მასპინძლად“ მაჟორიტარობის კანდიდატი, თანაც მილიონერი ნაყოფია ჰყოლოდათ და არა, ვთქვათ, ბოლნისის ეპარქია?

უფრო მეტიც, განა ამ დამშეულ ქვეყანაში სირცხვილი არ არის, უმაღლესმა სამღვდელო პირმა — ყაჩაღობით გამდიდრებული ადამიანებისგან ოქროს ზოდი მიიღოს საჩუქრად და ისიც წარწერით: „საქართველოს პატრიარქი ილია II“.

დიახ, სპეციალურად პატრიარქისთვის ჩამოსხმული 1 კგ. ოქროს ზოდი გადასცა ავაზაკმა „ნაციონალმა“ კობა ნაყოფიამ ილია II-ს. გულახდილად ვამბობ, გამიკვირდა, ძალიან გამიკვირდა ეს ფაქტი და ამავდროულად, გავბსულით ხორცამდე შემძრა სულ ახლახან წაღვერიდან თხუთმეტიოდე კილომეტრში, სოფელ მაქარწყალში, საკუთარი ხელით აშენებულ კელიაში გამომწვარი უსათნოესი ბერი მერკვირის შემზარავმა სიკვდილმა და მისმა წერილმა, რომლის ადრესატიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ა.

როგორც უკვე ითქვა, ბერი მერკვირი საკუთარ კელიაში გამომწვარი იპოვეს... პასუხგაუცემელი დარჩა მისი კითხვებიც, არადა, ეს კითხვები არა მხოლოდ ბერს, ერშიც მრავლადაა და გვიპასუხეთ, პატრიარქო, რატომ იღებთ ძღვენს ეკლესიების დამანგრევლებისგან, ხატების ფეხებით გამთელავებისაგან, ქართველთა დამაქცევრებისაგან და მართლმადიდებლობასთან მებრძოლი ნაც-სატანისტებისგან?

აკი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე მოგიწოდებთ: ნუცა ოქროსა და ნუცა ვერცხლს ნუ დახარბდებითო?!

რა მოგიტანათ ბოლნისში კობა ნაყოფიას ნაჩუქარმა ოქროს ზოდმა — ნუთუ მრევლის უფრო მეტი სიყვარული?

თქვენო უწმინდესობავ, მშიერი ქვეყნის პატრიარქი ბრძანდებით, უპატრონოდ მიგდებული ინვალიდი ბავშვების და უთავშესაფრო მოხუცების პატრიარქი ბრძანდებით, დაავადებული და უსასოოდ დარჩენილი ქართველი მართლმადიდებლების პატრიარქი ბრძანდებით და იმედი მაქვს, ამ ოქროს ზოდს აუქციონზე გაატანიენბთ და იქიდან შემოსული თანხები გაჭირვებულებს და უპოვრებს მოხმარდება.

**პატივისცემით,**
**მართლმადიდებელი ქრისტიანი**
**ირინე გოგოსაშვილი**

*ჩვენი გაზეთი ერთ-ერთი პირველი იყო, რომლის ფურცლებიდანაც საზოგადოებამ დადასტურებულად შეიტყო, რომ ლოპოტას ხეობაში ჩეჩენ მებრძოლთა ჯგუფი გამიზნულად, მძინარე მდგომარეობაში ჩახოცეს. ეჭვები ამის შესახებ, შს სამინისტროს მიერ გავრცელებული კადრების გამოჩენისთანავე გაჩნდა, რადგან დახოცილი მეომრების უმეტესობა საძილე ტომრებში იწვნენ. თუმცა, დანადვილებით ამაზე საუბრის უფლება მხოლოდ მას შემდგე მივეცი თავს, რაც ამბის თვითმხილველს ვესაუბრე. უკვე ორი კვირა გადის ლოპოტას სისხლიანი სპეცოპერაციიდან, და საზოგადოების კითხვებზე პასუხი ჯერაც არ არის გა-*



# lopotas xeobaSi momxdari istoriis axali detalebi

*ცემული: რატომ და ვისი დავალებით გადმოკვეთეს საზღვარი ჩეჩენმა მებრძოლებმა; როგორ მოახერხეს ამ რაოდენობის საბრძოლო ტექნიკით საზღვრის გადმოკვეთა შეუმჩნევლად; სად მიდიოდნენ; რატომ არის ამდენი შეუსაბამობა მძევალთა მონათხრობში?!*

***მამუკა არეშიძე — ექსპერტი კავკასიის საკითხებში:*** სპეცოპერაციის კადრებიდან ჯერ-ჯერობით კიდევ უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს. მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს რაზმი მიდიოდა სამხრეთიდან ჩრთილოეთისაკენ და არა პირიქით. მათ რომ სირიაში გადასვლა სდომოდათ, ისინი აეროპორტში მივიდოდნენ კოსტიუმებით და ხელსაც არავინ შეუშლიდათ გამგზავრებაში. ასევე ზუსტად შეიძლება ითქვას რომ რაზმი კვალიფიციური მებრძოლებით იყო დაკომპლექტებული. მათ კვალიფიკაციას ამტკიცებს შეიარაღებაც. რაზმი მაღალი დონის იარაღით იყო აღჭურვილი, რომლითაც ელიტარული სპეც-რაზმებია შეიარაღებული. მნიშვნელოვანია ამ იარაღების ფასიც. რუსული წარმოების იარაღებისა და შაშხანების გარდა, შს მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში ჩანს ავსტრიული შაშხანაც, რომლის ფასი დაახლოებით, 3 000 აშშ დოლარია. ეს საკმაოდ ელიტარული შაშხანაა, მაგალითად გრუ-ს სპეცრაზმების შეიარაღებაში ეს შაშხანა მხოლოდ შარშან გამოჩდა, იმდენად ძვირია იგი. გარდა ამისა, მათ ჰქონდათ ძალიან სერიოზული იარაღი, "ტეპლოვიზორი", ღამის და დღის ხედვის აპარატი, მისი ფასი დაახლოებით 8 000 დოლარია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ იარაღის ხმარებას ერთ და ორ დღეში ვერ ისწავლი. მისი გამოყენების შესწავლას თვენახევარი, ორი თვე სჭირდება. ეს იმაზე მიგვანიშნებს რომ ეს რაზმი წინა დღეს შეკრებილი არ არის. იმ კადრებიდან გამომდინარე, რაც ეთერში ჩანს, შემიძლია გითხრათ, რომ თითოეულ მათგანს 50 კილოგრამი ტვირთი მიჰქონდა. რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს ადამიანები ძალიან სერიოზულ საქმეზე მიდიოდნენ და აპირებდნენ, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამყაროს მოწყვეტილები ყოფილიყვნენ, დაახლოებით ერთი კვირის ან ათი დღის განმავლობაში.

რაზმის კვალიფიკაციის, მომზადების და აღჭურვის დონე იმდენად მაღალი იყო, რომ ხაზგასმით ვამბობ, ეს რაზმი 11 კაცს კონკრეტულ ბრძოლაში არ დაკარგავდა. გარდაცვლილთა ნაწილი მოულოდნელად იყო ჩახოცილი. ამ ადამიანებისათვის რომ შეტაკება მოულოდენლი იყო, ამას მოწმობს ისიც, რომ მათი ნაწილი საძილე ტომრებში იყო და გარდა ამისა ისიც, რომ ზოგიერთ გვამს ძალიან ბევრი ტყვია აქვს მოხვედრილი. ბრძოლაში იშვიათია, რომ ადამიანს ბევრი ტყვია მოხვდეს, თუ იქ არ არის მოულოდნელობის ეფექტი, ან თუ იგი უიარაღო არ არის.

***— როგორ მოხდა, რომ მსგავსი კვალიფიკაციის რაზმის ყველა წევრსმა ერთდროულად დაიძინა?***

— ისინი, სავარაუდოდ, აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელთან. მოლაპარაკებაში მონაწილეობდა ცალხელა ახმედი, რომელიც ზუსტად იმ დროისათვის იყო წამოსული დეტალების დასაზუსტებლად და მოსალაპარაკებლად. ამიტომ რაზმის წევრები ხიფათს არ ელოდნენ.

***— თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია ასეთი შეიარაღებით რაზმმა საზღვარი შეუმჩნევლად გადაკვეთოს?***

— რაც შეეხება იმას, თუ როგორ გადაადგილდებოდნენ ისინი, ან საქართველოს ხელისფლებამ უნდა აღიაროს, რომ ქვეყანაში არანაირი უსაფრთხოების სისტემა არ არსებობს, ან საქმეში თავისი წარმომადგენლის თანამონაწილეობაზე უნდა გააკეთოს განცხადება.



ის რომ ეს ადამიანები მთისპირა ტყეებით გადაადგილდებოდნენ, ეს არ არის გასამართლებელი მიზეზი. ასეთი რაზმის ეკიპირებას, ჩაცმა-დახურვას და შემდეგ მის დაძვრას, ვიღაც მაინც შეასწრებდა თვალს. ასე, რომ, ეს რაზმი ლაფანყურამდე თავისით ვერ მივიდოდა.

***— შეგვიძლია თუ არა იმის თქმა, რომ ამ რაზმის ჩამოყვანა და ეკიპირება ხელისუფლების დაკვეთით მოხდა?***

— ამის თქმა ძალიან საპასუხიმგებლოა. მსგავსი განცხადება დიდ ყურადღებას მიიქცევს, არა მხოლოდ ქართული საზოგადოების, არამედ სხვა ქვეყნებისაც, მათ შორის რუსეთის. ერთ მშვენიერ დღეს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ამას ხელზე დაიხვევენ და ჩვენს წინააღმდგე გამოიყენებენ. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე ეს რაზმი საქართველოს ტერიტორიაზე ვერ მოხვდებოდა. საკითხავი მხოლოდ ისაა, ხელისუფლების რომელი რგოლი იყო ამ საქმეში გარეული.

***— შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ ეს ამბავი პრეზიდენტს არ სცოდნოდა?***

— დაზუსტებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ეგეც შესაძლებელია. მსოფლიოში ყოფილა მსგავსი პრეცედენტები. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რამდენჯერმე არ იყო მნიშვნელოვანი სპეცოპერაციის საქმის კურსში, იგივე შეიძლება ითქვას ისრაელის პრეზიდენტზეც. ეჭვს იმის შესახებ, რომ სპეცოპერაცია, ხელისუფლების რომელიმე რგოლის და არა მთლიანად ხელისუფლების სინდისზეა, ისიც იწვევს, რომ სპეცოპერაცია სპონტანურობის ელემენტებს შეიცავდა. ჩვენს მთავრობას უყვარს "სუფთად" მუშაობა. ამ სპეცოპერაციამ კი იმდენი კითხვები დატოვა საზოგადოებაში და იმდენ შეუსაბამობას შეიცავდა შს სამმართველოს მიერ გაკეთებული განცხადებები და ვიდეომასალები, რომ სავარაუდოდ, სპეცოპერაცია ჩატარდა სპონტანურად, დეტალების განუხილველად და საერთო შეთანხმების გარეშე. გარდა ამისა, როცა რაღაც ხდება — აუცილებლად უნდა დაისვას კითხვა — ვინ მოიგო? ამჯერად, ამ კითხვაზე პასუხი არ სჩანს. ხელისუფლებას ნამდვილად არაფერი მოუგია. პირიქით, თუ იტყვის, რომ რაზმმა თავისით მოახერხა ლაფანყურამდე მისვლა, გამოდის, ხელისუფლებამ და ქვეყნის უშიშროებამ საკუთარი უსუსურობა უნდა აღიაროს, ხოლო თუ ამ რაზმთან ხელისუფლების კავშირი დადგინდა, ეს ფაქტი სააკაშვილის იმიჯზე დიდი დარტყმა იქნება.

***— თქვენი აზრით, მაინც რაში შეიძლებოდა დასჭირვებოდა ხელისუფლებას მსგავსი რაზმის შექმნა?***

— თავდასაცავად, საიდუმლო დავალებების შესასრულებლად. რამდენიმე წლის წინათ იყო საუბარი იმაზეც, რომ ხელისუფლებას სურს შექმნას უცხოური ლეგიონი. მოგეხსენებათ, არსებობს მსგავსი რეგიონები საფრანგეთსა და ესპანეთში. თუმცა, მას შემდეგ ამ ლეგიონის შექმნაზე არაფერი მსმენია. ასე, რომ დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვი.

**თამუნა კუშელავა**



# kaxa kukava: pirdapir vacxadeb, Tu saWiro gaxda, revoluciaSi uyoymanod miviReb monawileobas!

*გვესაუბრება პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე* ***კახა კუკავა:***

**— კახა, ბოლო დროს ხელისუფლება და ოპოზიციაც საერთაშორისო დამკვირვებლების ვიზიტით აღფრთოვანებას ვერ მალავენ, რომელთაც ჩვენი არჩევნების სამართლიანობა უნდა განსაზღვრონ. აქამდე, მათგან მხოლოდ ეს ფრაზა დაგვამახსოვრდა — გარკვეული ხარვეზები იყო, მაგრამ საბოლოო ჯამში არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდაო. რას უნდა ველოდოთ ამჟამად?**

— ვფიქრობ, საერთაშორისო ორგანიზაციების იმედი არ უნდა გვქონდეს, უმჯობესია მათზე ადეკვატური წარმოდგენა ვიქონიოთ. ვინ არიან ისინი? — ისინი არიან ევროპელები და ამერიკელები. ევროპელები საქართველოს შიდა საქმეებში ვერანაირად ვერ ჩაერევიან, მაქსიმუმ შეუძლიათ ძალიან რბილი განცხადებების გაკეთება. რაც შეეხება, აშშ-ს, მათ გავლენის ბერკეტები აქვთ, თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ აშშ-სთვის მთავარი იქნება არა ის თუ რამდენად დემოკრატიულად ჩატარდება ჩვენთან არჩევნები, არამედ ის, თუ რომელი ძალა ჩაითვლება უფრო პრო-ამერიკულად. დღეს, NDI-ს, „აი-რაის“ კვლევებით, ასევე, მაკკეინის, ობამას, კლინტონის განცხადებებით და ზოგადად ამერიკული პოლიტ.ელიტის პოზიციიდან გამომდინარე, ნათელია — აშშ მიიჩნევს, რომ მისი სტრატეგიული მოკავშირე, ამ რეგიონში, მიხეილ სააკაშვილია. სანამ ეს პოზიცია არ შეიცვლება, მანამდე ფიქრი იმაზე, რომ ამერიკელი დამკვირვებლები საქართველოში ჩატარებულ არჩევნებზე კრიტიკულ დასკვნას დაწერენ, წარმოუდგენელია. 2003 წელი გამონაკლისი იყო ზუსტად იმიტომაც, რომ ჟვანია, სააკაშვილი (მაშინ მათ სოროსის პრემიები მიიღეს) პროამერიკულ ძალებად, ხოლო შევარდნაძე ყოფილ საბჭოთაკავშირელ ფუნქციონერად ითვლებოდა. დღეს, ვითარება პირიქითაა შეცვლილი. სააკაშვილი იმ ქვეყნის ლიდერია, რომელიც ავღანეთში და ერაყში უმსხვილეს მისიებს აგზავნის, ხოლო ბიძინა ივანიშვილი მათთვის რუსი ოლიგარქია, რომელმაც საკუთარი კაპიტალის ჩადება საქართველოში გადაწყვიტა.

**— ამ ფონზე რას ნიშნავდა მაკკეინის განცხადება?**

— მაკკეინის განცხადება სიმპტომატური იყო. მან თქვა — ივანიშვილმა დაგვარწმუნა, რომ რუსეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. ეს ძალიან საინტერესო განცხადებაა, სადაც ორი მომენტი ჩანს — პირველი — ივანიშვილი მაკკეინთან შეხვედრისას თავს იმართლებდა, საუბარი იყო არა არჩევნებზე, არამედ იმის დარწმუნებაზე, რომ რუსეთთან არაფერი აკავშირებს და მეორე, თავისთავად, ფაქტი, რომ ივანიშვილი რუსეთთან იყო კავშირში ორივე მხარის მიერ აღიარებულია. მკითხველმა ისე არ გაიგოს, თითქოს მე ივანიშვილს ბრალად ვუყენებ რუსეთთან კავშირს. რა თქმა უნდა, ეს ასე არაა. არამედ მე შემდეგს ვამბობ — აშშ-სთვის ივანიშვილი ბრალდებულია, მიხეილ სააკაშვილი კი მათი სისხლხორცეული მოკავშირე. აქედან გამომდინარე, პროგნოზირება არ უნდა გაგვიჭირდეს, თუ ვის მხარეს დაიჭერს აშშ.

**— ავღანეთში და ერაყში უმსხვილესი მისიების გაგზავნაც ხომ არ არის იმის წინაპირობა, რომ აშშ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში თვალს დახუჭავს და კვლავ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას მოგვილოცავს.**

— რა თქმა უნდა, ზუსტად ასეა, საქართველოს ხელისუფლების მისია სწორედ ამას ემსახურება. ეს მომენტი ადეკვატურად უნდა შეფასდეს. როდესაც რიგი ოპოზიციური პარტიები გვეუბნებიან, თითქოს მაკკეინი ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში თავის სასარგებლოდ დაარწმუნეს, ეს უბრალოდ ხალხის მოტყუებაა. მათ მაკკეინი ვერაფერში ვერ დაარწმუნეს. ეს უბრალოდ თავის მოტყუებაა. აშშ შეიძლება დათანხმდეს, რომ რუსეთთან კავშირგაწყვეტილი „ქართული ოცნება“ მეორე ადგილზე გაიყვანოს.

**— მაშინ რისი იმედი აქვს ოპოზიციას, ეს მარტო „ქართულ ოცნებას“ ხომ არ ეხება, „თავისუფალი საქართველოც“ ხომ პრო-რუსული ძალად მოიაზრება.**

— ჩვენ უნდა მივმართოთ კლასიკას, როცა ქვეყანა დამოუკიდებელი არაა, ასეთ ქვეყანაში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა უნდა დაიწყოს, რომელიც ქვეყნის რეალურ დამოუკიდებლობას მოიპოვებს. დღეს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ჩანასახს „თავისუფალი საქართველო“ წარმოადგენს. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს სრულფასოვან ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში მას შემდეგ გადაიზრდება, რაც საზოგადოების კრიტიკული მასის მხრიდან მხარდაჭერას მივიღებთ. ვფიქრობ, დღეს გამოფხიზლების ეტაპზე ვართ. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გამოფხიზლება დაიწყო, თუმცა ვფიქრობ, უმრავლესობა მაინც ბურანშია. საზოგადოება ისევ იმ აზრების და იდეების ტყვეობაშია — აშშ მხარს დაგვიჭერს, ივანიშვილმა ლობისტები დაიქირავა და ა.შ. როდესაც ამ ბურანიდან გამოვალთ და დავინახავთ, რომ საქართველოს დოლარი კი არა, არამედ დამოუკიდებლობა გადაარჩენს, მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ რეალური პოლიტიკური პროცესის დაძვრას.

**— რაც შეეხება ლობისტური კომპანიების დაქირავებას, თუ ისინი საქართელოში ჩატარებულ არჩევნებს არ აღიარებენ, ხომ არ არის საფრთხე ეს ხელისუფლებამ „ლობისტურ შეთქმულებად“ გამოაცხადოს?**

— მინდა გითხრა, რომ ლობისტებს აშშ-ში არანაირი ზეგავლენა არ აქვთ. მითები ლობისტების შესახებ ძალიან გადაჭარბებულია. იმდენად დისკრედიტრებული იქნა მათი საქმიანობა, რომ როცა ობამა აშშ-ს პრეზიდენტად აირჩიეს, ერთ-ერთი პირველი ინიციატივა, რითაც მან კონგრესს მიმართა ლობისტების აკრძალვა იყო. ლობისტები არიან მექრთამეები, საბჭოთა კავშირის დროსაც იყო ხალხი, ვისაც ობეხეში, ცეკაში, ტეკაში საქმის ჩაწყობა შეეძლოთ. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ლობისტები პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებენ. პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ თეთრ სახლში, სახელმწიფო დეპარტამენტში, სენატში, კონგრესში. ლობისტებს შეუძლიათ გარკვეული, ინდივიდუალური საკითხების გადაწყვეტა, რომელზეც არ არსებობს აშშ-ს ჩამოყალიბებული, პრინციპული პოზიცია. იმ საკითხებზე, რომელზეც აშშ-ს მთავრობას თავის სტრატეგია აქვს ჩამოყალიბებული, ძალიან სასაცილოა ვიფიქროთ, რომ ლობისტები მასზე რაიმე ზეგავლენის მოხდენას შეძლებენ. აშშ-ს ევრაზიის, რუსეთის მოსაზღვრე რეგიონებში თავისი ჩამოყალიბებული ხედვა აქვს, რომელიც არ შეიცვლება იმისდა მიუხედავად შეიცვლებიან თუ არა პრეზიდენტები.

**— დღეს შექმნილი საარჩევნო გარემოს გათვალისწინებთ, ბევრი არჩევნების გაყალბებაზე საუბრობს. თუმცა, რიგი ოპოზიციური პარტიები იმასაც ამბობენ, რომ ასეთ შემთხვევაში მეორე დღეს ქუჩაში გამოვლენ და დაე, მსოფლიომ დაგვთვალოს რამდენი ვართო. თუ მაინცდამაინც ჩვენს დათვლაშია ხსნა, ხომ არ სჯობდა არჩევნებამდე დავეთვალეთ?**

— ვფიქრობ, ასეთი ტიპის საუბრები დათვლაზე, ძალიან სახიფათოა იმიტომ, რომ ეს ნიშნავს, რომ ცალკეულ ოპოზიციურ ძალებს კონკრეტული გეგმა არ აქვთ და რაღაც ზოგადი ფრაზებით საუბრობენ. დათვლა — ეს უკიდურესად არასერიოზულია იმიტომ, რომ ჯერ ერთი არავინ არავის არ დათვლის, მეორეც — თუ დათვლიან, ამ რიცხვს შეამცირებენ და სამზე გაყოფენ და რაც მთავარია, სისულელეა იმის მოლოდინი, რომ ვინც ხმას გვაძლევს ყველა არჩევნებზე მოდის. ლევან გაჩეჩილაძემ საპრეზიდენტო არჩევნებზე ოფიციალურად 500 ათასი ხმა აიღო, რეალურად, ალბათ ეს 700 ათასი ხმა იყო, მაგრამ მიტინგზე 100 ათას კაცზე მეტი არ მოსულა. ვინმეს რომ დავეთვალეთ და ეთქვა 100 ათასი ხმა მისცეს ლევან გაჩეჩლაძესო, ეს ნამდვილად ხელისუფლებისთვის კარგი კოზირი იქნებოდა. ამიტომ, ოპოზიციურმა პარტიებმა იმაზე კი არ უნდა ისაუბრონ ვინ დაგვთვალოს, არამედ რამდენად მისაღებია ცალკეული ოპოზიციური პარტიებისთვის 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ საპარლამენტო უმცირესობის რეჟიმში ბრძოლის გაგრძელება. აი, ეს არის მთავარი შეკითხვა და არა ის, დაგვთვლიან თუ არა. საზოგადოებას აინტერესებს რისთვის ვიბრძვით — მეორე თუ პირველი ადგილისთვის. „თავისუფალი საქართველო“ ვაცხადებთ: იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციური პარტიები ჯამში 50 პროცენტზე უფრო ნაკლებს აიღებენ, მზად ვართ ჩვენს კოლეგა ოპოზიციონერ ძალებთან ერთად რევოლუციაში მივიღოთ მონაწილეობა და არა უბრალოდ მასობრივ აქციებში, მათ შორის, მზად ვართ რევოლუციაში მონაწილეობა ჩვენი პირადი უსაფრთხოების რისკის ფასად გავწიოთ. სხვა ოპოზიციონერი პარტიებისგან ასეთი კონკრეტული განცხადებები არ გაკეთებულა. საუბრები იმის შესახებ, რომ დაგვითვალონ, შეგვამოწმონ და ა.შ. ეს უფრო ძირითად შეკითხვაზე თავის არიდებას ჰგავს — დათანხმდებიან თუ არა ისინი 30 პროცენტიანი საპარლამენტო უმცირესობის შექმნას.









**— ხელისუფლებას გაყალბების ამოუწურავი ბერკეტი აქვს. როგორ ფიქრობ, თუ მართლა 50 პროცენტზე დაბალი იქნა ოპოზიციური პარტიების ჯამი, შეიძლება რევოლუციამდე მივიდეთ?**

— ეს დამოკიდებულია ერთ ადამიანზე — ბიძინა ივანიშვილზე. ზუსტად ვიცი, რომ „თავისუფალი საქართველო“ არჩევნების გაყალბებას არ შეეგუება. ასევე, ზუსტად ვიცი, რომ თარგამაძე, ალასანია, „რესპუბლიკელები“, „ლეიბორისტები“ ისევე როგორც წინა არჩევნებზე, ახლაც აუცილებლად შეეგუებიან მორიგ გაყალბებას. მაგრამ არ ვიცით, რა პოზიციას დაიკავებს ბიძინა ივანიშვილი. მისი პოზიცია გადამწყვეტი იქნება. თუ იგი იტყვის, რომ არჩევნების შედეგებს უნდა შევეგუოთ, მაშინ „თავისუფალი საქართველო“ მარტო ვერაფერს შეცვლის. თუ იგი იტყვის რევოლუციაზე მივდივართო, მაშინ „რესპუბლიკელების“ და „მემარჯვენეების“ პოზიცია საზოგადოებისთვის უინტერესო იქნება. დღეს, ძალთა განლაგება ისეთია, რომ საზოგადოებრივი აზრის საკონტროლო პაკეტი ბიძინა ივანიშვილს უჭირავს.

**— ბევრი ოპოზიციონერი მაინც დარწმუნებით საუბრობს 1 ოქტომბერს საკუთარ გამარჯვებაზე. მაგრამ რა იგულისხმება ამაში. ხომ შეიძლება ზოგი წარმატებად 10 პროცენტით შესვლას თვლიდეს?**

— კი, სწორედ ამას ვამბობ, თაკო. ჟურნალისტებმა მათ უნდა ჰკითხოთ — რას იზამთ, თუ მანდატების 20 პროცენტს აიღებთ ვიცესპიკერის პოსტზე იყრით კენჭს თუ რუსთაველზე ბარიკადებზე დადგებით? ესაა მთავარი შეკითხვა, რომელზეც ყველას პასუხები შემიძლია ვივარაუდო, ბიძინა ივანიშვილის გარდა.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**— კახა, რაც შეეხება საარჩევნო სიებს, აქ უფრო მძიმე სურათი იკვეთება, ვიდრე 1.200 ათასი ხმის დაუზუსტებლობაა. ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში ოპონენტს „ტელე-კარდაკარის“ მოწყობა შესთავაზე.**

— დიახ, სწორედ დღეს მოვაწყვეთ „ტელე-კარდაკარი“, ვიყავით წალკის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, სადაც 700 ამომრჩევლიდან მხოლოდ 50 ცხოვრობს. თუმცა, იურიდიული პროცედურებით ხელისუფლებასთან დავა არაფრის მომცემია. როგორც დასაწყისში ვახსენე ამ პროცესს ვერც საერთაშორისო დამკვირვებლები ვერ გადაწყვეტენ. ღრმად მწამს, რომ ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია რევოლუციით.

**— მაშინ არჩევნებს რა აზრი აქვს, მითუმეტეს, თუ ვიცით, რომ არჩევნები უკვე გაყალბებულია?**

— რა თქმა უნდა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მგონია, რომ არამარტო ხელისუფლება აყალბებს არჩევნებს, არამედ ოპოზიციაც მაშინ, როცა ეჭვის ქვეშ აყენებს საკითხს — გააყალბებს თუ არა ხელისუფლება არჩევნებს. რა თქმა უნდა, არჩევნები გაყალბებულია. რა, არ ვიცით, რომ ხარატიშვილი მინიმუმ 55 პროცენტს დაუწერს „ნაციონალურ მოძრაობას“? ვინც ამბობს, რომ არ ვიცით, არ გააკეთებს ამას ხარატიშვილიო, ის გულუბრყვილო კი არა თანამონაწილეა. ვინც ახლა ამბობს ჩვენ ხმებს დავიცავთო, ეს ის ხალხია, ვინც ხმამაღლა ამბობდა — ჩვენ შევცვლით ამ ხელისუფლებასო და მერე არჩევნებში გამარჯვება გიგი უგულავას მიულოცეს. ეს ხალხი დღეს ამბობს არჩევნებს ვერ გააყალბებენო. ამიტომ ეს არჩევნების გაყალბებაში თანამონაწილეობაა. სხვათაშორის, ჰიტლერს აღწერილი აქვს პროპაგანდა, რომელსაც გერმანული და ბრიტანული სამხედრო შტაბები ერთმანეთის წინააღმდეგ ეწეოდნენ. საინტერესო მაგალითია. მისი თქმით: გერმანელ ჯარისკაცს, როგორც ბარბაროს, ველურს ისე აღწერდნენ და ბრიტანელი ჯარისკაცი მორალურად მზად იყო ამ საშინელი ძალის მქონე მებრძოლის გასანადგურებლად, რადგან მისგან თავი დაეცვა. გერმანელი სამხედრო პროპაგანდა ბრიტანელ ჯარისკაცს აღწერდა, როგორც პიჯაკში გამოწყობილ, არაფრისმაქნის, უნიათო ახალგაზრდას და გერმანელი ჯარისკაცები აბსოლუტურად არასერიოზულად იყვნენ განწყობილნი, რაც მავნებელი იყო. როცა ისინი პირისპირ შეხვდნენ ბრიტანელ ჯარისკაცებს აღმოაჩინეს, რომ საქმე ჰქონდათ არა დონდლო, არამედ კარგად მომზადებულ პროფესიონალებთან. ეს ისტორიული მაგალითია. ჩვენც თუ ვიტყვით, ვერაფერსაც ვერ გააყალბებენ, აშშ ჩვენთანაა, ყველაფერი მოგვარებულიაო, მერე საარჩევნო უბანზე სრული გარღვევა რომ გვექნება, ამას ვერანაირად ვერ დავიცავთ. პირიქით, უნდა ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს კრიმინალურ რეჟიმთან, რომელიც არჩევნებში მინიმუმ ხმების 60 პროცენტის მოპარვას აპირებს და თავი ჩაქუჩით უნდა გავუჭეჭყოთ. ეს უნდა იყოს ჩვენი სტრატეგია.

**— ისევ გაყალბების შემთხვევაში ქუჩაში გამოსვლის გეგმას დავუბრუნდები. ხომ შეიძლება სააკაშვილმა ეს მშვიდობიანი აქცია ოკუპანტი რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ პროვოცირებულ ქმედებად მიიჩნიოს, ეუთო და სხვა ორგანიზაციები, ფეხებზე დაიკიდოს და ქვეყანას თავად შეუქმნას საფრთხე?**

— კი, საფრთხე არსებობს. დალესტნის ოპერაცია ამის პირველი მაგალითია. რა თქმა უნდა, სააკაშვილი ამას გააკეთებს და გაუკეთებია კიდეც მსგავსი — განმუხურში, ხურჩაში, ახლა ლაფანყურში.



ვინც ასეთ საფრთხეებს არ ელოდება და მერე იტყვის — ასე რომ არ მომხდარიყო არჩევნებს მოვიგებდითო, ასეთი ხალხი ყველა ვანო მერაბიშვილის შტატიანი თანამშრომელია, ასევე, ისინიც, ვინც ეუბნებიან ბიძინა ივანიშვილს, რომ ყველაფერი კარგადაა.

**— კახა, ყოველთვის ამბობდი, რომ ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს და ერთიანი ფრონტით შეუტიოს ხელისუფლებასო.**

— ესეც ივანიშვილის გადასაწყვეტია. ვარაუდები მაქვს, თუ რატომ არ ხდება ეს გაერთიანება. მინდა გითხრათ, რომ თუ გაერთიანება არ შედგება, ოპოზიციამ შეიძლება აბსოლუტურად ყველა მაჟორიტარული ოლქი წააგოს. წაგებასა და მოგებას შორის, რატომაა ასეთი რთული გადაწყვეტილების მიღება, ჩემთვის გაუგებარია.

**— ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ სააკაშვილი 2013 წლამდე არსად მიდის.**

— პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა, რა თქმა უნდა, რეალურად შეცვლის ქვეყანაში პოლიტიკურ კლიმატს. გეთანხმებით, ეს არ ნიშნავს, რომ ამით ყველაფერი დასრულდება. ესაა რეჟიმი, რომელიც ბოლომდე იბრძოლებს, თუმცა პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა, ეს ამ არჩევნებზე გადასაწყვეტი ამოცანაა. ეს თუ მიიღწევა, ბრძოლა გამარჯვებად ჩაითვლება.

**თამარ შველიძე**

# ratom wyevlis meufe iosebi gurulebs?



რამდენიმე დღის წინ სააგენტო „ივერიონმა“ ინფორმაცია გაავრცელა — შემოქმედელმა ეპისკოპოსმა მეუფე იოსებმა (კიკვაძე) მრევლს ქადაგებისას მოუწოდა — არჩევნებში მხარი ნაცმოძრაობას დაუჭირეთ, ვინც არ შემოხაზავს ხუთიანს, იმას წყევლა და შეჩვენებაო და წყევლის ისეთი კორიანტელი დაუყენებია, გურულები ამბობდნენ თურმე — წყევლა როგორ არ გაგვიგონია, მაგრამ ასეთი საშინელი — არაფერიო.

ასეთი მიმართვები და ქადაგებები ამბიონიდან აღარ გვიკვირს, მაგრამ ამას თუ შემოქმედელი ეპისკოპოსი იკადრებდა, აღარ გვეგონა; რადგან, ვინც გურულების გაჭირვებას, სიღარიბე-სიგლახაკეს იცნობს, ამას ნამდვილად არ იზამდა; ან რა დასაწყევლი ვართ გურულები, ისედაც ცოტანი ვართ?!

ცხელი პოლიტიკური ვითარებების დროს გურიის მაცხოვრებლები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სითამამით, გამჭრიახობით, „რევოლუციონერობით“. ის კი არა, მეწიეთელი (სოფელი ჩოხატაურის რაიონში) უბრალო გლეხის ბიჭი, შემდეგში სახელოვანი მწერალი ჭოლა ლომთათიძე რუსეთის დუმის წევრი გამხდარა, სისხლს უშრობდა თურმე იმპერიალისტებს და შენ, მეუფეო, წყევლა-კრულვით წყვდიადისკენ მიერეკები გურულებს?

კარგა ხანი ვყოყმანობდი, მეუფე იოსებზე მეთქვა ის, რასაც მთელი გურია ლაპარაკობს, მაგრამ იძულებული გავხდი, ბოლოს და ბოლოს მომეთხრო ის, რაც არავისთვის არაა დღეს დაფარული.

გურიის მეუფე იოსები ის ღვთისმსახურია, ძვირფასო მკითხველო, რომელიც, როგორც მეუფის ნათესავ-ახლობლები ამბობენ, ძალიან უყვარს პატრიარქს და სურს მუდმივად გვერდით ჰყავდეს, მაგრამ გურია არ ეთმობა თურმე მეუფე იოსებს. გურიისადმი სიყვარული წყევლაში რომ გამოიხატა, დაინახეთ, მაგრამ გასულ წელს, ივლისში, სინოდის შეკრებაზე რელიგიის კანონზე ხელის მოწერაც მიუმატეთ, მწვალებელი გარეგინის და მიხეილ სააკაშვილის საამებლად და მეუფის პორტრეტის კონტურები მოხაზული გექნებათ.

შარშანდელი სინოდის შეკრების შემდეგ დრო გავიდა, შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში და ახლახან სინოდის შეკრებაზე ახალი განჩინება გამოიტანეს. მღვდელმსახურთა გადაწყვეტილება მეუფე ანდრიამ (გვაზავა) გორისა და სამთავისის მთავარეპისკოპოსმა გააცნო საზოგადოებას — სამღვდელო პირებს ეკრძალებათ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა.

სინოდის წევრების ნაწილი, ალბათ, ემორჩილება ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ მათი უმეტესობა რომ ურჩია, ხედავს ამას მთელი საქართველო. არა მხოლოდ მეუფე იოსები, მეუფე აბრაამიც — დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი საზღვარგარეთ ქადაგებს ნაციონალების მხარდაჭერას, მეუფე კალისტრატე კი, რომელიც ქუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსის ტიტულის გარდა, ჩემთვის ჯერ დაუზუსტებელი ინფორმაციით, ნუცუბიძის პლატოზე ფეშენებელური ბარ-სასტუმროს მფლობელი რომაა და თავგადაკლული ნაციონალ-ეპისკოპოსი, ეს მთელმა საქართველომ იცის და ეცოდინება ზეციურ მხედრობასაც.

მეუფე იოსები უფრო შორს წასულა, მოწოდებებს აღარ დასჯერებია და წყევლაზე გადასულა ნაცმოძრაობის და მიხეილ სააკაშვილის საამებლად. გურულ მეუფეს, რამდენადაც ვიცი, ხატვა ემარჯვება, თორემ მეუფე კალისტრატესავით ლექსებს დაუწერდა სააკაშვილს, რომელსაც გულის ფანცქალით შეხვედრია და დიდი ამალაც დაუხვედრებია გურიაში ახლანდელი სტუმრობისას.

მე ჩოხატაურიდან ვარ და იქ უამრავი ნაცნობი მყავს. ერთმა მეგობარმა ამას წინათ გულისტკივილით მითხრა: თანდათან ივსება ეკლესია მრევლით, მაგრამ მაინცადამაინც ვერ ვენდობით მეუფე იოსებს, რომელიც ცხვირსახოცივით იცვლის უცხოურ მანქანებს და თავისი ეპარქიის მღვდლები ლამის მოჯამაგირეებად დაისვასო. ყველაზე მეტად იმან დამწყვიტა გული, მამა გიორგის (ჯიბუტი) მრევლის წინაშე სასტიკი შეურაცხყოფა რომ მიაყენა პატარა მიზეზის გამოო.

როგორც აღმოჩნდა, საკუთარი ძვირადღირებული ჯიპით ძალიან ხშირად ხედავენ გურულები მეუფე იოსებს სურების ტყეში, ხე-ტყის ბიზნესების საკურთხებლად, ხოლო ღორთაფონში (ტყეს ეწოდება) ჩოხატაურიდან 5-6კმ-ზე ბერების კელიები აუშენებია, სკები გაუმრავლებიათ და ბახმაროს და ნაბეღლავის სურნელოვანი ყვავილების ნექტარით გამდიდრებულ ტონობით თაფლს მამასისხლად ყიდის თურმე გურიის ეპარქიის პატრონი. მეუფე იოსებმა, რომელმაც საზოგადოებაში ამ ბოლო ხანს მაწყევარი მეუფის სახელი დაიმკვიდრა, იმასაც ამბობენ, ფუი, ეშმაკს, და, ჯიხეთის დედათა მონასტერში ახალგაზრდა მონაზონი საყვარლად ჰყავსო.

გურიაში დღემდე საარაკოდ დადის და ზღაპრად ყვებიან მეუფის დედის 100-კაციან დაბადების დღეებზე. დიდ პატივს სცემს თურმე მეუფე დედას — სტილისტებს და მანიკურ-პედიკურშიცებს ქირაობს და შანელის და ვერსაჩეს კაბებში გამოწყობილს სვამს დღესასწაულებსა და იუბილეებზე. მეუფის დედა უკვე ასაკოვანი ქალი ყოფილა და ჩოხატაურში მისი მეზობლები ამბობენ, სახლის საქმეებში თითო მონაზონი ყოველთვის ეხმარება და ემორჩილება მეუფე იოსების დედასო, ხოლო ოჯახის კუთვნილ ათასობით ჰექტარ მიწას ბერები ამუშავებენო.

როგორც გურიაში ამბობენ, მეუფე იოსებს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად წილები ჰქონია სხვადასხვა ბიზნესებში და ძალიან ახლო ურთიერთობებიც ჰქონია ამა ქვეყნის ძლიერებთან.

მიხეილს სააკაშვილის ნამესტნიკთან, ამჟამად, ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან რამაზ ნიკოლაიშვილთან შეთანხმებით დაშალეს თურმე სოფელ ხიდისთავში კულტურის სახლი და კაკლის და წაბლის ძვირადღირებული მასალა ბოლო ფიჩხამდე გაუზიდავს მეუფე იოსებს. სოფლელებს რომ უკითხავთ, სად მიგაქვთ, ისევ ეკლესიას მოვახმაროთო, მეუფეს გაჯავრებულს გულზე მჯიღი დაურტყამს: მე მიმაქვს და რა გინდათ, ახლა მითხარითო. ხმა ვერ ამოუღიათ გურულებს, მეუფეს ვერ შეპასუხებიან.



ასე ლაპარაკობენ კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის „ლუბიმშჩიკ“ მეუფე იოსებზე გურულები, რომლებსაც ამ ბოლო დღეებში მეუფის რისხვა წყევლად დაატყდათ თავს. მეუფეს წყევლა რომ ახდეს, ცელით მოსიარულე მიქელ-გაბრიელს წინ და უკან მოუწევს სირბილი, რადგან, რამდენადაც ვიცი, მთელი გურია „ქართულ-ოცნებას“ უჭერს მხარს და არ ამბობენ, თორემ სააკაშვილი „ხოლერასავით“ ეჯავრება თვით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც კი.

ჩემს სათაყვანებელ გურიაში ეს ხალხური ლექსი ყველამ იცის, ხოლო მე კიდევ ერთხელ შევახსენებ ჩვენს ერთგულ მკითხველს:

„დალოცვილი ქრისტე ღმერთი,
ოქროს ტახტით დაბრძანდება,
ხელში სასწორი უჭირავს,
ცოდვა-მადლი იწონება“.

**ირანდა კალანდაძე**

# saakaSvili saqarTvelos qvis xanaSi dabrunebas upirebs...

***ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე თავის მოსაზრებას გვიზიარებს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, გალაქტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, პოეტი ბადათერ არაბული***

მწერალი ოტია იოსელიანი ხშირად იგონებდა, გულმოსულმა როგორ ჰკითხა ერთხელ წყალტუბოში, მის სახლში სტუმრად მყოფ სააკაშვილს:

— რას უშვრები საქართველოს, კვლავ უკან, გამოქვაბულისკენ მიგყავსო?

— არა, მე წინა გამოქვაბულისკენ მიმყავსო! — ვითომ ხუმრობით უპასუხია სააკაშვილს...

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ ეჭვი არ არის, დღეს ქვეყნის მეთაურს საქართველო ნამდვილად უკან, ქვის ხანისკენ და გამოქვაბულისკენ მიჰყავს... **ნაციონალებისგან ქვების ესოდენ მოხშირებული სროლა და მათი ქცევა ამის მანიშნებელია!..**

რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, დღითი დღე მით უფრო მძაფრდება და აუტანელი (შემაშფოთებელი) ხდება საარჩევნო გარემო.

მმართველი პარტია ყველაფერს აკეთებს მოვლენების ესკალაციისთვის, მისი მთავარი კონკურენტის უკანონო დასჯისა და საარჩევნო კანონების მონოპოლიზაციისათვის, რაც საქართველოს და ჩვენ საზოგადოებას სასიკეთოს არაფერს მოუტანს და ქვეყანას სამოქალაქო დაპირისპირებას უქადის... ამ ყველაფერში კი პასუხისმგებლობა, უპირველესად, ხელისუფლებას ეკისრება, რომელიც ვალდებულია, საარჩევნო პროცესი ცივილურ, დემოკრატიულ კალაპოტში მოაქციოს...

საქართველოს ხელისუფლება, მოსახლეობა, პარტიები ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიეჩვიონ თავისუფალი, დემოკრატიული პრინციპებით არჩევნების ჩატარებას; საარჩევნო ვადის გასვლის შემდეგ არავისთვის არ უნდა იყოს ტრაგედია ხელისუფლებიდან წასვლა და უფლება-მოვალეობების ცივილიზებული ფორმით გამარჯვებული ძალისთვის გადაბარება, როგორც ეს უცხოეთის დემოკრატიულ ქვეყნებში ხდება. არც პრეზიდენტისთვის, არც მთავრობისა და პარლამენტისთვის ხალხს სამუდამოდ არ მიუცია ნდობის მანდატი და მისი სხვისთვის გადაცემა არც ტრაგედია უნდა იყოს ვინმესთვის და არც ქვეყნის დაქცევა...

დღეს კი რა ხდება? 9-10-წლიანი მმართველობის შემდეგ ნაციონალურ მოძრაობას გამოუჩნდა ღირსეული კონკურენტი ბიძინა ივანიშვილისა და მისი კოალიცია „ქართული ოცნების" სახით და ნაცელიტა აგონიაში, შოკში ჩავარდა! ნაციონალებმა იგრძნეს, რომ ძალაუფლებას კარგავენ და დემოკრატიის, მეტიც, ადამიანური ურთიერთობების ყველა ზღვარს გადავიდნენ! როგორც ჩანს, მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ (აქვთ) ხელისუფლებაში სამუდამოდ ყოფნა და ივანიშვილის გამოჩენა დიდი დარტყმა იყო...

ბიძინა ივანიშვილის ფინანსების და ავტორიტეტის შიშით ნაციონალებმა კონტროლის პალატაში აუდიტის სპეციალური სამსახური შექმნეს, რომელიც მხოლოდ „ქართული ოცნების" რეპრესიებით, უკანონო დაჯარიმებებით, დაყადაღებებით არის დაკავებული, მაშინ, როდესაც ამ ორგანიზაციის უმთავრესი მოვალეობა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის კონტროლი უნდა იყოს!..

კონტროლის პალატის ამ სამსახურმა, ფაქტობრივად, გაუგონარი ჯარიმები დააწესა კოალიციის ფინანსური შემომწირველებისთვის, ისინი არავითარ კანონიერ დასაბუთებას არ იზიარებენ და ყველას, მხოლოდ „ვარაუდებით", უკლებლივ ხუთმაგი ჯარიმით სჯიან, რაც უპრეცედენტო მოვლენაა მსოფლიო ქვეყნების საარჩევნო ცხოვრებაში, მაშინ როცა ნაციონალების შემომწირველებს მწვანე შუქი აქვთ ანთებული და მათ პარტიულ სალაროსთან, ვითომ ნებაყოფილობით, შემომწირველთა გრძელი რიგები დგას; ქუჩები, სატრანსპორტო საშუალებები გადაფარულია ნაციონალების სარეკლამო ბანერებით, პლაკატებით, მაშინ, როცა არც ერთი ოპოზიციური პარტიის ბანერი ან პლაკატი არსად ჩანს! თითქმის ასევეა ტელევიზიებში, რადიოში, პრესაში და ამას ხელისუფლება თანაბარ პირობებს ეძახის და ხშირად ლაპარაკობს თავისუფალი საარჩევნო გარემოს აუცილებლობაზე, ამასთან, სხვებსაც „მოუწოდებს" წესების დასაცავად, რაც უცხოელთათვის კეთდება, ნახეთ, რა დემოკრატები ვართო! მაგრამ სინამდვილე სხვაა: „ქართული ოცნების" თითქმის ყველა შეხვედრა, რა თქმა უნდა, ხელისუფლების მიერ პროვოცირებული ინციდენტით, გაწევ-გამოწევით, პროვოკაციით, ქვების სროლით, ცემით, ჟურნალისტების შეურაცხყოფით, გადამღები ვიდეოაპარატურის დამტვრევით, ოცნების აქტივისტების უკანონო დაჭერით მთავრდება, რაც საარჩევნო პროცესს არანორმალურს ხდის! ქვების სროლას კაცობრიობა გამოქვაბულიდან გამოსვლისა და ჯოგური ცხოვრების შემდეგ გადაეჩვია, მაგრამ სააკაშვილი, სამწუხაროდ, ამ ქვების სროლით, როგორც უკვე ითქვა, საქართველოს კვლავ ქვების ხანაში და გამოქვაბულში დაბრუნებას უპირებს!.. ეს კარგად უნდა დაინახონ ჩვენმა დასავლელმა და ამერიკელმა პარტნიორებმა, ჩვენთან მოვლენილმა საერთაშორისო დამკვირებლებმა, რადგანაც საქართველოში „დემოკრატიის შუქურა" დიდი ხანია ჩაქრა და ჩვენ კვლავ ხელის ცეცებით გვიწევს პოლიტიკურ ლაბირინთებში გზის გაგნება!..

ორმაგი სტანდარტებით არჩევნების ჩატარება ჩვენს ქვეყანას ვერაფერ სასიკეთოს მოუტანს! მოსახლეობა პოლარიზებულია და ამაში, პირველ რიგში, ხელისუფლებაა დამნაშავე! მიხეილ სააკაშვილი დღეს მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტია — ის გაემიჯნა დანარჩენ საქართველოს, მან უარყო დანარჩენი საქართველო; ვინც მას არ უჭერს მხარს, ყველა მტრად, ჯოჯოდ, მაჯლაჯუნად, გარეწრად, სამშობლოს მოღალატედ, წარსულის გადმონაშთად, ბნელეთის მოციქულად, რუსეთის აგენტად გამოაცხადა, რაც სააკაშვილის დიდი ტრაგედიაა; მან საკუთარი თავი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის გარეთ დააყენა და ამით თვითონვე თქვა უარი მთლიანი საქართველოს პრეზიდენტობაზე! მან დღესასწაულებიც კი: „დიდგორობა", „ბეშუმობა", „ბახმაროობა", მხოლოდ ნაციონალურ დღესასწაულებად გამოაცხადა და სხვებს იქ მისვლა აუკრძალა. „ვაჟაობაც" კი ამის გამო მეორედ ჩაატარეს.



რაც შეეხება რუსეთის აგენტობას: ამ ხელისუფლებამ თავისი ნებით 37 სტრატეგიული ობიექტი, მათ შორის გაზი, წყალი, დენი, საკომუნიკაციო საშუალებები, წიაღისეული სიმდიდრეები და ა.შ. გადასცა რუსეთს! ამ დროს სხვებისკენ თითის გაშვერა გალმა შედავების უაზრო პოლიტიკაა და მეტი არაფერი! ხელისუფლება ხშირად აპელირებს ივანიშვილის გუნდის ძველ კადრებზე (?!), მაშინ როდესაც ნაციონალების გუნდი, მათი სადებუტატო სია, მაჟორიტარების უმრავლესობა შევარდნაძის დროიდან კარგად ახსოვს ხალხს; ესენი არიან ძველი კომკავშირელები, მოქკავშირელები, რაიკომის მდივნები, დეპუტატები, მინისტრები, და ა.შ. რომლებიც 15-20 წელია ქართულ პოლიტიკაში აქტიურად ტრიალებენ სხვადასხვა პარტიებში; რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: თვითონ მიხეილ სააკაშვილი ვინ იყო? ვინ იყო მიხეილ მაჭავარიანი? ხათუნა გოგორიშვილი? გიგი წერეთელი? ელდარ კვერნაძე? მერაბ სამადაშვილი? ანდაც რუსეთის სამთავრობო და უშიშროების სამსახურებთან ახლობელი პირები; კახა ბენდუქიძე, გრიგოლ ვაშაძე, კობა ნაყოფია და სხვები!..

სააკაშვილი ოპოზიციას —„ქართულ ოცნებას" ეუბნება: მეტი საქმე არა მაქვს სადმე წავიდე და ჩემი აშენებული თქვენ დასანგრევად ჩაგაბაროთო! ვის ეუბნება ამას სააკაშვილი? ბიძინა ივანიშვილს? რომელმაც, როდესაც მას არავინ ავალდებულებდა და ვერავინ დააძალებდა 1 მილიარდ 300 მილიონი ლარი დახარჯა ქართული სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად, ჯარის, პოლიციის, სხვადასხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობის დასაფინანსებლად, სკოლების, საავადმყოფოების, გზების, ეკლესია-მონასტრების მშენებლობისა და რესტავრაციისთვის, ჩინოვნიკების ხელფასებისთვის, გაჭირვებულთა და ავადმყოფთა დახმარებისთვის, კულტურის, ხელოვნების, საზოგადოების უხელფასოდ და უპენსიოდ დარჩენილი ცნობილი წარმომადგენლების სტიპენდიებისთვის! მაშინ, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები, თვითონ პრეზიდენტი და მისი მინისტრები, სააკაშვილის ნათესავები, ოჯახის წევრები, რომლებსაც ხელისუფლებაში მოსვლამდე არაფერი გააჩნდათ, უცებ მილიონერები გახდნენ! საიდან? ზეციური, ღვთაებრივი მადლი გადმოვიდა მათზე თუ რა მოხდა? სახელმწიფოს, იგივე ჩვენი ბიუჯეტის, უცხოური გრანტების მითვისებით, ელიტარული კორუფციით, მონოპოლიური სამსახურების შექმნით მათ საქართველოში საკუთარი სახელმწიფო შექმნეს, სადაც მხოლოდ თვითონ გრძნობენ ზღაპრულად თავს! მათ საკუთარი კომუნიზმი აიშენეს საუკეთესო ხელფასებით, 100-ათასიანი პრემიებით; სამსახურის ძვირადღირებული მანქანებით და დიდი ქონებით! მათ დაავიწყდათ, რომ ჩვენს ქვეყანაში დღითი დღე მრავლდებიან ნაგვის ურნებში ჩაყუდებული, უხელფასო, უმუშევარი, უპენსიო ადამიანები, დამცირებულნი, შეურაცხყოფილნი; დაავიწყდათ, რომ არსებობს, ხელისუფალთაგან მიტოვებული, განწირული საქართველოც, რომელიც მათ მხოლოდ არჩევნების დროს აგონდებათ და 20-30-ლარიან ვაუჩერებით, დაპირებებით, ერთთვიანი დასაქმებებით, კვლავაც მოტყუებით აპირებენ ხალხის მოქრთამვას, საბოლოოდ კი — არჩევნების გაყალბებას!.. აქედანვე შესასწავლია ხელისუფლებასთან შეკრული, მისი დაკვეთით (დაფინანსებით) მომუშავე სოციალური კვლევის სამსახურების საქმიანობა! ისინი გეგმაზომიერად, წინასწარ ატარებენ საეჭვო კვლევებს; პარტიების რეიტინგების შესახებ ამკვიდრებენ აზრს, თითქოსდა ნაციონალურ მოძრაობას ორჯერ მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე ქართულ ოცნებას და სხვა ოპოზიციურ ძალებს, რაც მოსახლეობის ზომბირების, ამგვარი მცდარი აზრის დამკვიდრების მცდელობაა არჩევნების გასაყალბებლად! ამის შესახებ აქედანვე უნდა გაფრთხილდნენ ეს ორგანიზაციები და მათი სათაო ოფისების წარმომადგენლებიც ან მოხდეს ობიექტურობით ცნობილი სხვა, ნეიტრალური სოციალური კვლევის სამსახურების მოწვევაც; ამ საკითხში ოპოზიცია ვალდებულია, ერთობლივი ძალისხმევით, სასწრაფოდ იმოქმედოს, თორემ მერე, როდესაც ხელისუფლება მათი კვლევის, შედეგების შესაბამის ციფრებს დადებს არჩევნებზე, აღარაფერი ეშველება! **ენდიაის და აირაის** კვლევები საქართველოში ხელისუფლების დაკვეთით და აქ ნაციონალების არასამთავროების, არჩევნების გამყალბებელი, იგივე თარხნიშვილის ცოლის და სხვათა პირდაპირი მონაწილეობით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებული ეჭვის საბაბს იძლევა! ასევეა ეგზიტპოლების საკითხიც! წინა არჩევნებში ეგზიტპოლების გაყალბებისათვის გია ნოდია და თემურ იაკობაშვილი მინისტრის თანამდებობებით დააჯილდოვეს!

— ასეთი წარმატებული საქართველო არასოდეს ყოფილაო! — ხშირად მოისმენთ პრეზიდენტისგან და მისი ულირსებო, ფულს და კარიერას დახარბებული, სააკაშვილის მონებად ქცეული ნაციონალებისგან! მაგრამ ყველამ იცის: ხელისუფლების უგუნურობით ტერიტორიების ოცპროცენტდაკარგულ საქართველოს წარმატებული ვერ დაერქმევა!.. უცხოეთში მილიონნახევარ მოქალაქეგადახვეწილ, შვილებდაკარგულ ქვეყანას წარმატებული ვერ დაერქმევა!.. სოფლის მეურნეობამოშლილ და მრეწველობადაქცეულ, ბიზნესდაყაჩაღებულ, უმუშევრობით გაწამებულ საქართველოს წარმატებული ვერ დაერქმევა!.. ელიტარულ კორუფციაში ჩაფლულ და გაღატაკებულ მოსახლეობის პატრონს, უხელფასო, უპენსიო, უმუშევარ, უიმედო და უპერსპექტივო ადამიანების სამშობლოს წარმატებული ვერ დაერქმევა!..

საქართველოს მოსახლეობამ სწორი დასკვნა და არჩევანი უნდა გააკეთოს!

ერთ მხარესაა: 9-10-წლიანი უკანონო, უსამართლო, უგუნური „მოღვაწეობით", საქართველოს ტერიტორიების დაკარგვით, მკვლელობებით, დაჭერებით, დაყადაღებებით, რეპრესიებით, საკუთარი კეთილდღეობისა და გამდიდრებისათვის დაუოკებელი ლტოლვით, ხალხის ხარჯზე აურაცხელი ქონების დაგროვების სურვილით ცნობილი ხელისუფლება, და მეორე მხარეს დგას ბიძინა ივანიშვილი, დიდი ქველმოქმედი, სამების ტაძრის აშენებელი, მისი ეროვნული, პატრიოტული, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმიანობით ცნობილი მამულიშვილი, რომლის ფიქრი საქართველოს მომავალზე, აღორძინებაზე, თითოეული ქართველის უკეთეს ცხოვრებაზე ოცნების ახდენისკენაა მიმართული!..

როგორც ჩვენი დიდი წინაპარი იტყოდა: „შენ გიჯობს აწ რომელი(თა)?!"



# `Cveni qveyana pataraa, magram rTuli _ aseTi rTuli saxelmwifos marTva Zalian Znelia~



***ვესაუბრებით კინო-დოკუმენტალისტს, ბატონ გია ჭუბაბრიას***

**— ბატონო გია, ახლა წინასაარჩევნო პერიოდია, რაც თავისთავად გარკვეულ დაძაბულობას, ამავე დროს შინაგან მობილიზაციას გულისხმობს. დიდ პოლიტიკას დიდი პრეტენზიები აქვს. თქვენი აზრით, შერჩა საქართველოს დიპლომატიური პოტენციალი?**

— ისეთი რთული სახელმწიფოს მართვა, როგორც საქართველოა, ძალიან ძნელია. სამწუხაროდ, წინათ საქართველო პოლიტიკური მოღვაწეების იმპორტიორი იყო. რუსეთის პირველი დუმის თავმჯდომარე გახლდათ კარლო ჩხეიძე. დეიდაჩემისგან მახსოვს, ყვებოდა მის შესახებ. სიტყვით გამოდიოდა, როცა შვილის სიკვდილი შეატყობინეს. წარბი არ შეუხრია, ისე დაამთავრა გამოსვლა და მერე მიხედა თავის მწუხარებას. რამდენადაც მახსოვს, მერე პარიზში თავი მოიკლა. ასევე რუსეთის პირველ დუმაში გახლდათ კაკი წერეთელი, რომელიც, სხვათა შორის, საჩხერის რაიონიდან გახლდათ, ჭორვილას პირდაპირ რომ სოფელია — გორისა, იქედან. ბრწყინვალე პოლიტიკოსი და ორატორი გახლდათ ეს პიროვნება. და კიდევ ბევრი სხვა ადამიანი შეიძლება ჩამოგვეთვალა, ვინც ქვეყნის ფარგლებს გარეთ აკეთებდა თავის საქმეს, ინტელექტუალური იმპორტი ხდებოდა.

**— იქნებ რაღაც სისტემის შეცვლაცაა საჭირო?**

— ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: თუ დემოკრატიულ ქვეყანაში გვინდა ცხოვრება, პრეზიდენტები უნდა იცვლებოდნენ. ბრწყინვალე სისტემაა ამერიკის შეერთებულ შტატებში — ოთხ წელიწადში ერთხელაა არჩევნები. ასეთი ცვალებადობა არის დემოკრატიის მაჩვენებელი. არავის არ უნდა ჰქონდეს იმის უფლება, დაჯდეს პრეზიდენტის სავარძელში და ფეხი არ მოიცვალოს.

ეს ფართო მასშტაბის საკითხები გახლავთ და ამაზე მინდა ყურადღება გამახვილდეს, თორემ ჩიორა რას გველაპარაკება ეკრანიდან, ნაკლებად მაინტერესებს. პირველ რიგში, პიროვნებები, მოქალაქეები უნდა იყვნენ: დახვეწილები, იმიტომ, რომ ქვეყანას ხალხი ქმნის. თუნდაც ავიღოთ ჩვენი ხანდახან უაზრო, ტოლერანტობა. 1997 წელს გერმანიაში, დორტმუნდტში ფილმის პრემიერა მქონდა. კარგად მახსოვს გერმანელები როგორი შეშინებულები იყვნენ — 6 მილიონი თურქია უკვე ჩვენთან შემოსული და 30 მეჩეთი აქვთ აშენებულიო. გერმანელებს, ამხელა ერს ეშინია ასიმილაციის, ჩვენ სამი მილიონი ვართ. ამდენი ხალხი მოსკოვში ერთ კვარტალში ცხოვრობს. ქართული მიწა ზღაპრულია, მოდის ყველა, ვისაც არ ეზარება, ჩვენ ხომ ყველასთვის კარგი მასპინძლები ვართ. ამან მოგვიტანა ტერიტორიული პრობლემები და კიდევ რა მოხდება, ღმერთმა უწყის. ტოლერანტობასაც თავისი საზღვრები აქვს.

**— ჩვენთვის უმჯობესი იქნება ერთმანეთი უფრო გვიყვარდეს, ვიდრე სხვები...**

— მეჩვიდმეტე საუკუნეში იტალიელი მისიონერი პიედრო დე ლა ვალე წერდა: ქართველები ისე რომ ებრძოდნენ მტერს, როგორც ერთმანეთს ებრძვიან, მათი ქვეყანა დიდი ხნის წინ იქნებოდა თავისუფალიო. ღმერთმა მოგვცა სტუმართმოყვარეობის დიდი ნიჭი, თბილი ბუნება, მაგრამ გვაქვს მანკიერება, ორპირობა, ორგულობა. მერვე საუკუნეში იოანე საბანისძემ თქვა ქართველებზე: „ირხევიან ვით ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. მეთვრამეტე საუკუნეში ჰეგელმა თქვა, ქართველები მერყევი სულის ხალხიაო. დღევანდელ დღეს 21-ე საუკუნეში ყოველდღე ვხვდებით ამის მაგალითებს. მედროვეებითაა ქვეყანა სავსე. ილია ჭავჭავაძე მოკლეს ქართველებმა, ამაზე უარესი რა უნდა ექნათ. პუშკინი და ლერმონტოვიც მოკლეს რუსეთში, მაგრამ იქ სულ სხვა სიტუაცია და მიზეზი იყო. მე არ მეგულება ქვეყანა, სადაც ერის მამა მოეკლათ, მით უმეტეს ასეთ პატარა ქვეყანაში.

**— პატარაა ქვეყანა და ესეც ბევრ პრობლემას ქმნის. როგორ ფიქრობთ, კიდევ დიდხანს ვიქნებით რუსეთსა და ამერიკაზე დამოკიდებული?**

— საქართველო მთელი ხმელეთის ნული მთელი ორი მეასედი თუ იქნება. ძალიან პატარაა, მაგრამ ამავე დროს ძალიან ადგილზეა. პანამის არხივითაა, მასზე გადის გზა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ამიტომ სჭირდება რუსეთსაც, ამერიკასაც და სპარსეთსაც. სტალინმა თქვა, ყველაზე ნაკლები ბოროტება ჩვენი რუსეთთან შეერთება იყოო. ჯობია, არავისზე იყო დამოკიდებული, მაგრამ როცა ასეთი პატარა ქვეყანა ხარ, ჯობს, ურთიერთობა დააბალანსო დიდ მეზობელ სახელმწიფოებთან. რუსეთმა ამდენი ხნის მანძილზე ერთი ჯარისკაციც კი არ გაიყვანა ოკუპირებული ტერიტორიებიდან და არც არავინ ატეხავს ომს ჩვენი გულისთვის.

**— რა გამოდის, არ ვიყავით მზად დამოუკიდებლობისთვის?**

— დიახ. მთავარი პრობლემა თითოეულ ჩვენთაგანშია. ფრანც კაფკა ამბობდა: ინტელიგენციის მთავარ ამოცანას შეადგენს ეროვნულ მანკიერებათა ჩვენება და გაწმენდა. საქართველოს თითქმის აღარ ჰყავს ნამდვილი ინტელიგენცია. მე დოკუმენტალისტი ვარ და ჩვენ, რეჟისორები, პირველ რიგში, ადამიანთმცოდნეები ვართ. ბევრ რამეს სხვანაირად ვუკვირდები. ვუყურებ ტელევიზიას, გული მერევა, რა ტერმინოლოგიით, რა ქართულით საუბრობენ. როგორი ცინიზმით ლაპარაკობენ ბიძინა ივანიშვილზე, რომ მას ქვეყნის უკან, საბჭოეთში დაბრუნება უნდა და კიდევ ამგვარ სისულელეებს. ეს არის თავხედური ტყუილი, ჭუჭყი და მე მიკვირს იმ ხალხის, ვინც თავისი ნებით ეხვევა ამ სიბინძურეში.

**თამუნა ქადაგიძე**



# arCevani gvmarTebs ucdomeli



მგზავრობა რომ მოგიწევს ხოლმე საქართველოს ქალაქებში, რაიონებსა და სოფლებში, ნახავ, ყველა ტრანსპორტზე, თვალში მოსახვედრ ადგილებში სულ ყველგან, დიდი ფორმატებით აღბეჭდილია ე.წ. „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი საარჩევნო ნომერი „5“, ოკუპირებული აქვთ მთელი საარჩევნო სივრცე. „ნაციონალები“ ასეთი არანაციონალური ძალისხმიერი მეთოდებით მოქმედებენ, ახლა რომ შეინარჩუნონ ხელისუფლება, მერე ხომ თითის განძრევას მართლაც ვერავინ გაბედავს, როგორც დაიმუქრა სააკაშვილი.

შევაფასოთ მათი საარჩევნო სლოგანები.

1. დასაქმებაო, მაგრამ რით? საკვირაო ბაზრობებით? დროებით მშენებლობებით? უცხოელი სტუმრების მომსახურებით? არავითარი საბაზისო მიმართულებების შემოთავაზება მოსახლეობის მყარი, მუდმივი გარანტირებული დასაქმებისათვის.

2. ჯანდაცვა ყველასო. ჯანაცვის უფლება ახლაც ყველას აქვს, მაგრამ რის საფასურად? დაზღვევებიო, — გაიძახიან. დაზღვევები ისევ ხალხის გადასახადებით შექმნილი ბიუჯეტის ხარჯზე არ კეთდება?

3. ძლიერი სოფელიო კარგი სლოგანია, ოღონდ ბატონ ბიძინა ივანიშვილისაგან გადამღერებული. მაგრამ ძლიერი სოფელი ძლიერ სოფლის მეურნეობას ეყრდნობა. ძლიერი სოფლის მეურნეობა ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვითა და ქართველთა აყრით ამ მიწებიდან უნდა შეიქმნას? თანაც სოფლის მეურნეობის განვითარების არავითარი კომპლექსური პროგრამა.

4. მეტი სარგებელი ხალხს — პირზე აკერიათ „ნაციონალებს“. რა სარგებელი მოუტანეს ხალხს? გაღატაკება და უცხოეთში გადახვეწა? კვლავ ბუნდოვანი დაპირებები, კვლავ ბუნდოვანი დაპირებები, კვლავ რებუსები.

5. ხოლო 1000 ლარიანი ვაუჩერი — ეს არის ამომრჩევლის პირდაპირი მოსყიდვა. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმ სტანდარტულ წრეზე ბრუნავს, რომელზედაც წინა არჩევნების პერიოდში ბრუნავდა „ნაცმოძრაობა“. კრიტიკა გვესმის, ვთქვათ, რომელიმე პიროვნებებისაგან რომელიმე პიროვნებაზე, მაგრამ ისეთი ცილისმწამებლური ანტირეკლამა, რაც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მიმდინარეობს. ვერ თავსდება ზნეობის რაიმე კატეგორიაში. ამორალურია ეს ანტირეკლამა. პოლიტიკურ ბრძოლასაც ხომ გააჩნია მორალი? მაგრამ ხალხმა იცის და სჯერა, რომ ბიძინა ივანიშვილის პროგრამა შექმნის სწორედ საქართველოს სწრაფი განვითარების შესაძლებლობას, საფუძველს, ხოლო „ნაციონალებისა“ კვლავ უკუსვლისკენ წაიყვანს ქვეყანას.

ბატონი ბიძინა ივანიშვილი თანამშრომლობდა „ნაციონალებთან“ იმ იმედით, რომ ქვეყნის განვითარებას შეუწყობდა ხელს. მაგრამ ვერ გაათეთრა შავი ყორანი — ხელისუფლება.

თავად რომ მოვა ხელისუფლებაში და თავად იქნება საკუთარი ფინანსების განმკარგავი, რეალურად არ მოახმარს ხალხს? რასაკვირველია, მოახმარს და მერე როგორ! აი, ასეთი კაცი ღმერთმა მოგვივლინა ქართველებს ყოფნა-არყოფნის ჟამს.

და ამ კაცის უერთგულესი თანამებრძოლია ბატონი ირაკლი ალასანია. ცხოვრების მოკლე პერიოდში მან გამოიარა დიდი საბრძოლო გზა, გამოიბრძმედა პოლიტიკურად, იცის ხალხის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზებიც. შინაგანად რამხელა ამაღლებული უნდა იყო, რომ დაძლიო პირადი განცდები ქვეყნის ინტერესებისათვის და გამართო შერიგების დიალოგი იმ მხარესთან, რომლის შეიარაღებულმა ფორმირებებმა მამა დაგიხვრიტეს. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ მან დიდი ნდობა მოიპოვა აფხაზებისა და რომ არა ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების არაკორექტულობა, შერიგების გზები იხსნებოდა, სააკაშვილსა და მის გარემოცვას ჩვენ არ ვენდობით და აფხაზები და ოსები მიენდობიან? გამორიცხულია. ეს უნდა გვახსოვდეს ყველას და განსაკუთრებით დევნილებს.

აფხაზეთისაკენ გზა სამეგრელოზე გადის. აქ დეპუტატად გვჭირდება კაცი, რომელსაც აფხაზეთში პატივისცემით მიიღებენ და ენდობიან. ამიტომ ყველა ზუგდიდელმა და არაზუგდიდელმა, ყველა დევნილმა, ყველამ, ვისაც საქართველოს გამთლიანება სურს, ხმა უნდა მისცეს ნაღდ ქართველს ირაკლი ალასანიას!

სენაკში განსახლებულო დევნილებო, მთელი რაიონი უნდა ამოუყენოთ გვერდში აფხაზეთის მკვიდრს, ცნობილ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს გურამ ოდიშარას, რათა სპექტაკლი „ზღვა, რომელიც შორია“ სოხუმში დაედგათ, აფხაზებთან ერთად ვუყუროთ და დავგმოთ სამარადჟამოდ თავსმოხვეული უნდობლობა.

**დევნილთა საერთო კრების სახელით**
**საქართველოს უხუცესთა დარბაზის**
**აღმასრულებელი მდივანი**
**პ-პ „ჩვენი აფხაზეთის“ თავმჯდომარე**
**როლანდ ნიჟარაძე**

აუ, მაგრად ვიცინე... ეს რა გავიგე, ხალხოოო... ნაციონალების სიის №10, პირზე რძეშეუმშრალი ბაღანა, ვინმე მარინა თუ მარიამ საჯაია - ნაციონალების ცნობილი აქტივისტის ნაზი არონიას შვილი ყოფილა... ხომ გახსოვთ ეს მატრაკვეცა ქალი? ახლა შვილი რავარი მატრაკვეცა და მაზაკვალი იქნება, ხომ წარმოგიდგენიათ... ნაზი არონიას შვილის გულისთვის შეცვალეთ კანონი, თქვე ფარჩაკებო?

ბა რუსეთთან კავშირში. სენატორი საქართველოს მოქალაქეა თუ ამ არჩევნებში საკუთარი პარტიით გამოდის?

რამდენი? როდემდე? რატომ? ეს არის წარმატებული დემოკრატია? სადაც ადამიანებს ყოველგვარი გასამართლების გარეშე, ადგილზე ხვრეტენ.. ნორვეგიელმა ტერორისტმა, ანდრეს ბრეივიკმა 77 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, მაგრამ ბრეივიკი არავის დაუხვრეტია ადგილზე და დღესაც "თავს კარგად გრძნობს". ამ




# xalxis azriT

გუშინ მიხეილ სააკაშვილი იყო ჩასული სამტრედიაში... მიუსამძიმრა იმ დაღუპული ექიმის ოჯახს, რომელიც სპეცოპერაციას შეეწირა... დედამ მიატირა - შენ მომიკალი შვილი... სააკაშვილი მაინც მივიდა ამ ქალთან და გადაეხვია... რა თქმა უნდა, ტელევიზიებმა ეს აჩვენეს, ანუ გადახვევის მომენტი... გამოვიდა სააკაშვილი ოჯახიდან... დღეს სამტრედიის გამგებელს უფლებამოსილება შეუჩერეს... დაიბარეს (ვინ დაიბარა გამგებელი და რა გვარია თავად გამგებელი, ეს იმათ გაარკვიონ, ვინც ინფოს მოიპარავს, რაც არაერთხელ მოხდა) და უთხრეს... თავად მიშამ კიდევ ცალკე გაურჩია საქმე - როგორ ვერ მოახერხე, შე ბოთე და უვარგისო (მისი სიტყვებია), ოჯახი შემზადებული დაგეხვედრებინაო..

ისე, რა მაინტერესებს და, სენატორი მაქ ქეინი რის საფუძველზე სვამს კითხვებს და არკვევს არის თუ არა ესა თუ ის პიროვნე-

ბიჭებს კი მიაკერეთ სიტყვიერად "ტერორისტები" და ჩაცხრილეთ.. საქართველოსთან შედარებით, ამხელა ქვეყანას – ბრიტანეთს 2 ტერორისტი არ ჰყავს და საქართველოს ხელისუფლებამ 3-მილიონიან ქვეყანაში ბოლო წლებია 300-მდე „ტერორისტი" აღმოაჩინა და ჩაცხრილა, ადგილზე. ქვეყანაში სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებულია ხალხს ადგილზე ხვრეტენ.. რაღატომ გააუქმეთ სიკვდილით დასჯა თუკი ადამიანის სიცოცხლეს ასე ხელაღებით, ერთ წამში ხელყოფთ??? თვითმფრინავის ბიჭებს კომუნისტებმა ბოლო სიტყვა მაინც ათქმევინეს.

შვებით ამოვისუნთქე! გოკა, ჩვენი გოკუნა გამოგვესარჩლა "დესპოტი ბიძინასაგან" დაჩაგრულ მასწებს...აპა, რავა ეგონა "მეოცნებე შურისმაძიებელს?! მაგის დასასჯელი მასწები იქეთ მოიკითხოს. რა უფლებით განაცხადა:"ყველა ხმის გამყალბებელს დავსჯიო, მათ შორის მასწავლებლებსაცო..."აბა, ბიჭო, შეგვეშინდა...



# Cveni sxeulli aRar gvtkiva, Zmebo, axla Tqveni sxeuli gvtkiva...

*მირდადი: **კარგად თქვი, შენ, ბენოონ, ზედმეტად ბევრი ყური გაქვს, ამიტომ არ გესმის, მაგრამ ერთი ყური რომ გქონოდა, რომელიც მოისმენდა, და გაიგებდა, აღარ დაგჭირდებოდა მტკიცება.***

*ბენოონი: **უნდა მოვიდეს საიდუმლო მგზავრი, რათა განიკითხოს მსოფლიო და ჩვენ, კიდობნის მგზავრნი, დავჯდებით მასთან ერთად სამსჯავროზე. შევუდგეთ სამზადისს განკითხვის დღისათვის?!***

**მიხაილ ნაიმი**

გასულ კვირას საქართველო ლოპოტას ხეობაში უმოწყალოდ ჩახოცილ 14 ახალგაზრდა მეომარს დასტიროდა და როგორც ქისტი დედები იცემდნენ გულში მჯიღს, სიმწრით იკვნეტდნენ ტუჩს და მდუმარე გლოვაში აქსოვდნენ გულის ბალღამს, ისე იყო ყველა ქართველი დედა...

აუღელვებლად ვერ შევხედე დახოცილთა გვამებს ტელეეკრანზე და მაშინვე მივხვდი: ქისტების სიკვდილმა უფრო დამისერა გული და ქართველებისა – იმდენად არა...

**ყველამ ვიცით, რა უბედურება გაიარა ჩეჩნეთმა ბოლო წლებში, მაგრამ საქართველომ რა უბედურებაც ნახა, თვითონ ვართ ამის მომსწრე. აფხაზეთის ომიდან დაწყებული, სამოქალაქო ომით, ავღანეთის, ერაყის ომებში უაზროდ ჩახოცილი ქართველი ბიჭების ცინკის კუბოებით ჩამოსვენება ჩვეულებრივი ამბავი გახდა, ცხინვალის ომში რომ ჩვენი ძმების სისხლი და ძვალი იყო ერთმანეთში ათქვეფილი, ამასაც გავუსწორეთ ჩვენი ათასგზის უბედურების მხილველი თვალი, ნაცმოძრაობამ, ამ ბანდამ, სისხლსმოწყურებულმა ხროვამ რომ ზოგი ქუჩაში ჩახოცა და ზოგი სადღაც ტყე-ღრეში, როგორც სანადიროდ გამზადებულმა მდევარმა, არავინაა ამის გამკითხავი. ჩვენ აღარ გვიკვირს ქართველების ხოცვა და ჟლეტა არც ქართველებისგან, არც აფხაზისგან, არც ოსისგან, არც რუსისგან, არც ავღანელისგან, ერაყელისგან და თვით იმ დიდებული ამერიკელისგანაც.**

მეგობრობაზე, ურთიერთგატანაზე, ვაჟკაცობაზე, ნამუსის შენახვაზე უცხოეთში ფილმებს იღებენ, რადგან ასეთი მცნებები იქ თითქმის გამქრალია.

ჩვენთან რაც დარჩა, ისიც უნდათ წაშალონ და ძველი კავკასიური ფიც-ვერცხლობა მტრობით და გაუტანლობით შეცვალონ. ამაზე ოცნებობდა ყოველთვის მტერი და ამიტომაც იყო მართლმორწმუნე ვაინახებში მუსულმანობა რომ ჩათესეს. აქ რომ მთელ კავკასია მართლმადიდებელი ქრისტიანი ყოფილიყო, ხომ წარმოგიდგენიათ, რა გულის ხეთქვა ექნებოდა ზოგიერთებს.

ათეული წლებია ჩრდილოკავკასიელები თავიანთი სამშობლოსთვის (სამშობლო ხომ განყენებული მცნება არაა?) იბრძვიან, სისხლს ღვრიან, ქალებიც იარაღასხმული ომობენ. დაინგრა ჩეჩნეთი, განადგურდა გროზნო, გადაიხვეწნენ ჩეჩნები, ინგუშები, ყაბარდოელები და თან წაიღეს გულით სამშობლო.

**მარტო ზვიად გამსახურდია კი არა, ილია ჭავჭავაძეც ამბობდა, ჩვენი საშველი არაა ჩრდილოკავკასიელების გარეშეო. ზვიად გამსახურდიას „საერთო კავკასიური სახლიც" კი უნდოდა შეექმნა. მას ჩეჩნები დღესაც კავკასიის პრეზიდენტს ეძახიან.**

კი, მაგრამ, ზოგიერთი მეტყვის, უმიზეზოდ არაფერი ხდება, რაიმეში ისინიც იქნებოდნენ დამნაშავეო.

ეს არაა გამართლება.

არავითარი პოლიტიკა არ წყდება ადამიანების გარეშე, ხოლო ადამიანი, რომელიც „პოლიტიკას" ქმნის, ყველაზე ძვირფასია თვით ამ „პოლიტიკაში"...

ამბობენ, რომ, სავარაუდოდ, „ქართულ პოლიტიკას" შეეწირნენ ეს ბიჭები, რომლებმაც უარი თქვეს ივანიშვილის ლიკვიდაციაზეო. ივანიშვილის ლიკვიდაცია, მადლობა ღმერთს, არ მოხდა, მაგრამ მაშინ გამეცინება მწარედ, ასეთ დაუჯერებელ ამბავს თუ იტყვის ეს ხელისუფლება გარკვეული დროის შემდეგ: გამოძიებამ აჩვენა, რომ ეს ახალგაზრდები ივანიშვილის მოკავშირეები ყოფილან და ქართული სახელმწიფოებრიობის დანგრევა უდოდათო...

ამ ბიჭების სისხლი დააღრჩობს ხელისუფლებას განკითხვის დღეს. ეს არის ბოლო წვეთი ნაციონალური მთავრობის ცოდვა-მადლის ფიალაში...

**ყველა ქართველს, ყველას სტკივა დღეს ქისტების ე.ი. ჩეჩნების ტკივილი. ჩვენი სხეული, დაფლეთილია და აღარ გვტკივა, ძმებო, ახლა თქვენი სხეული გვტკივა...**

**ირანდა კალანდაძე**



პოლიტიკაში წასვლამდე იოსებ ჯუღაშვილი ღამის 2 საათზე ჩადის საგურამოში. ქალბატონ ოლღა გურამიშვილს (ილია ჭავჭავაძის მეუღლეს) აღვიძებინებს უკვე დაძინებულ ილიას და მასთან საუბარში მთელ ღამეს ატარებს. მხოლოდ ამის შემდეგ მიდის იოსებ ჯუღაშვილი პოლიტიკაში. ილიასგან უნდა მოესმინა სტალინს იმ "საერთო ნიადაგის თეორიის" შესახებაც, რომელიც ილია ჭავჭავაძეს "აღმაშენებლის საქართველოს" მოდელზე ჰქონდა შექმნილი. არსში, აღმაშენებლის ძლიერი საქართველოს შემნას, დიდ სივრცეზე გადაჭიმული მრავალეროვანი ქვეყნის უნიტარულ (ერთი კანონის ძალით მართვას), ადგილზე კი (სოფლებისა და რეგიონიების დონეზე), ქართული თემისა და ხოდაბუნების პრინციპით - თვითმართველობას გულისხმობდა. (ეს ებრაული კიბუცების ის ტიპიური მოდელია, რომლის მნიშვნელობაზეც ქართული სოფლის აღორძინებისთვის პატრიარქმა არაერთხელ ისაუბრა). სადაც მთის თემის პრინციპით, ყველაფერი საუკეთესო ერთად გროვდება და შემდეგ თანაბრად ნაწილდება მოსახლეობაზე. საუბედუროდ, ბევრმა ქართველმა არც ილიას "საერთო ნიადაგის თეორიის" და არც სატალინის შესახებ ბევრი არაფერი იცის. ფარისეველთა მემკვიდრეები, რომლებიც მსოფლიო მედიის, გამომცემლობებისა და საერთაშორისო საიონფორმაციო კორპორაციების მფლობელნი არიან, "ფილტრში" ატარებენ და ცხრილავენ ყველაფერს, რაც გონიერმა ადამიანმა არ უნდა გაიზიაროს. ამისთვის კი გაუნათლებლობის დანერგვაა საჭირო. აკი, ნერგავენ კიდეც. ადამიანებმა "სხვისი ტვინით, სხვისი ჭკუითა და გონებით" უნდა იაზროვნონ. მხოლოდ ტელეკრანიდან რეკლამირებული წამლები უნდა დაილონ, რათა წინაპართა მიერ გამოცდილი და დადებითი შედეგის მომცემი საშუალებებით არ განიკურნონ. ამით ადამიანების რიცხვი დედამიწაზე უნდა შემცირდეს. დარჩეს მხოლოდ ზომბირებული და მართვადი რაოდენობა, რომლებიც ფარისეველთა მონა-მოსამსახურედ მორჩილად იმუშავებს. მიკროჩიპებით მართვადი გახდება და ნებისმიერ დროს, როგორც "უვარგის ტექნიკას" საჭიროებისამებრ "გამორთავენ". თუ კაცობრიობა გონს არ მოვიდა, "ფერადოვანი რევოლუციების" დასაწყისი – "წითლების პროლეტარული რევოლუცია" (რომელიც დღესაც გრძელდება), მალე "წყვლითა კრულვით (დაჩიპული საზოგადოებით) დაღდასმული მშიერი მონების ქვეყანისა და მსოფლიოს სახეს მიიღებს"! სადაც ჩიპებჩადგმული "მსოფლიო მოქალაქეები მოკლავენ დედას, მოკლავენ მამას – თუკი პარტია უბრძანებთ ამას"! დღევანდელი მსოფლიოს ტელემაყურებელსა და მკითხველის უმეტესობას კი მხოლოდ ის უნდა მიეწოდოს, რაც მის მხედველობაში, ცნობიერებასა და მეხსიერებაში უნდა ჩაიბეჭდოს. ეს ის "სასურველი ინფორმაციაა", რასაც ფარისეველთა მემკვიდრეები "საბჭოეთის" დროსაც და დღესაც, მედიისა და პრესის საშუალებით დოზირებულად და დამახინჯებულად აწვდიან საზოგადოებას. დაკვირვებული ადამიანი აღმოაჩენდა, რომ პლაკატებსა თუ სურათებზე ეშმაკი უმეტესად წითელი ფერის, ხელში სამკაპით (სამკბილიანი "კვერთხით") გამოისახება. წითელი ქრისტეს სისხლს განასახიერებს. სამი კი უფლისმიერი სამების სიმბოლოა. ამიტომაა "ხუთოსანი წითელი ეშმაკუნების" თავყრილობებსა და შეკრებებში წითელი ფერის ასეთი სიჭარბეც. წითელი ფერი აგრესიულობითაც გამოირჩევა და ადამიანის ცნობიერს თრგუნავს. წითელი ფერი გამოიყენება საროსკიპოებსა და "ბორდელებშიც", სადაც სოდომ-გომორისეული ორგიები



# wiTeli eSmakunebi

ეწყობა. ქალაქ იერუსალიმის დროშა, (იუდეველთა მიწად ცნობილი ადგილი, სადაც ფარისევლებმა ქრისტე ჯვარს აცვნეს), ერთი ერთზე იმეორებს ნაციონალების დროშას, მაგრამ ნარინჯისფერია. ნაციონალებმა ის ალისფრად (სისხლისფრად) შეცვალეს. აღმაშენებლისთვის დიდგორის ბრძოლისას ნაჩუქარი "ჯვაროსნების დროშაც" წითელი იყო, მაგრამ არა ისეთი სისხლისფერი, როგორიც დღევანელი სახელმწიფო დროშაა. მაშინ ის ჯერ კიდევ შინდისფერი იყო. "ნაციონალური მოძრაობის გარიჟრაჟზეც", ყველა შენობასა და დაწესებულბაზე "ჯვაროსანთა ხუთჯვრიანი დროშის" აღმართვა და სისხლისფრად მისი შეცვლა ჰიტლერის მიერ სვასტიკიანი დროშების აღმართვით იმ ქვეყნის ოკუპაციას ნიშავდა. ეშმაკეული (სისიხლისფერი) დროშის სახელმწიფო დროშად გამოცხადება ერთგვარი გზავნილი იყო "ფარისეველ-მასონთა მსოფლიო საძმოსადმი", რომ ნაციონალები ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში სისხლის გუბეების დასაყენებლად და ქრისტესმიერი ერის თავისუფლებისკენ სწრაფვის სისხლში ჩასახშობად ემზადებოდნენ. ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს მიმართ ამ განზრახვასაც ფარისეველნი ხან რუსეთში, ხანაც დასავლეთში ჩანერგილი თავიანთი აგენტების მეშვეობით ახორცილებდნენ. საქართველოც და ყველა ქართველიც, სანამ სრულ სიმართლეს არ გაიგებს პოლიტიკაში იოსებ სატალინის წასვლის შესახებ, მანამდე იქნება ის ზოგისთვის ტირანი, ზოგისთვის "ბოროტი გენია", ზოგისთვის კიდევ ისეთი პროვნება, როგორადაც მას მასონურ-გლობალისტური სამყარო წარმოაჩენს დღემდე. ყველაზე დიდი და ჭეშმარიტ ინფორმაციასაც სწორედ ფარისეველნი ფლობენ ქართველი იოსების შესახებ. მათთვის ყველაზე დიდ საფრთხეს, (ირკვევა, რომ) მაშინაც და ახლაც ქართველი წარმოადგენდა! ამის დასამალად ამახინჯებდნენ ისტორიულ ფაქტებს ათეისტი ბოლშევიკებიც და ამახინჯებენ მათი მემკვიდრე გლობალისტი მასონებიც ვითომ ქართველი ნაციონალების ხელით. მართლმადიდებლურმა სამყარომ შესანიშნავად იცის სიმართლე სტალინის პიროვნებაზე. ამისთვის გამოუცხადეს მართმადიდებლურ სამყაროს გლობალისტმა-მასონებმა სასტიკი ომიც. "დემოკრატიის სახელით" გაანადგურეს სერბეთის, საბერძნეთის, რუმინეთის, ბულგარეთის ეკლესიები. რიგში საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიები დგას! ჭეშმარიტი ღირებულებებიც და თავისუფლებაც, მთელ მსოფლიოში სწორედ ამისთვის ჩაანაცვლეს ე.წ. "დემოკრატიულმა და ლიბერალურმა ღირებულებებმა".

სტალინის თემის არაპოპულარობის მიუხედავად, მასზე სიმართლის თქმა აუცილებელია! განსაკუთრებით აუცილებელია ქართველებისგან, რომლის ღირსეულ შვილსაც იოსებ სტალინი წარმოადგენდა. არა იმ ვაი-ქართველებისგან, ვინც გრანტებითა და ფარისეველთა დაფინანსებებით შეკვეთილ სტატიებსა და პუბლიკაციებს აქვეყნებენ. ვინც მასზე სრულ ინფორმაციას არ ფლობს და მხოლოდ "ბოლშევიკური ისტორიის სახელმძღვანელოებიდან" იცის "სტალინის კულტისა და ტირანიის" შესახებ. არც იმ უცხოელი ვითომ მწერლებისგან, ვინც საკუთარ ისტორიას არ იცნობს წესიერად და სხვების "ბიოგრაფიულ ცხოვრებაზე" ბესტსელერებს ქმნის. არამედ სიმართლის დადგენა, პირველ რიგში, საქართველოს და ქართველების ვალია! სომხებს სტალინის მსგავსი ფუგურა რომ ჰყოლოდათ, მთელ მსოფლიოს გადასჭამდნენ ტვინს. (კიდევ კარგი, ჯერჯერობით სტალინიც არმენად არ გამოუცხადებიათ სხვების მსგავსად) ეს ის ბუმბერაზი ფიგურაა, რომელიც მთელ მსოფლიოს აზანზარებდა და ჩანს დღესაც აზანზარებს, რადგან მასთან ბრძოლას მისი სიკვდილიდან ამდენი ხნის შემდეგაც არ ეშვებიან. რომლის წინაშე ქედს იხრიდნენ ისეთი დიდი პოლიტიკოსებიც კი, როგორიც უინსტონ ჩერჩილი და რუზველტი იყო. რომლის სახელთანაც დაკავშირებულია დედამიწის მეექვსედის ფაშიზმისგან გათავისუფლება. პიროვნება, რომელმაც წინა საუკუნის დასაწყისში ანტიმართლმადიდებლურ-გლობალისტური პროცესის – "მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის დაწყებას" წერტილი დაუსვა. ბერებისგან პოლიტიკაში გაგზავნილი ადამიანი, რომელმაც პეტერბურგში ჩასვლისთანავე იქ არსებული 28 მასონური ლოჟა დახურა და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა "მხეცის მსახურთ". იმ დროისთვის 20-იანი წლებისთვის სტალინს, მხოლოდ 9 მართლმადიდებელ ადამიანზე შეეძლო დაყრდნობა, რადგან მის ირგვლივ და პოლიტიკაში მყოფი დანარჩენი შემადგენლობა ფარისეველ-თალმუდისტთა წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული. ბრძოლის დასაწყებად კი შიგნით ჩანერგვა და "ქაჯეთის ციხის" შიგნიდან დანგრევა იყო საჭირო. ამ ფაქტის დასტურად ცოტა ხნის წინ მოსმენილ ერთ პატერიკს გავიხსენებ: " ერთ ღვთისმოსავ და უცოდველ ბერს თურმე ეშმაკი გადაეკიდა. ხან აქედან მიუდგა, ხან – იქედან და ვერაფრით აცდუნა. ერთ დღესაც კელიაში მისულ ბერს თურმე ეშმაკი საწოლზე დამჯდარი დახვედრია. ეშმაკმა ბერს უთხრა: " მთხოვე, რაც გინდა და შეგისრულებ. მხოლოდ ამის შემდეგ დაგანებებ თავსო". ბერმა ეშმაკს მისი მხარზე შესმა და იერუსალიმის წმინდა ადგილების მონახულება სთხოვა, რაზეც ეშმაკმა უარი ვერ თქვა." პატერიკის მორალი ასეთია: ბერი ბოროტებას შეაჯდა ზედ და მას კეთილი საქმე აკეთებინა! სტალინიც სწორედ იმ ბოროტებას ებრძოდა, შლიდა და ანგრევდა შიგნიდან, რომელი ბოროტებაც დღეს გვინადგურებს ეროვნულ იდენტურობას, ქართულ სულს, მართლმადიდებლურ მრწამსს. ხელისუფლების ქვედა ეშელონებში მოკალათებული მრავალრიცხოვანი ფარისევლები კი თავისი საქმის კეთებას– ინტელიგენციისა და მათლმადიდებლების ხოცვას აგრძელებდნენ. რევოლუციის წინ პეტერბურგში ლენინთან ერთად დახურული ვაგონით ჩასულ უზარმაზარ ფარისეველ მასათან საბრძოლველად კი მტკიცე ხელი, უდრეკი ფოლადისებური ხასიათი და პიროვნულის (ხანდახან საკუთარის, ქართულის დროებით გაწირვაც) კი იყო საჭირო, რადგან ვინც (ქალდეველი ჰური აბრაამივით) უმთავრესის, იდეისა და მრწამსის გადასარჩენად „საკუთარს" სასწორზე არ დებს, – ის მიზანს ვერ აღწევს.

**ნაწყვეტი გამოსაცემი წიგნიდან „ქრისტეს რჯულისთვის მებრძოლი მხედარი".**

**ბაია ამაშუკელი**

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# zakaevsa da Cvens xelisuflebas Soris berezovski dgas...

***როგორც ცნობილი გახდა, ლოპოტას ხეობაში ჩატარებულ სისხლიან სპეოპერაციასთან დაკავშირებით, ჩეჩნური მხარის ინიციატივით შეიქმნა ინციდენტის შემსწავლელი კომისია, რომელსაც ემიგრაციაში მყოფი ჩეჩნეთის ყოფილი კულტურის მინისტრი ახმედ ზაკაევი უხელმძღვანელებს. მან საქართველოს ხელისუფლებას თანამშრომლობას უკვე შესთავაზა და აღნიშნა, რომ თუ ქართული მხარე ურთიერთთანამშრომლობაზე უარს იტყვის, მათ გააჩნიათ საკმარისი რესურსი, რომ დაადგინონ რეალურად რა მოხდა.***

***აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „საერთო გაზეთს" საერთაშორისო ორგანიზაცია „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის" თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი ესაუბრა.***

- ახმედ ზაკაევმა ლოპოტას სისხლიანი ინციდენტის გარშემო გამოძიება დაიწყო და საქართველოს ხელისუფლებს ერთობლივი კომისიის შექმნას სთავაზობს, მაგრამ, ვფიქრობ, ნაცხელისუფლება მასთან არ ითანამშრომლებს, ანუ ინფორმაციას არ მიაწვდის, თუ მაინც დათანხმდა, მაშინ დროის გაყვანის ტაქტიკას დაადგება, რომ, ასე ვთქვათ, ტკივილი გაანელოს და დაძაბულობა გაანეიტრალოს. თვითონ ზაკაევი კავკასიელ ხალხებში (როგორც კავკასიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ) ცუდი რეპუტაციით არ სარგებლობს, მაგრამ მას ვერც ჩეჩნეთის კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრედ მოიაზრებენ, რადგან ემიგრაციაში მასზე ბევრად უფრო ავტორიტეტული ჩეჩნები ცხოვრობენ. ისინი ჩეჩნეთის სახელისუფლებო იერარქიაში რანგითაც და ტიტულითაც უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე ზაკაევი, რომელსაც კულტურის მინისტრის თანამდებობა ეკავა. მიუხედავად ამისა, ჩვენს ორგანიზაციას ეს არჩევანი ძალზე მოეწონა. ეს საქმე ჩეჩნურმა მხარემ უნდა გამოიძიოს, თუ სიმართლეს იტყვიან ხომ კარგი, თუ არა და ჩრდილოკავკასიელებმა მაგათვე მოსთხოვონ პასუხი. ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ძალზე კარგია, ჩეჩნურმა მხარემ რომ ითავა ეს გამოძიება, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზაკაევთან დაკავშირებით ბევრი ეჭვი არსებობს.

- **რას გულისხმობთ?**



- ზაკაევსა და ჩვენს ხელისუფლებას შორის ბორის ბერეზოვსკი დგას, რომელიც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელთა მეგობარია. ტელეკომპანია „პიკიც" (პირველი კავკასიური) თავის დროზე მან დააფინანსა. ახლა ვის ხელშია ეს ტელეკომპანია, არ ვიცი, მაგრამ მისი საქმიანობა მხოლოდ ბერეზოვსკის ინტერესებს შეიძლება ემსახურებოდეს. კავკასიელების ინტერესებს რომ არ ემსახურება, ამას ნებისმიერ დროს დავამტკიცებ ღია ეთერით გამართულ დებატებში. ჩვენი ორგანიზაციის ორ წევრს — ჩეჩენსა და ინგუშს, რომლებიც კავკასიაში არ ცხოვრობენ, დაუკავშირდნენ და ამ კომისიაში მონაწილეობა შესთავაზეს. „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის"



გამგეობა კოლეგიალური ორგანოა, ერთიან გადაწყვეტილებას ვღებულობთ, მაქსიმალურად ვცდილობთ ყველას ინტერესი და ღირსება დაცული იყოს, ამიტომაც დავთანხმდი, რომ მათ მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ, ოღონდ კომისიის შემადგენლობაში კი არ შევიდნენ, მხოლოდ ამ ინციდენტის გამოძიებამდე დაეხმარონ, რადგან ჩვენ ამ ხალხთან ურთიერთობა მანამდეც არ გვქონია.

ვფიქრობთ, ზაკაევი სიმართლის დამალვას ვერ გაბედავს, 11 ადამიანის მკვლელს ხელს ვერ დააფარებს, თუ დააფარებს, მაშინ ძალიან ცუდად დაამთავრებს. ის შეეცდება ყველაფერი ობიექტურად გამოიძიოს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შანსი გაუჩნდა აღიდგინოს ჩეჩნების თვალში შელახული რეპუტაცია. მას რეპუტაცია მაშინ შეელახა, როცა დოკუ უმაროვთან დაკავშირებით ევროპულ მედიას მძიმე ინტერვიუები მისცა, თანაც იგი ღია დიალოგში შევიდა რამზან კადიროვთან, მათი შეხვედრის თაობაზე. მართალია, ეს შეხვედრა არ შედგა და არც დიალოგი გაგრძელდა, მაგრამ ამ ორი მიზეზის გამო ზაკაევის ავტორიტეტი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. თუ ზაკაევი ამ ინციდენტს ობიექტურად არ გამოიძიებს, ჩვენ და კიდევ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას გვაქვს იმის მექანიზმები, რომ სიტუაცია ობიექტურად ვაკონტროლოთ.

ჩვენ ამ ეტაპზე არ გვინდა კონკრეტული პირების ვინაობა დავასახელოთ და მათ ბრალდება წავუყენოთ, ეს ზაკაევმა გააკეთოს. თუ მისი კომისია სიმართლეს იტყვის, დავეთანხმებით, თუ სიმართლეს დამალავენ და საქართველოს ხელისუფლების წისქვილზე დაასხამენ წყალს, საქართველოს მოსახლეობას პირობას ვაძლევ, რომ კომისიის მთელი შემადგენლობა სერიოზულად დაისჯება და ეს არ იქნება მარტო ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივა, კავკასიის ყველა ერის წარმომადგენელი მათ საკადრის პასუხს გასცემს. რაც შეეხება თავად ზაკაევს, მას ძალზე მკაცრად მოსთხოვენ პასუხს ჩეჩნები.

- **თქვენ სავარაუდო დამნაშავეების ვინაობა უკვე გცოდნიათ. იქნებ ის მაინც გვითხრათ, კონკრეტულად, რაში მიუძღვით მათ ბრალი?**

- ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე, ცხადია, ბევრ ინფორმაციას ვფლობთ. რაც შეეხება ამ საქმეს, ჩვენი ინფორმაციით, ორი ვერსია განიხილება. პირველი - აწ განადგურებული ჯგუფის წევრები, ექვსი თვის წინ საქართველოში ჩამოიყვანა ეროვნებით ჩეჩენმა პიროვნებამ, რომელთანაც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან შუამავლობდა ერთი ქართველი. მეორე ვერსიის მიხედვით, ეს ხალხი დიდი ხანია (დაახლოებით ორი წელია) მიდი-მოდიან საქართველოში, ხვდებიან ხელისუფლების წარმომადგენლებს, თანამშრომლობენ, ოღონდ რა თემასა და საკითხზე ვერ გეტყვით, თუმცა ნამდვილად თანამშრომლობდნენ. ხსენებულ ჩეჩენსა და ქართველს, სავარაუდოდ, კიდევ ერთი ჩეჩენი და ქართველი ემატებიან. სწორედ ეს მეორე ქართველი ყოფილა, როგორც იტყვიან, პირველი კვალის გამჭრელი. ის საქართველოს ხელისუფლების სახელით ჩავიდა ევროპაში ერთ-ერთ ჩეჩენთან ერთად და იქ მცხოვრებ ჩრდილოკავკასიელებს პარტნიორობა შესთავაზა. მათი ვინაობა ვიცით, მაგრამ შეგნებულად არ ვასახელებთ, სჯობს, ზაკაევმა და მისმა გარემოცვამ დაასახელოს, მერე რამე რომ არ დაგვაბრალონ. პირველად თქვენი გაზეთის საშუალებით ვამბობ, რომ ძალზე სერიოზული მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა მთხოვეს, იქნებ რეკომენდაცია გაგვიწიოთ ევროპაში მცხოვრებ თქვენი ორგანიზაციის წევრებთან, რომ მათთან ჩავიდეთ და მათი მეშვეობით ავიღოთ ინტერვიუ ახმედ ზაკაევისგანო. ერთი მარტივი მიზეზის გამო ვუთხარი უარი, ჩვენს ჟურნალისტებს იქ რუსეთის ინტერესი რომ დახვდეთ, მერე ძალიან გაგვიჭირდება იმის ახსნა, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვართ. დამეთანხმებით, რომ რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობასა და სპეცსამსახურებს ძალზე დიდი ინტერესი ექნებათ სისხლიანი ინციდენტისა და ზაკაევის კომისიის მიმართ. ამიტომ მეტს აღარაფერს ვიტყვით, დაე, ეს ჭირისუფლებმა, ჩეჩნებმა გააკეთონ. ჩვენ მერე დავაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას, ვინ ამბობს სიმართლეს და ვინ — არა. ეს არის ერთადერთი გამოსავალი, რომ საქართველოს მიმართ ეჭვი და რისხვა მოვხსნათ.

- **ამბობთ, ზაკაევსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის ბორის ბერეზოსკი დგასო. რა კავშირი აქვს ზაკაევს მასთან?**

- ზაკაევს პოლიტიკური თავშესაფარი თავისი კავშირების მეშვეობით ბერეზოვსკიმ გაუკეთა. ეს უკანასკნელი, მას შემდეგ, რაც რუსეთიდან გააგდეს, უფუნქციოდ იყო დარჩენილი. ის მილიარდერია, მაგრამ არც ერთ სტრატეგიულ ობიექტს არ ფლობს, ამ, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივად აქტიურ ადამიანს, არანაირი გავლენა არ აქვს რუსეთზე. მას რუსეთში გავლენების მოსაპოვებლად რადიკალური ოპოზიციონერის იმიჯის მოპოვება სჭირდებოდა, ამიტომაც ჩადო თავისი ანტიპუტინური განწყობა ცეცხლმოკიდებულ ჩრდილო კავკასიაში. ბერეზოვსკიმ იფიქრა, რომ დასავლეთში გარკვეული წრეებისთვის და თუნდაც უცხოური სპეცსამსახურებისთვის ამ თემით უფრო საინტერესო გახდებოდა. ამიტომაც დაიახლოვა ახმედ ზაკაევი, რომელსაც მანამდე იცნობდა, ანუ ელცინის მმართველობისას, როცა ბერეზოვსკი უშიშროების საბჭოს მდივანი იყო და ბიზნესს იკეთებდა ჩეჩნეთის ომზე. შემდგომ ამას დაემატა მასა და ზაკაევს შორის პიროვნული ურთიერთობები, რომელმაც საქართველოში გადმოინაცვლა. საქართველოში ზაკაევის მიმართ არსებულმა კარგმა განწყობამ და ბერეზოვსკის საქართველოს ხელისუფლებასთან სიახლოვემ, რაღაც ეტაპზე ბერეზოვსკის შეუქმნა იმიჯი, რომ ის კავკასიაში გავლენიანი მოთამაშეა, ვითარებას ფლობს, მართალია, გარკვეული სეგმენტისას, მაგრამ მაინც. გარდა ამისა, ბერეზოვსკის ახლანდელი მეუღლე ჩეჩენია. მისმა ცოლის ძმებმაც, რომლებიც უკრაინასა და ევროპაში წარმატებული ბიზნესმენები არიან, შეუქმნეს იმიჯი, რომ ის არის ადამიანი, რომელსაც პოსტსაბჭოურ სივრცეში, კერძოდ, კავკასიაში ანგარიში უნდა გავუწიოთ და ვიმეგობროთ, რადგან მას იქ პროცესებში მონაწილეობის მიღება შეუძლია.



- **მოდით, ლოპოტას სისხლიან სპეცოპერაციას დავუბრუნდეთ, რომლის გარშემოც უამრავი კითხვები კვლავაც არსებობს. ხელისუფლებამ გვამცნო 11 მებრძოლია მოკლულიო. შვიდის ვინაობა გვამცნეს და მუსულმანური წესით დაიკრძალებიანო. სად არის დანარჩენი ოთხის ცხედარი, ისინი საერთოდ თუ არსებობდნენ ბუნებაში?**

- შვიდივე დაღუპული საქართველოს მოქალაქეა, აქედან ოთხი აქ დაიბადა, სამმა კი 90-იან წლებში მიიღო საქართველოს მოქალაქეობა. ამ შვიდი ადამიანიდან ერთი ავსტრიიდან ჩამოიყვანეს, მეორე ლონდონიდან, მესამე კი ფინეთიდან. თუ რისთვის ჩამოიყვანეს, ყველამ კარგად ვნახეთ. სად არის დანარჩენი ოთხი ცხედარი, ვერ გეტყვით. საერთოდ, ტყუილი ამ ხელისუფლების ცხოვრების წესი და ურთიერთობის ფორმაა. როგორც ჩანს, ეს ოთხი მართლაც არ არსებობს, თორემ იმას მაინც იტყოდნენ, იდენტიფიკაცია მიმდინარეობსო. ამათ სამხედრო სპეცოპერაციის იმხელა სპექტაკლი დადგეს, რომ ვფიქრობ, მერე შერცხვათ იმის აღიარება, შვიდ კაცს რომ ებრძოდნენ.

* * *

ტელევიზიით გავრცელებულ კადრებში დაღუპულების თანასოფლელები აცხადებდნენ, რომ ცხედრები ღამით, ჩუმად, ყოველგვარი განბანვისა და რელიგიური რიტუალის გარეშე დაასაფლავეს, რამაც პროფესიონალ (ყოფილ) პოლიციელებში დიდი ეჭვი გააჩინა, იყვნენ კი ისინი შეიარაღებული შეტაკებისას მოკლული (ამ ვერსიამ ექსპერტებშიც დიდი ეჭვი გამიწვია, 11 მეომრის ბრძოლის დროს ასე ერთბაშად მოკვლა გამორიცხულიაო — მ.ს.). ისინი სხვა მეთოდით, თუნდაც საწამლავით ხომ არ დახოცეს და მერე ეს სპეცოპერაცია გაითამაშესო. ხომ ნახეთ ცხედრებს ექსპერტი კი არა, სასულიერო პირებიც არ მიაკარეს, რომლებიც მუსულმანური წესით აპატიოსნებენ ცხედარს მათ ეჭვი რომ არ გასჩენოდათო. ამ ვერსიას რომ აქვს არსებობის უფლება, ზაალ კასრელიშვილიც ეთანხმება.

- **გავრცელებულ ვერსიებზე რას გვეტყვით, ამ ჯგუფს ერთ-ერთი ქართველი პარლამენტარი გასამრჯელოს ფასად თურქეთში გადაყვანას შეპირდა და „გადააგდოო"? ისიც ითქვა, რომ მათ დაღესტანში მართლაც უნდოდათ გადასვლა, იქიდან სირიაში რომ წასულიყვნენ ამბოხებულების დასახმარებლად.**

- რაც შეეხება მათ თურქეთში გადასვლას, შეიძლება ჯგუფის რომელიმე წევრმა, უბრალოდ, სახლში თქვა, თურქეთში მივდივარო. ვიცი, რომელ პარლამენტარზეცაა საუბარი. აბსურდია იმის მტკიცება, დაღესტნიდან უნდა გადასულიყვნენ სირიაშიო. ერთადერთი თურქეთიდან თუ მოხვდება ადამიანი სირიაში უპრობლემოდ. თუ იმის თქმა უნდათ, რომ აზერბაიჯანის გავლით წავიდოდნენო, ჯერ ერთი აზერბაიჯანი მათ არ გაატარებდა და მეორეც, აზერბაიჯანიდანაც ვერ მოხვდებოდნენ თურქეთში ასე ჩაცმულები და აღჭურვილები. ამ ვერსიის ავტორმა, ვფიქრობ, საერთოდ არ იცის გეოგრაფია და რუკა თვალით არ აქვს ნანახი.

**მანანა სუხიშვილი**

## მსოფლიო პრესის მიხედვით

**ბოლო წლების საქართველოში ლამის ნორმად იქცა რეგულარულად ლაპარაკი იმის შესახებ, რომ რუსეთის არმია საქართველოში შემოჭრას გეგმავს — თითქოსდა „იმ საქმის ბოლომდე მისაყვანად, რაც 2008 წლის აგვისტოში ვერ მოხერხდა“: ანუ შეცვალოს არა მარტო არსებული ხელისუფლება, არამედ საგარეოპოლიტიკური და საშინაო პოლიტიკაც კი. ასეთი სიფრთხილე აგვისტოს აგრესიის შემდეგ გასაგებია, რასაც ემატება ქართველთა თანდაყოლილი მისწრაფება, შეთხზას ვერსიები და ყველგან შეთქმულებები ეძებოს.**

ქართველები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ მათი დამოუკიდებლობისა და ერთგვარი უსაფრთხოების მთავარ გარანტს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც საქართველოს დაუთმობს რუსეთს რამე უფრო დიდი — ერაყის, ავღანეთის, ჩრდილოეთ კორეის, ლიბიის, ახლა კი უკვე სირიისა და ირანის სანაცვლოდ. მათ უჭირთ გაგება იმისა, რომ ზესახელმწიფოები იშვიათად ვაჭრობენ თავიანთი მოკავშირეებით — მათ მხოლოდ ის შეუძლიათ, დათმონ გავლენა იმ ქვეყნებში, რომლებიც თანამშრომლობის აშკარა სურვილს არ გამოხატავენ. ეს იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება. თუ დიდი სახელმწიფო ხელთათმანივით იცვლის პარტნიორ ქვეყნებს, ის ამ ტიტულს დიდხანს ვერ შეინარჩუნებს. გამოვთქვათ იმედი იმისა, რომ საქართველო დიდი ქვეყნების თამაშებში საჯილდაო ქვა არ გახდება. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რუსეთმა კიდევ სცადოს საქართველოში შეჭრა, ისევე როგორც ვერავინ გამორიცხავდა 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებას.

საქართველო ყურადღებით ადევნებს თვალს კავკასია-2012-ის სწავლებებს, რომელიც საქართველოში 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს ემთხვევა და ამიტომაც ჩნდება რუსეთის ხელახალი აგრესიის შიშიც.

# saRi azri agresiis winaaRmdeg

## რუსეთი საერთაშორისო წესების იმიტაციას ახდენს. ვიდრე საბაბი არ ექნება, საქართველოსკენ არ გაიხედავს



რა ხდება სინამდვილეში?

ზოგიერთ ქართველ ექსპერტს მცდარი წარმოდგენა აქვს რუსეთის ხელისუფლებაზე — მათი აზრით, ახლანდელი რუსეთი თავნება სახელმწიფოა, რომელსაც არ გააჩნია არანაირი წესები და ვალდებულებები ვინმეს წინაშე.

რუსეთი მართლაც ცდილობს, საგარეო პოლიტიკაში ითამაშოს — თავისებურად ინტერპრეტირებული, დამახინჯებული, მცდარად ინტერპრეტირებული, მაგრამ მაინც საერთაშორისო წესებით.

რაში ვლინდება ეს?

უპირველესად იმაში, რომ მოსკოვი ისეთს არაფერს აკეთებს, რასაც პარალელს ვერ მოუძებნი დასავლეთში.

მაგალითად — რატომ გააჭიანურა ომი 2008 წლის აგვისტომდე, რატომ არ შეიჭრა საქართველოში მაშინვე და ანგარიში არ გაუწია არავის, რატომ ცდილობდა საბაბის მოძებნას, დროს კარგავდა ქართული სოფლების დაბომბვაზე, თუკი პუტინი და მედვედევი საერთაშორისო დონის თავნება პოლიტიკოსები არიან?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთი ცდილობს მიბაძოს დასავლეთს. თქვენ აღიარეთ კოსოვო — ჩვენ ვაღიარებთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, თქვენ ჩაატარეთ ოპერაცია სერბიაში იძულებითი მშვიდობის დასამყარებლად — ჩვენ მშვიდობის იძულებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვცდილობთ...

დასავლეთს კოსოვო რომ არ ეღიარებინა, რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებდა იმავეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ, თუნდაც სააკაშვილს პუტინი ლილიპუტინად ასჯერ მოეხსენიებინა პირდაპირ ეთერში. აგვისტოს დასაწყისში პროვოკაციები სწორედ იმას ემსახურებოდა, რომ საქართველოს საპასუხო ცეცხლი გაეხსნა და სწორედ ის თამაში გაეჩაღებინა, რაც ნატო-მ სერბიაში გაითამაშა.

ამიტომაც გულუბრყვილოდ ჩანს ლიბერალ ექსპერტთა მოსაზრება, თითქოს შეიძლებოდა ამ ომის თავიდან აცილება — ამისთვის საკმარისო იქნებოდა დაბომბვაზე არ ეპასუხათ. ომი გარდაუვალი იყო — არა იმიტომ, რომ პუტინი განაწყენებულია სააკაშვილზე, არამედ იმიტომ, რომ დასავლეთთან ანგარიშები გასასწორებელი იყო, თანაც — ძალიან სწრაფად. ამას რუსეთი ვერ გაექცეოდა.

ახლა ტერიტორიულ საკითხებში ანგარიში საყაიმოა — 1:1.

ამიტომაც არ სჭირდება რუსეთს ახალი პროვოკაციები აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ახლა იქ ისეთი სიჩუმეა, რაც ბოლო წლების განმავლობაში არასოდეს ყოფილა.

თუმცა არსებობს სხვა თამაშიც, სადაც ანგარიშია 1:0. ეს ლიბიაა.

აი, აქ კი რუსეთს ნამდვილად გაუჩნდა შესაძლებლობა, გამოიყენოს თავისი ფანტაზია და შემოქმედებითი ენერგია.

საამისოდ კი ვითარება ლიბიის მსგავსად უნდა განვითარდეს — ანუ საქართველოს მთავრობამ გაანადგუროს ოპოზიცია, ცეცხლი გაუხსნას მშვიდობიან მოქალაქეებს... ასეთ დროს მამაცი 58-ე არმია საქართველოს მოსახლეობის დასახმარებლად გაემართება და ანგარიში გახდება 1:1.

ოქტომბრის დასაწყისში საქართველოს მძიმე და რთული არჩევნები ელის — უეჭველია, რუსეთის არმია ყურადღებით თვალს მიადევნებს იმ მოვლენებს, რაც ხმის მიცემას მოჰყვება. ოპერაცია კავკასია-2012-ს მასთან უშუალო კავშირი არა აქვს. საქმე სხვაგვარად არის — თუ მიეცემა საბაბი, რუსეთი მას გამოიყენებს: კავკასია-2012-ს ან დაუკავშირებს, ან არა.

რუსეთი საერთაშორისო წესების იმიტაციას ახდენს. ვიდრე საბაბი არ ექნება, საქართველოსკენ არ გაიხედავს. სასხლეტზე თითის გამოკვრის როლი შეიძლება შეასრულოს ნაციონალებსა და ბიძინისტებს შორის გამართულმა ნამდვილმა ომმა.

ყველაფერი მაინც ხელისუფლების ხელშია — მან უნდა ჩაატაროს ნორმალური არჩევნები და მეტისმეტი ხმები არ მიიწეროს, ზომიერება დაიცვან და სიხარბე არ გამოიჩინონ.

ორიოდე სიტყვა „რუსეთსა და სომხეთს შორის დერეფნის“ თეორიაზე, თუკი დასავლეთი ირანს ომს გამოუცხადებს. ეს ვარიანტი რუსეთს საქართველოში შეჭრის საშუალებას მისცემს და მას დამატებითი საბაბი არ დასჭირდება. თეორიულად ეს შესაძლებელია — თუ დასავლეთი ირანში შეიჭრება, რუსეთი, საპასუხოდ, საქართველოს შეუტევს და ანგარიში კვლავ 1:1 გახდება.

რეალურად, ირანს უკვე ათი წელია ემუქრებიან და ბოლოს და ბოლოს, უნდა გავაცნობიეროთ — დასავლეთში ვერავინ გაბედავს 80-მილიონიან ირანში შეჭრას. მაქსიმუმი, რაც შეიძლება მოხდეს, ეს არის ავიადარტყმები ბირთვულ ობიექტებზე, თუმცა ესეც ნაკლებ სავარაუდოა.

ქართველ საზოგადოებას გააჩნია ყველანაირი შანსი, თავიდან აიცილოს დაპირისპირება რუსეთთან. ამიტომაც ქართველებმა უნდა გამოიჩინონ ოდნავი გონიერება მაინც.

**inosmi.ru/sngbaltia**

# vis sWirdeba axali konfliqti vainax Zmebs Soris

რუსეთის საოკუპაციო ჯარების აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან გამოყვანა, თავიანთ სახლებში დევნილთა სწრაფად დაბრუნება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ — სადაც, ბოლოს და ბოლოს, უნდა დამყარდეს სტაბილურობა, სამართლიანობა და მშვიდობა. ამიტომაც საქართველოში ყოველთვის ინტერესით აკვირდებიან მეზობელ რეგიონში მიმდინარე პროცესებს, მაგრამ იქ არსებული მდგომარეობა ჯერჯერობით დამშვიდების საბაბს არ იძლევა. მეტიც — გარკვეული ძალები ჩრდილოეთ კავკასიაში იმდენად ძაბავენ ვითარებას, რომ შესაძლოა, იგი ნებისმიერ დროს ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს.

ამის ფონზე გაკვირვებას და შეშფოთებას იწვევს ტერიტორიული დავა ორი ვაინახური რესპუბლიკის — ინგუშეთისა და ჩეჩნეთის მეთაურებს შორის, რასაც პროვოკაციის ელფერი დაჰკრავს. ამ დღეებში გროზნომ პრეტენზიები გამოთქვა მეზობელ რესპუბლიკაში მალგობეკის რაიონის ნაწილსა და მთლიანად სუნჟენის რაიონზე — ეს ტერიტორიები ისტორიულად ჩეჩნეთის საკუთრება იყო (1992 წლამდე, ვიდრე ჩეჩნეთ-ინგუშეთი ორ რესპუბლიკად გაიყოფოდა) და ისინი კანონიერ მფლობელებს უნდა დაუბრუნდეს. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაივლოს რესპუბლიკებს შორის სადემარკაციო საზღვარიო. თუ ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვრის სადავო საკითხი ადგილზე ვერ მოგვარდება, ჩეჩნეთის ხელისუფლება ფედერალური ცენტრის ჩართვას გეგმავს.



ჩეჩნებმა პრეტენზიების შესახებ განცხადება გააკეთეს და საქმის პრაქტიკულ განხორციელებასაც მოჰკიდეს ხელი — ინგუშეთთან საზღვრის დასადგენად შექმნეს სამთავრობო კომისია, რომელშიც პარლამენტის წევრებისა და მინისტრების გარდა ცნობილი ისტორიკოსები და საზოგადო მოღვაწეებიც არიან. ამ კომისიის პირველი სხდომა უკვე გაიმართა სექტემბრის დასაწყისში.

ჩეჩნეთის ხელმძღვანელობას, რომელმაც დუდაევის „დამნაშავე რეჟიმის“ ხელმოწერილი დოკუმენტების გაუქმება განიზრახა, მეზობელი ძმური რესპუბლიკის დაშინებას საყვედურობენ — ადრე პრობლემებს უხუცესები და რელიგიური ლიდერები უხმაუროდ აგვარებდნენ, ახლა კი მოსკოვის მხარდაჭერით არიან გულმოცემულნი.

ინგუშეთში ჩეჩნეთის ხელისუფლების გამომწვევ ქცევას პროვოკაციად აფასებენ. თანახმანი არიან, მონაწილეობა მიიღონ საზღვრის დადგენაში, მაგრამ კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან მის შეცვლას — ამას სერიოზული კონფლიქტი მოჰყვებაო.

ახლა, როცა მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით კი მეზობელ დაღესტანში ეთნიკური და რელიგიური მძაფრი ბრძოლებია გაჩაღებული; როცა ინგუშეთს უამრავი ლტოლვილი ჰყავს და მეზობელ ოსებთან მოუგვარებელი ტერიტორიული პრობლემები აქვს, გროზნოს წამოწყებული ტერიტორიული კამათი კავკასიოლოგებს ინგუშებისთვის ზურგში მახვილის ჩაცემად მიაჩნიათ.

არ არის გამორიცხული, მოსკოვისგან ფრთაშესხმულ კადიროვს მადა გაეზარდოს, ისარგებლოს დაღესტანში შექმნილი მდგომარეობით და პრეტენზია განაცხადოს გროზნოს საზღვრისპირა ჰასავიურტის რაიონზეც, რომელიც 1921 წლამდე ჩეჩნეთს ეკუთვნოდა. კავკასიის საკითხთა ექსპერტები აცნობიერებენ, რომ დაპირისპირების ახალი კერის შექმნა მტრის წისქვილზე წყლის დასხმის ტოლფასი იქნება და რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარება კიდევ უფრო გადავადდება.

**მიმოხილვა მოამზადა გ.ჭავჭავაძემ.**

# „გირჩები" ტერფზე

ძვალუკა, ანუ ფეხის დიდი თითების დეფორმაცია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ორთოპედიული პრობლემაა, რომელიც უმთავრესად მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს აწუხებთ.

მამაკაცებში დიდი თითების დეფორმაცია მეტად იშვიათად ვითარდება და უმეტესწილად ტერფის მიკროტრავმებითაა გამოწვეული.

ქალებში მას რამდენიმე მიზეზი აქვს. მათ შორის მთავარია ტერფის დიდი თითების მყესთა თანდაყოლილი დეფექტი, რომელიც ქალბატონებს მემკვიდრეობით გადაეცემათ დედისგან.

ძვალუკას მედიცინაში ჰილუს ვაგუსი ეწოდება. იგი ბანალური ბრტყელტერფიანობით იწყება.

მოგეხსენებათ, ადამიანის ტერფი კუნთების, ძვლების, მყესებისა და იოგებისგან შედგება. როდესაც ადამიანს ბრტყელტერფიანობის გამო განივი თაღის დეფექტი უვითარდება, მისი დიდი თითის ფალანგის გვერდით ერთმანეთის პარალელურად მდებარე ფალანგები და მათთან ერთად თითებიც მარაოს მსგავსად იწყებს გაშლას. ეს მოძრაობა არც ისე ნეგატიური იქნებოდა, დანარჩენ თითებს ცერაც რომ აყოლოდა, მაგრამ იგი ამ დროს სხვების მსგავსად მარაოსებურად კი არ იშლება, პირიქით ტერფის შიგნით იხრება; შედეგად – სახსარი ფორმას იცვლის, დიდი თითის ფალანგი ნაწილობრივ გამოდის სახსრიდან და საგრძნობლად იდრიკება, ეს კი ისეთი შესახედია, თითქოს ცერა თითის ფუძესთან პატარა გირჩი გამოიზარდა ან ახალი პატარა ძვალი განვითარდა, სწორედ ამიტომ მიიღო ტერფის ასეთმა დეფორმაციამ ხალხში გირჩის სახელწოდება.



## ტერფი ჩაქუჩს დაემსგავსა

ტერფს და განსაკუთრებით კი მის ცერა თითს მუდმივი კონტაქტი აქვს ფეხსაცმელთან, რის გამოც ის გამუდმებით იჭყლიტება და ტრავმირდება, ზიანდება მისი კანი, იყვლიფება და დეფორმირებული ადგილი კუდევ უფრო მეტად ზიანდება.

ბოლოს კი ყალიბდება სახსრის ანთება და დასაწყისში „გირჩის" ადგილას უკვე ძვლოვან-ხრტილოვანი წანაზარდი წარმოიქმნება.

დროთა განმავლობაში დეფორმირებული დიდი თითი ზიანს აყენებს მეზობელ თითებსაც: ისინი იძულებული ხდებიან მოიხარონ და არაბუნებრივი მიმართულებით იმოძრაონ, რის შედეგადაც ტერფი ჩაქუჩის ფორმას ღებულობს.

## როგორ მოვიქცეთ

ძვალუკას მკურნალობის მხოლოდ ერთი – ქირურგიული მეთოდი არსებობს.

ერთხანს პირდაპირ ხრტილოვან წანაზარდს ან დიდი თითის ძვალს კვეთდნენ. დღეს დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა – ძვალუკა აღიქმება არა მხოლოდ დიდი თითის (როგორც ადრე მიაჩნდათ), არამედ მთელი ტერფის დაავადებად, ამიტომ მკურნალობაც კომპლექსურია და ტერფის ყველა სახსრისა და მყესის კორექციას გულისხმობს.

ოპერაციამდე რეკომენდებულია კომპრესები, იოდის ბადეები, მასაჟი, სამკურნალო მცენარეთა ნახარშის თბილი აბაზანები, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ეს მხოლოდ დროებითი საშუალებანია, რომლებიც ასევე დროებით შედეგს იძლევა. მათი დახმარებით მცირდება ტერფში ანთებითი პროცესი და მისი თანმდევი ტკივილიც კლებულობს, მაგრამ პრობლემა ბოლომდე მოუგვარებელი რჩება – დეფორმირებული ტერფის საფუძვლიანი მკურნალობა მხოლოდ და მხოლოდ ქირურგიული წესითაა შესაძლებელი.

# ენტერობიოზი – ორგანიზმში მახვილა პარაზიტობს

ახალი სასწავლო წლის დაწყების კვალდაკვალ, პედიკულოზთან (დატილიანება) ერთად, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს პარაზიტი ჭიებით გამოწვეული დაავადებები.

რა დაავადებაა ენტერობიოზი? როგორ მოვიქცე, რომ შვილი არ დამიავადდეს? თუ მაინც დაინფიცირდა, ტრადიციული პრეპარატებით ვუმკურნალო თუ არატრადიციულ საშუალებებს ვენდო? – ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხიც ბევრი მშობლისთვის არის საინტერესო.

ენტერობიოზი ყველაზე გავრცელებული ჰელმინთოზია (პარაზიტული ჭიით გამოწვეული დაავადება), მას წვრილი, პატარა, თეთრი ფერის მახვილბოლოებიანი ჭია – ენტერობიუსი იწვევს, რომელიც ნაწლავში მოხვედრის შემდეგ კვერცხს დებს და მრავლდება. პარაზიტის კვერცხი საკმაოდ მდგრადი და გამძლეა გარემოს არახელსაყრელი ფაქტორებისა თუ მადეზინფიცირებელი საშუალებების მიმართ. გარემოში პარაზიტი 25 დღე ცოცხლობს, კანალიზაციის მილებში კი 7-დან 21 დღემდე ინარჩუნებს გამრავლების უნარს.

## ვინ შეიძლება დაავადდეს ენტერობიოზით?

დაავადებისგან საიმედო და განსაკუთრებული დაცვის საშუალება არ არსებობს – შესაძლოა, დაავადდეს ნებისმიერი ადამიანი, ნებისმიერ ასაკში, თუმცა დაავადებულთა უმრავლესობა 3-იდან 10-14-წლამდე ასაკის ბავშვები არიან, ყველაზე მეტად კი ეს დაავადება 4-6 წლის ბავშვებში აღინიშნება.

**განსაკუთრებით ავადობენ:**

1. ბავშვები, რომელთა დედებსაც ორსულობის მეორე ტრიმესტრში ტოქსიკოზი აღენიშნებოდათ;

2. ხელოვნური საკვებით გამოზრდილები;

3. ხანგრძლივად და ხშირად მოავადენი;

4. პატარები დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ოჯახებიდან;

5. იმ საბავშვო ბაღებისა თუ სკოლების აღსაზრდელები, რომელთა შენობებიც არ აკმაყოფილებს დადგენილ ნორმატივებს.

დაავადების წყარო მხოლოდ ადამიანია, ამიტომ მცდარია მოსაზრება, რომ ენტერობიოზით ბავშვი შესაძლოა შინაურმა ცხოველმა დააინფიციროს.

## როდის უნდა გამოვიკვლიოთ ბავშვი

**დაავადების ძირითადი სიმპტომებია:**

მუცლის ტკივილი, ხშირი გულისრევა და ღებინება, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებითი დაავადებები, ადვილად გადაღლა, გაღიზიანებადობა, მშფოთვარე ძილი, ძილში კბილების კრაჭუნი, ალერგიული რეაქციები: გამონაყარი და პერიანალური (უკანა ტანის) ქავილი, გოგონებში ხშირია ვულვოვაგინიტი – საშოს ლორწოვანი გარსის ანთება, შარდგამომყოფი სისტემის ინფექციები.

ამ ნიშნების დიდი ნაწილი სხვა სახის ჰელმინთოზებსაც ახასიათებს, მაგრამ ენტერობიოზისთვის განსაკუთრებით ორი რამ არის დამახასიათებელი – პერიანალური ქავილი და მუცლის ტკივილი.

**პერიანალური ქავილი** ხშირად დაავადების ერთადერთი სიმპტომიც კია, რაც მდედრი პარაზიტის უკანა ტანის ნაოჭებში გამოსვლითა და იქ კვერცხის დებითაა გამოწვეული. ქავილი ყველაზე მეტად ღამით, 11 საათიდან 1-ლ საათამდე ძლიერდება. სწორედ ამ პერიოდში ეძლევათ პარაზიტებს მაქსიმალური შანსი უსაფრთხოდ კვერცხდებისა, რომლებიც დილისათვის უკვე ასწრებენ მომწიფებას.

მშობლები ხშირად აღნიშნავენ, რომ მკურნალობის მიუხედავად, მათი პატარა ღამით უკანატანს მაინც იქავებს. ეს ნუ შეგაშინებთ, ნამკურნალევ ბავშვებში ქავილი რეფლექსური ხასიათისაა, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ თავისით გაივლის.

ღამით დადებული კვერცხიდან დილისათვის უკვე ახალი პარაზიტები იჩეკებიან, რომლებიც ხშირად განავალთან ერთად გამოიყოფა. პარაზიტების გამოყოფა განსაკუთრებით ძლიერდება სხეულის ტემპერატურის მატებისას, დიდი რაოდენობით ციტრუსის წვენის ან მინერალური წყლის დალევისას.



**მუცლის ტკივილი** – ასევე ხშირი სიმპტომია მწვავე ტკივილი, რომელიც ლოკალიზებულია ჭიპის არეში; ნაწლავის კედელზე პარაზიტების მიწებების შედეგად ლორწოვანი გარსი ღიზიანდება და ტკივილი, წესისამებრ, ჭამისას იწყება, თუმცა, იშვიათად, შესაძლოა, ჭამის შემდეგაც გაძლიერდეს.

## დაავადების ნეგატიური შედეგები

1. იმუნიტეტის დათრგუნვა – ჰელმინთები აქვეითებს სისხლში დამცავი ნივთიერებების დონეს და ნერწყვის ფერმენტების აქტივობას;

2. ენტერობიოზით დაავადებულ ბავშვებში საგრძნობლად მცირდება პროფილაქტიკური აცრების ეფექტიანობა, ამიტომ აცრების ჩატარებამდე აუცილებელია ნებისმიერი სახის ჰელმინთოზის მკურნალობა.

3. ზრდა-განვითარების ტემპების შენელება – ქრონიკულად მოავადე ბავშვების სისხლში მკვეთრად კლებულობს სპილენძის, თუთიისა და მაგნიუმის რაოდენობა, ამ მიკროელემენტთა დეფიციტი კი, როგორც ფიზიკური ისე გონებრივი განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია;

4. გართულება – დაავადება შესაძლოა გართულდეს ჭიანაწლავის დანამატის ანთებით (აპენდიციტი), უკანა ტანის ნაპრალით და ზოგჯერ ენურეზით – ღამით შარდის შეუკავლობთ.

## როგორ ავიცილოთ ენტერობიოზი

* უპირველეს ყოვლისა, პატარა უნდა მიაჩვიოთ პირადი ჰიგიენის წესებს, გადააჩვიეთ თითებისა და სათამაშოების პირში ჩადებას, ხშირად უნდა იბანოს ხელი საპნით, ენტერობიოზი ხომ „ჭუჭყიანი ხელების დაავადებაა";

* პატარას ფრჩხილები ყოველთვის ძირში უნდა დააჭრათ;

* აუცილებელია ყოველ დილა-საღამოს მათი წელს ქვემოთ დაბანვა;

* თუ ბავშვი დაინფიცირებულია, ღამით ისეთი საცვალი უნდა ჩააცვათ, რომ ძილში უკანა ტანის ქავილი ვერ შეძლოს; საცვალი ყოველი გარეცხვის შემდეგ უნდა გაუთოვდეს ცხელი უთოთი. მკურნალობის პერიოდში აუცილებელია თეთრეულის ხშირი გამოცვლა, გამოხარშვა და გაუთოება.

* სახლი, განსაკუთრებით საბავშვო ოთახი და იატაკი, უნდა დასუფთავდეს სველი წესით, სპეციალური ხსნარებით, რომლებიც საგნებს მოაცილებს კვერცხებს და გაანადგურებს კიდეც.

* კვერცხებზე დამღუპველად მოქმედებს რამდენიმე საათით ყინვა ან კაშკაშა მზის პირდაპირი სხივები;

* აუცილებელია ბავშვის რაციონში შედიოდეს: სტაფილო, მარწყვი, ბროწეულის წვენი, კაკალი, კრაზანას ჩაი, რომლებიც ორგანიზმიდან პარაზიტის გამოდევნას უწყობს ხელს;

* ბავშვს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ცალკე საწოლი და პირსახოცი.

საბედნიეროდ, ენტერობიოზი არც ისე საშიში დაავადებაა და თანამედროვე მედიცინის პირობებში აბსოლუტურად იკურნება.

**ზვიად ღონღაძე**

# `murmanis ekali~



ჩემი ინკოგნიტო რესპონდენტი ახალგაზრდა, სიმპათიური კაცია. ქრისტეს ასაკი ჯერ არ შემსრულებიაო, — განმიცხადა და ისიც დაამატა, რომ ჟურნალისტებთან საქმე არასდროს ჰქონია, „თქვენ პოპულარული ადამიანები გაინტერესებთ, მე კი ბევრი მიკლია აქამდე, თუმცა ჩემს ახლობლებში პოპულარულიც ვარ და მეტიც. ახლა იმიტომ დაგთანხმდით, რომ ჩემი ვინაობა არ იშიფრება, თანაც ამ თემაზე უსასრულოდ შემიძლია საუბარი, რამდენს დაბეჭდავთ, ეს უკვე თქვენი საქმეა“ — მითხრა „დებიუტანტმა“.

საუბარი მართლაც ხანგრძლივი გამოგვივიდა. აი, რა მიამბო ზაზამ (სახელი შეცვლილია): „უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახი ოჯახად არ მიმაჩნია, მაგრამ მოყვარული ცოლ-ქმარიც რომ ხშირად ვერ ეტევა ცულის ტარზე, ესეც ფაქტია. ცოცხალი მაგალითი აგერა ვარ: ასი წელიც რომ ვიცოცხლო, მაინც ვერ მივხვდები, რა ბზიკმა უკბინა ჩემს ცოლს. არადა, თითქოს, კარგად ვიცნობდით ერთმანეთს. ორწლიანი რომანი გვქონდა. თუ მისი მხრიდან ნაღდი სიყვარული არ იყო და თავს მაჩვენებდა, მაშინ უდიდესი მსახიობი ყოფილა და აქ რაღა უნდა — გაემგზავროს ჰოლივუდში, არც დაფასება მოაკლდება და არც — მილიონები. თქვენ წარმოგიდგენიათ, უერთმანეთოდ ერთ საათსაც ვერ ვძლებდით, ხან მე ვიჯექი მის ლექციებზე და ხან პირიქით, უამრავი წინააღმდეგობა შეგვხვდა და მაინც ერთად ვიყავით — ნუთუ ეს სიყვარული არ იყო? წინააღმდეგობები ვახსენე, ახლავე დავაკონკრეტებ: ხომ იცით, დღეს ისეთი ცხოვრებაა, რომ კაცი შეიძლება დაბერდე და მატერიალური პრობლემები მაინც ვერ მოაგვარო, ჩვენ კი სტუდენტები ვიყავით, არც მის ოჯახს გადასდიოდა თავზე და არც ჩემსას, ბინის ყიდვას ან დაქირავებას კი ფული სჭირდებოდა. საიდან უნდა მომეტანა? კაფეში თუ დავპატიჟებდი, თავი კაცი მეგონა. ვატყობ, გაგიკვირდათ, ბინა რომ ვახსენე, ალბათ, გგონიათ, რომ ცალკე ცხოვრებაზე ვიყავით ჩაციკლულნი. რასაკვირველია, ახალგაზრდა წყვილს ყოველთვის ცალკე ცხოვრება ურჩევნია, მაგრამ ჩვენ, უბრალოდ, სხვა არჩევანი არ გვქონდა, გამიგეთ? ორივე ოჯახმა წითელი აგვინთო — ჩემებს მისი სახელის გაგონებაც არ უნდოდათ, — ბავშვიანს არ მოგაყვანინებთო, — გამომიცხადეს და ბოლომდე „პირველ ჩვენებას აწვებოდნენ“. რა არ ვცადე: თხოვნა, მუდარა, შეგონება, ჩხუბი — არაფერმა გაჭრა. მე ეგ ამბავი სულ არ მაღელვებდა: 17 წლის გოგოს რა ჭკუა, მოეკითხება, ჰოდა, გარეგნობით მოიხიბლა, მერე კი ერთჯერადი შპრიცების გადაყრას ვერ აუდიოდა, ორი წელი გაუძლო ამ ჯოჯოხეთს, ბოლოს კი ბავშვს ხელი დაავლო და სახლში დაბრუნდა. რა, თავი უნდა გაეწირა? მისი ყოფილი ქმარი დღესაც ჩამპალი ნარკომანია, თუმცა ძველებურად ფრთებგაშლილი და გალაღებული ვეღარ არის. როგორც გავიგე, ვითომ მკურნალობს კიდეც, მაგრამ, რა ვიცი, გინახავთ გამოსწორებული ნარკომანი? მოკლედ, მერე მე გამიცნო, ტოლები ვიყავით, ბევრი საერთო აღმოგვაჩნდა და ერთმანეთი შეგვიყვარდა. მე არანაირად არ მაკომპლექსებდა მისი განათხოვრობა, მაგრამ ჩემებს ვერაფერი შევაგნებინე.

ახლა, რაც შეეხება მის ოჯახს: ეს ვის გადაეკიდეო, ბავშვის პატრონი ხარ და ვინმე გზაზე დამდგარი მოგეძებნაო, შენი ტოლი ბიჭი ჯერ თვითონაა გასაზრდელი და ვერ გიპატრონებსო... ერთი სიტყვით, ყველა თავისას მიერეკებოდა: ჩემს მშობლებს განათხოვარი რძალი არ ნებავდათ, იმათ კი — სტუდენტი სიძე. ჩვენ რა გვინდოდა, ამას არავინ კითხულობდა.

იცით, როდის ამომასხა? ერთ დღესაც დედაჩემი მეცა და მეუბნება, — დღეს ნათელმხილველთან ვიყავი და მოსაცდელ ოთახში შენი ქალბატონის დედას გადავაწყდიო. სანამ აზრზე მოვიდოდი, „ჩემმა ქალბატონმაც“ დამირეკა და შემომტირა, — დედაჩემმა ლამის სული ამომხადოს, შენი კავალერის დედას ნათელმხილველთან რა უნდოდაო. აზრზე ხართ? ალბათ ჩვენი სურათები ჰქონდათ წაღებული და ორივე მათგანი დარწმუნებული იყო, რომ მისი შვილი ჯადოს თუ რაღაც ჯანდაბის მსხვერპლი გახდა. აი, თქვენ გეცინებათ, მე კი მაშინ ისე გავმწარდი, რომ სახლში ლამის ყველაფერი დავლეწე — ნათელმხილველი და მკითხავი უკვე ნამეტანი იყო. იმ დღესვე ნაქირავებ ბინაში გადავედით. ვიცოდი, ვუყვარდი და უკან არაფერზე დამიხევია. მე მგონი, ყველაზე ბედნიერი სწორედ იქ ვიყავი, სხვის ჭურჭელში. ჯერ ბიძაჩემი მიხდიდა ქირას, მერე — ჩემი მეგობარი. ამასობაში ინსტიტუტიც დავამთავრე. მამამ სამსახური დამაწყებინა და მითხრა, — იმიტომ გეხმარები, რომ პურის ფული გქონდეს; ნამდვილ კარიერასა და ნორმალურ ცხოვრებაზე კი მაგ გოგოს რომ მიატოვებ და შინ დაბრუნდები, მერე იოცნებეო. ორი წელი გავიდა და ყველა მიხვდა, რომ ცოლის მიმტოვებელი არ ვიყავი. ამაში საბოლოოდ მაშინ დარწმუნდნენ, ხელი რომ მოვაწერეთ. მერე მისმა ოჯახმა შემოგვთავაზა, — ჩვენთან გადმოდითო და გადავბარგდით — ბინის ქირის გადახდისგან სული გვქონდა ამოხდილი და ეს პრობლემა მაინც მოვიხსენით. ჩემებს არაფერი გაუპროტესტებიათ: თითქოს, ასეც უნდა ყოფილიყო: მე უნდა მეცხოვრა ცოლის ოჯახში და არა პირიქით. მითხრეს, — შვილი რომ შეგეძინებათ, ბინის ყიდვაში დაგეხმარებითო. გულში რას ფიქრობდნენ, არ ვიცი, და ვერც გავიგებ, რადგან საერთო შვილი არ გვყოლია. განა არ ვიყოლიეთ, ეგ არ იფიქროთ! ბავშვზე ვოცნებობდით, ექიმსაც მივმართეთ და აღმოჩნდა, რომ ორივენი ჯანმრთელი ვიყავით — ამასობაში კი ისე აირია მონასტერი, რომ... აი, მაგალითად, ნარდს რომ ჭადრაკი მერჩიოს, ან შაქრიანი ყავა, უფრო მიყვარდეს, ვიდრე უშაქრო, გაღიზიანდებით? არა, ხომ? აგაშენათ ღმერთმა. ჩემს ცოლს კი ძალიან აღიზიანებდა, თუმცა იმას რა აღარ აღიზიანებდა! ცხადია, ყავასა და ჭადრაკს არ ვგულისხმობ — საერთოდ აღარაფერი მოსწონდა ჩემი, ჩემი სიტყვაც ნერვებს უშლიდა და საქმეც. ერთხელაც პირდაპირ გამომიცხადა, — ერთად ვეღარ ვიქნებით, დავიღალეო.

უმიზეზოდ არაფერი ხდება, მაგრამ უსინდისო ვიყო, თუ მისი ასეთი ქცევის მიზეზი ვიცოდე. ერთი რუსული სიმღერაა: „×òî á í å ïèë, íå êóðèë è öâåòè âñåòäà äàðèë“ რომ იცოდეთ, ზუსტად ჩემზეა. ტყუილად გელიმებათ, არაფერს ვაზვიადებ.

ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა, — ქალი ჩრდილივითაა, როცა მისდევ — გარბის, როცა გაურბიხარ — თავად გამოგეკიდებაო. ხომ მაგარი სიტყვებია? ჰოდა, მე ეს სიბრძნე ვერაფრით დავნერგე პრაქტიკაში, ვერასოდეს ვაეჭვიანე, ვერაფრით დავაინტრიგე, ზედმეტად მიყვარდა და იმიტომ. არაფერი განსაკუთრებული ქალი არაა — კი, სასიამოვნო გარეგნობა აქვს, მაგრამ გასაგიჟებელი ნამდვილად არ არის. გარეგნობა არაფერ შუაშია, უბრალოდ, მიყვარდა და მორჩა! საკმაოდ დიდი დრო გავიდა, რაც ერთად აღარ ვართ, მასზე უკეთესთანაც გამივლია, მაგრამ ვგრძნობ, რომ თავს ვიტყუებ, იმის დამვიწყებელი არა ვარ...

თუ გულახდილობაა, ბოლომდე გულახდილობა იყოს: მაგ ქალის გამო ყველაფერზე ვარ წამსვლელი, არ მენაღვლება, თუ ვინმეს თვალში სასაცილო გამოვჩნდები — შეიძლება კაცი მოვკლა და ხელი არ ამიკანკალდეს. ჰო, მართლა ასეა — შეიძლება მოვკლა ჩემი შეურაცხმყოფელის შეურაცხმყოფელი...“

**P.S. ვიცი, რომ ალქაჯია, მაგრამ მაინც ქვეყანას მირჩევნიაო, — მითხრა ჩემმა რეპონდენტმა. ძნელია, ივარაუდო, როგორ წარიმართება მოვლენები. ფაქტია, რომ უმიზეზოდ არაფერი ხდება, თუმცა ადამიანის გულში ჩახედვა და ჭეშმარიტი მიზეზის მოძიება სულაც არ გახლავთ იოლი საქმე. მკითხველო, იქნებ თავად განსაზღვრო, რამ გამოიწვია სიყვარულით შექმნილი ოჯახის დანგრევა: დროებითმა მატერიალურმა გაჭირვებამ, ქმრის მონოტონურმა ხასიათმა (როგორც თავად აღნიშნა), ქალის პრეტენზიებმა თუ მისმა ცვალებადმა ბუნებამ — „მურმანის ეკალი“ ხომ მრავალგვარია...**

**ნინო სიხარულიძე**

## ახმედ უმაროვი, შესაძლოა, თბილისში ახმეტ ჩიტაევის საქმეზე მოლაპარაკებებს მართავდეს

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე არ გამორიცხავს, რომ დოკუ უმაროვის ძმა, ახმედ უმაროვი, შესაძლოა, საქართველოში ახმეტ ჩიტაევის საქმეზე იმყოფებოდეს. „მედიანიუსთან“ საუბრისას იგი „ეხო კავკაზას“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, ახმედ უმაროვი თბილისშია.



როგორც არეშიძემ აღნიშნა, მას ზუსტი ინფორმაცია არ მოეპოვება, თუმცა იმ საუბარზე დაყრდნობით, რომელიც უმაროვსა და „ეხო კავკაზის“კორესპონდენტს შორის შედგა, შესაძლოა, ეს უკანასკნელი მართლაც საქართველოს დედაქალაქში იყოს ჩამოსული.

„თუ ახმედ უმაროვი თბილისშია, შესაძლოა, ის ახმედ ჩიტაევის საქმესთან დაკავშირებით იყოს აქ და მოლაპარაკებებს მართავდეს. ახმედ ჩიტაევი სერიოზული ფიგურა და ახმედ უმაროვის პირადი მეგობარია“, — განმარტა მამუკა არეშიძემ.

როგორც ცნობილია, ახმედ ჩიტაევი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა ჩრდილოეთ კავკასიიდან. ის შეიარაღებული დაჯგუფების ერთ-ერთი წევრია, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ლოპოტას ხეობაში დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, იგი დაკავებისას დაჭრილი იყო და შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია.

აღსანიშნავია, რომ ახმედ უმაროვი ინტერპოლის მიერ არ იძებნება. ინტერპოლი წითელი ცირკულარით დოკუ უმაროვს ეძებს.

## ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე ამბოხებულების დაჯგუფება აღმოაჩინეს

ჩრდილოეთ ოსეთის განაპირა ტერიტორიაზე ამბოხებულების დაჯგუფება აღმოაჩინეს.

„რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, დაჯგუფების აღმოჩენის გამო ჩრდილო ოსეთის გარეუბანში კონტრტერორისტული ოპერაციის რეჟიმია შემოღებული.

სამართალდამცავების განცხადებით, მათთან ოპერატიულ შტაბში შევიდა ინფორმაცია, რომ ჩრდილო ოსეთისა და ინგუშეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე, ტყის მასივში ბანდფორმირება აღმოჩნდა, რომელიც ტერორისტულ საქმიანობაში არის შემჩნეული.

იმ ტერიტორიაზე, სადაც ოპერაცია მიმდინარეობს, ფიზიკური პირების გადაადგილებასთან დაკავშირებით შეზღუდვებია შემოღებული.

არსებული ინფორმაციით, ბანდფორმირება დაახლოებით 10 ადამიანისგან შედგება.

„მედიანიუსი“

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## მოგზაურობა სამშობლოში

**ხანდოში ყოფნისას ჭობარეთისწყლის გაღმა, შორს ერთი პატარა დასახლება შევნიშნეთ. ეგ ქართული სოფელი თოკი არისო, აგვიხსნეს ხანდოელებმა. ხანდოდან თოკში, ღრმა ხევის გამო, გზა პირდაპირ არ გადადის. იქ ან ვარევნიდან უნდა მოხვდე ან ჯავახეთის მტკვრის (იგივე ფარავნისწყლის) კანიონიდან ამავალი გზით. ჩვენ ამ უკანასკნელს ვირჩევთ. ასპინძა-ახალქალაქის ტრასაზე დამდგარნი ხერთვისის გადასახვევიდან მე-8 კილომეტრზე გზიდან ხელმარცხნივ ვუხვევთ და სერპანტინით კვლავ ტყე-ჯავახეთში ავდივართ.**




# saros mamali

## ტყე-ჯავახეთი



**თოკი** ზღვის დონიდან 1640 მეტრის სიმაღლეზე, კანიონის თავზეა, შუა გზაზე კი ერთი ძალიან საინტერესო ძეგლია, სადამდეც ქვეითად, დაახლოებით, ნახევარი კილომეტრია სასიარულო წავარნებით. ეს ტერიტორია სოფელ თოკს ეკუთვნის და ეკლესიას, სამეცნიერო ლიტერატურაში, ამიტომ ჰქვია **თოკის მონასტერი.** ადგილობრივი ქართველები, ერთი ლეგენდის თანახმად, მას **დაძმის მონასტერს** უწოდებენ (ამ ლეგენდას სხვა დროს, სოფელ ჩუნჩხაში ყოფნისას გიამბობთ). და-ძმის მონასტერში, ამ საყდრის გარდა, კანიონის მეორე მხარეს, მისსავე სიმაღლეზე მდებარე **ნაისის** ეკლესია მოიაზრება. ეკლესიები ერთმანეთს უყურებენ და თვალსაწიერით 250-300 მეტრი აშორებთ.

თოკის ტერასაზე მდგარი საყდარი, რომელთანაც, ახლა მივდივართ, სინამდვილეში ორ ეკლესიას აერთიანებს. სამხრეთით, დაბლა, მცირე ნაგებობაა (შიდა ზომებია 3,10X1,90 მ), იგი ზოგან უხეშად დამუშავებული, მაგრამ თანაბარი ზომის მცირე ქვითაა ამოყვანილი, ზოგან სუფთად გათლილი ვეება კვადრებით. ქვათა თლის, შერჩევისა და წყობის ასეთი შეხამება ადრეშუასაუკუნეებისთვის არის დამახასიათებელი.

სალოცავი დასავლეთიდან ნახევარწრიული თაღითაა გახსნილი. ეს ნაგებობის ერთადერთი შესასვლელია. ყურადღებას იპყრობს საკურთხევლის აბსიდის შემკვრელი ერთობ მონუმენტური, ნალისებრი მოყვანილობის თაღი. სამლოცველო VII-IX საუკუნეებით უნდა დათარიღეს.

ამ უძველეს სამლოცველოზე მოგვიანებით, დაახლოებით XIII-XIV საუკუნეებში, ჩრდილოეთიდან გაცილებით დიდი საყდარი მიუდგამთ, რომელსაც, თავის მხრივ, თანადროული ჩრდილოეთის ორი მინაშენი აქვს. მათგან ერთ-ერთი დამატებით სამლოცველოს წარმოადგენს და მთავარ დარბაზს გაშლილი თაღით უკავშირდება. როგორც დიდი, ისე მცირე დარბაზის საკურთხევლის აბსიდის ნახევარწრე დაბრეცილია. მთლიანი ტაძრის შიდა ზომებია: სიგრძეში 9,3 მ. სიგანეში 7,1 მ. დაახლოებით 1 მ.-ის სისქის კედლები სუფთად გათლილი ქვის დიდი კვადრებითაა აყვანილი და მათზე არანაირი ჩუქურთმა არ არის.

**...გზა ნელ-ნელა ჩრდილო-აღმოსავლეთით იხრება. თოკში შევდივართ. სოფელში მეტნაკლებად სალსალამათად ათიოდ სახლი გამოიყურება და აქედანაც ნახევარს ბოქლომი ადევს. აი, უკვე ორი საათია, რაც თოკში ვტრიალებთ, მაგრამ ერთი თავჩაქინდრული კაცის გარდა არავის გაუვლია — პურის ტომრებით დატვირთული ცხენი მიჰყავს. კარგა მოშორებით შაოსანი დედაბერი საქმიანობს აივანზე... არც ძაღლის ყეფა, არც მამლის ყივილი.**

**ოსმალოს ბატონობისას წელში რომ გატყდა თოკი, მას მერე ასეა — ვინც მართლმადიდებლობა არ დათმო, გადაიხვეწა, ვინც დათმო, — გათურქდა და იერლი გახდა. 1944 წელს იერლი შუა აზიაში გადაასახლეს და თოკი მთლად დაცარიელდა. მერე, თითქოს, ახლომდებარე ქართული სოფლებიდან ამოვიდა რამდენიმე კომლი, მაგრამ, ხელისუფლების უყურადღებობის გამო, უმეტესობამ ფეხი ვერ მოიკიდა.**



საროს მთავარანგელოზის ეკლესია და ციხის კოშკის ნაშალი

თოკის ცენტრში XIV საუკუნის დარბაზული საყდარი, საბედნიეროდ, აღდგენილია. თლილი, რუხი ქვის დაუდევარი წყობით აშენებულ ეკლესიას ეტყობა, რომ XIV საუკუნის ოსტატი ისეთი გულმოდგინე არ იყო, როგორც მისი წინაპარი. კარგამოკეტილი საყდრის წინ IX-X საუკუნეების რამდენიმე ქვაჯვარი დევს. ოდნავ მოშორებით ჭობარეთისხევს გადასცქერის ძველი, მკვდარი სოფელი. მორღვეული სახლების კედლები ყორეთა დონეზე დასულა. თითქოს სოფლისთვის სახურავი აუხდიათ და ზევიდან დავცქერი ჩამქრალ სიცოცხლეს. კიდევ უფრო აღმოსავლეთით, ზედ კლდის თავზე, დანგრეული კოშკია, რომელიც ბოლოს, თურმე, გამაჰმადიანებულ აბაშიძეს ეკუთვნოდა.

ვტოვებთ თოკს და დასავლეთით, **საროსკენ** მივემგზავრებით. სევდას ხალისი ცვლის, სასოწარკვეთას — იმედი. და ეს არა იმიტომ, რომ სარო დიდად დალხინებული სოფელია, არამედ იმიტომ, რომ ფესვი არ გახმობია და ქართული სისხლი არ დაშრეტია.

**თურქთა ულლის დროს საროელებმა უდიდესი გმირობა გამოიჩინეს. მაშინ, როცა ჯავახეთის ერთმა ნაწილმა გამაჰმადიანებას თავი ვერ აარიდა, ხოლო მეორე ნაწილმა გადარჩენის მიზნით კათოლიკობა მიიღო, საროელებმა დაუფარავად ატარეს სჯული.** კარგა ხნის მანძილზე, ჯავახს რომ იტყოდნენ, გათურქებული თუ გაკათოლიკებული ქართველი ან აქ მოსული სომხები ჰყავდათ მხედველობაში. საროელებს მათში ათქვეფა არ სურდათ და პროტესტი თავისებურად გამოხატეს. ეს ერთი ლექსიდან ჩანს: **„სარველები თავის თავსა ჯავახელად არა სცნობენ, ვინც ჯავახი დაუძახოს, იმ კაცს ჰკიცხვენ, იმ კაცს გმობენ“.**

ამჟამინდელი 200-კომლიანი სარო ზევიდან დასცქერის მის საკრებულოში შემავალ პატარა **ნიჯგორს,** რომელიც ყურძნით, ხილით და მეტადრე კაკლის სიუხვით იწონებს თავს მტკვრის ხეობაში, ორივე სოფლის ხალხი, ჩემი დაკვირვებით ერთი „ჩამოსხმისაა“. ისტორიული ქართეხილების კვალი დღესაც შემორჩენია აქაურ ვაჟკაცთა გაფოლადებულ, დახვეწილ სახეებს, გამოხედვას და მოზომილ სიტყვას. ერთ-ერთ მათგანს, სიბერეს მიახლოებულ ვასო ასპანიძეს სასიამოვნო გარეგნობის, დარბაისელ კაცს იმ უძეელესი ციხის ნაშალთან მივყავარ, რომლის წარწერა მისი ამგების ვინაობას გვაცნობს — **ვაჩე გურგენის ძე.** მისთვის დემეტრე პირველს **რეხი** და **მაჭა** უჩუქებია. გამოდის, რომ ძეგლი XII საუკუნისაა, არადა ქვათა მეგალითურ წყობას, თითქოს, გაცილებით ძველ დროში გადავყავართ. აქვე დგას IX-X საუკუნეების მთავარანგელოზების ორნავიანი ეკლესია. მასში დღემდეა შემონახული საწინამძღვრო ბავრაყი, რომელსაც ყოველწლიურად გამოაბრძანებენ ხოლმე და სოფელში დაატარებენ. საროში ყველაფერი ძალიან საინტერესო და არქაულია: ვიწრო, ყორიანი ქუჩაბანდები, ერდობანიანი, დედაბოძიანი და მერცხლისბუდა ჭერიანი დარბაზები, ადამიანები, თივისა და წივის ზვინები. თითქოს მამალიც ქართულად ყივის. ერთი სახლის წინ ოთარაანთ ქვრივის მსგავსი დედაკაცი ჩამომჯდარა და წინდას ქსოვს, გზაზე ვიღაც სახედრებს მოდენის, იქვე — ფიცრულიდან გრდემლისა და უროს ჭიდილის ხმა ისმის — მჭედელი სოფელს ამხნევებს.

აქ, საროში, ბიბლიურ სოფელს შევცქერი.

საროდან 4-5 კილომეტრში, საროსწყლის აყოლებაზე, მის მარჯვენა ნაპირზე ხიზაბავრაა გაშენებული. ხიზაბავრა ის სოფელია, რომელმაც ასპინძის ომში გამარჯვებულ მეფე ერეკლეს სანაქებოდ უმასპინძლა. სოფელი სომეხი მემატიანის ცნობით, 841-842 წლებიდან ჩანს, როცა საქართველოში შემოჭრილი არაბი სარდალი ხალილ იბნ-იაზიდი სწორედ ჯავახეთში, კერძოდ კი ხიზაბირში მოუკლავთ. ამდენად, ის ვერსია, რომ ხიზაბავრა ორი სოფლის მკვიდრთა ერთობლივი დასახლებით წარმოქმნილი ტოპონიმია, ძალიან ძველ დროს უნდა გვახსენებდეს. ერთი სოფელი „ხიზა“, სადღაც მახლობლად ყოფილა, მეორე — „ბავრა“ კი დღესაც ზედ აკრავს ახალქალაქს. 300-კომლიან ხიზაბავრში, დღეს 290 კომლი კათოლიკე ქართველია, დანარჩენი 10 მართლმადიდებელია. კათოლიკენი XIX საუკუნის ბოლოს ვატიკანის დახმარებით აგებულ და დღეს მოქმედ იმ დიდ ტაძარში ლოცულობენ, რომელსაც „ქრისტეს წმინდა გული“ ჰქვია. მართლმადიდებელთა ძველი, პატარა, მაგრამ ოსტატურად ნაგები დარბაზული ეკლესია XI საუკუნისა უნდა იყოს, რასაც ერთ-ერთი წარწერის (**„ქრისტე, შეიწყალე... მამაი სულითა და გიორგი შეიწყალე“**) პალეოგრაფიული ანალიზი ცხადჰყოფს. ესეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა, მაგრამ ხიბაზავრში მას კიდევ ორი შერქმეული სახელი აქვს: „ლაშას საყდარი“ და „ღარიბთა ეკლესია“. პირველი სახელი, ალბათ ტაძრის ერთ-ერთი წარწერის გამოძახილია, რომელშიც ლაშა-გიორგია ნახსენები („ქრისტე, შეიწყალე ლაშა ალასტნელი ჯავახთ უფალი“). მეორე სახელი იმდროინდელი უნდა იყოს, როცა ოსმალეთის იმპერიაში ყოფნისას (ახალციხის საფაშო), აქაური და შედარებით ლაღად მცხოვრები გაკათოლიკებული ქართველები, მართლმადიდებლად დარჩენილ და დაბეჩავებულ ქართველებს მედიდურად უყურებდნენ. ამ პატარა ტაძარს აქვს ოსმალოს ბატონობის დროს შემოვლებული გალავანი, რომელშიც მხედრული ასოებით შერეული ნუსხური წარწერა არის: **„სახელითა ღმრთისითა აჰღმართეს ... ჩვენ საროელმან...“** როგორც ეს წარწერა ცხადჰყოფს, ოსმალეთის ბატონობაში საროელები ხიზაბავრაში მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველების გადარჩენაზეც ზრუნავდნენ და მათ ტაძარს განამტკიცებდნენ.

**ლაშას ტაძრის გალავანთან ერთი დიდი, გემრიელი წყარო გადმოსჩქეფს. ვინც არ უნდა გაიაროს აქ, მართლმადიდებელმა თუ კათოლიკემ, ყველა ამ წყაროს ეწაფება.**



თოკის მონასტერი, სოფლის ეკლესია „წმინდა გიორგი“ თავისი სტელებით და ხიზაბავრის „ლაშას საყდარი“







**გელა ქოქიაშვილი**
ავტორის ფოტოები

ჯემალ დავლიანიძე

# mwaregakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

### შევარდნაძე ქვეყანას ანგრევდა!

ევროამერიკა შევარდნაძეს აქებდა და აქებდა!

ჩავიდა საფრანგეთში შევარდნაძე!

დიდი პატივისცემით მიიღეს!

მისმა საზღვარგარეთელმა მეგობრებმა კარგად იციან, რა ბედოვლათია „დიდი პოლიტიკოსი“, მაგრამ მთავარია ჩვენ, ქართველებმა დავიჯეროთ ეს ამბავი. ამერიკელი, გერმანელი, ინგლისელი, ფრანგი რომ იტყვის შევარდნაძის შესახებ „დიდიაო“, რაო, ქართველი და თან დოყლაპია, ამას არ დაიჯერებს?

შევარდნაძე დიდად დააფასა ევროამერიკამ, მაგრამ მანვე არ მიიღო ზვიად გამსახურდია.

შევარდნაძე „დიდ პოლიტიკოსად“ მონათლეს, ზვიად გამსახურდია კი — ფაშისტად!

თვითონ შევარდნაძის სპეცბრიგადები თითქმის მუდამ დღე ახორციელებენ რკინიგზების, ხიდების, სხვადასხვა ობიექტების აფეთქებას და ამას აბრალებენ ჩეჩნეთში გადახვეწილ ზვიად გამსახურდიას!

ამ დროს, ბნელეთის ჯურღმულებში, რომელიც მფარველობს შევარდნაძეს, გადაწყვეტილება უკვე მიღებულია — ზვიად გამსახურდია აუცილებლად უნდა განადგურდეს ფიზიკურად.

ევროამერიკული საძმო კი მთელი მსოფლიოს გასაგონად აქებს, ადიდებს შევარდნაძეს! ეხმარებიან, აჯილდოებენ და გაიძახიან, რომ შევარდნაძე მსოფლიო რანგის უდიდესი პოლიტიკოსია!

ღირსეულ ადამიანს, ვინც ოდნავ მაინც იცნობს ედუარდ შევარდნაძეს, სირცხვილი დაწვავს, ისეთი საქებარი წერილები მოდის ამერიკიდან.

ასე მაგალითად, 1992 წლის აპრილს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, წერილს უგზავნის შევარდნაძეს და ეს მიმართვა კარგად რომ გაისიგრძეგანო, გახლავთ ერთგვარი ანგარიშის ჩაბარება. გაოცდები კაცი — ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს იმ უბნელეს იერარქიაში, რომელსაც შევარდნაძე ეკუთვნის, ჯორჯ ბუშს გაცილებით ნაკლები ხარისხი გააჩნია.

ვნახოთ ფაქტი! წავიკითხოთ ჯორჯ ბუშის წერილი:

„მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს!

ძვირფასო თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძევ! დღეს საჯაროდ გამოვაქვეყნებ ყოფილი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრების მხარდამჭერ მთელ რიგ ახალ ინიციატივებს. მსურს წინასწარ შეგატყობინოთ ჩემი განცხადების ამბავი.

იმისათვის, რომ ამ საქმეში ჩავაბა აღმასრულებელი ხელისუფლება, კონგრესი და ამერიკელი ხალხი და სტიმული მივცე მრავალმხრივ ძალისხმევას, ვაცხადებ, რომ ვიღებ რუსეთისა და ევრაზიის სხვა ხალხებისათვის დახმარების ყოვლისმომცველ პაკეტს.

ჯერ ერთი, ვაცხადებ, რომ მხარს ვუჭერთ ყოვლისმომცველ მრავალმხრივ ეკონომიკურ სტაბილიზაციის პროგრამას საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და „შვიდეულის“ მეშვეობით, მასში გათვალისწინებული იქნება ექვსი მილიარდი დოლარის გამოყოფა ვალუტის სტაბილიზაციის ფონდში და 18 მილიარდი დოლარისა — რუსეთისთვის დამატებითი მაკროეკონომიკური დახმარების გასაწევად (აშშ-ი ტყუილ-უბრალოდ არასოდეს არავის ეხმარება, მით უმეტეს რუსეთს. თანაც, რა შუაში უნდა იყოს შევარდნაძე? რატომ ატყობინებს წინასწარ ჯორჯ ბუში შევარდნაძეს — გიხაროდეს, რუსეთს უნდა დავეხმაროო? იქნებ იმიტომ, რომ რუსეთი უკვე გამზადებული ჰყავდათ დასაშლელად და დასაქუცმაცებლად? — ჯ.დ.). ვკისრულობთ ვალდებულებას, გავუწიოთ მხარდაჭერა დამატებით მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ძალისხმევას საქართველოში (სულ რამდენიმე თვის დამხობილია კანონიერი ხელისუფლება და მძვინვარებს შევარდნაძის ტერორი! — ჯ.დ.) და სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებში (სადაც ზვიად გამსახურდიას მსგავსად დინების საწინააღმდეგოდ არავინ დაცურავს! — ჯ.დ.) იმის კვალობაზე, თუ როგორ იმუშავებთ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან იმ რეფორმათა ყოველმხრივი გეგმის ფორმულირებისათვის, რომლებიც იმსახურებენ ნდობას.

მეორეც, კონგრესში ვგზავნი ყოვლისმომცველ ინტეგრირებულ წინადადებებს — 1992 წლის აქტს თავისუფლების მხარდაჭერის შესახებ (ღმერთო, გვიშველე! — ჯ.დ.) ეს კანონმდებლობა მიზნად ისახავს იმას, რომ მოიხსნას „ცივი ომის“ პერიოდის შეზღუდვები და მივიღოთ ახალი უფლებამოსილებანი, შეერთებულმა შტატებმა შეძლოს, რაც შეიძლება უკეთ შეუწყოს ხელი თქვენს ძალისხმევას, აშენოთ დემოკრატია და თავისუფალი ბაზარი. იგი აგრეთვე შეიცავს თქვენს ქვეყანაში ვაჭრობას და ინვესტიციებში ამერიკის კომპანიათა შესაძლებლობების გაფართოების მნიშვნელოვან დებულებებს.

მესამეც, ვაცხადებ, რომ დღეს დამატებით გამოიყოფა 1,1 მილიარდი დოლარის ოდენობის საკრედიტო გარანტიები სასოფლო-სამეურნეო საქონლის შესასყიდად. სამომხმარებლო კრედიტების კორპორაციის სახით 600 მილიონ საკრედიტო გარანტიებს გადავცემთ რუსეთს, დანარჩენი 500 მილიონი გადაირიცხება უკრაინის და სხვა სახელმწიფოებისათვის.

ჩვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯებთან ერთად, ჩემი მიზანია ის, რომ ამერიკამ დაუჭიროს მხარი თქვენს ქვეყანაში დემოკრატიას და განმტკიცდეს შემდგომი საერთაშორისო ძალისხმევა და კოორდინაცია.

იმედი მაქვს, რომ მხარს დამიჭერთ ერთობლივ მოქმედებაში, რომლის მიზანია, უზრუნველვყოთ დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრების აყვავება.

გულწრფელად თქვენი ჯორჯ ბუში“.

და მეგობრებო, აქვე, ამავე დროს, ამავე გაზეთში ჯორჯ ბუშის წერილს მოსდევს ცნობა:

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ წერილი მიიღო მოსკოვის მთავრობის პრემიერის ი. ლუკიანოვისა და ქალაქ მოსკოვის მერის გ. პოპოვისაგან. წერილში კერძოდ ნათქვამია:

„პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ! გაითვალისწინა რა, საქართველოს რესპუბლიკაში სურსათის ნაკლებობა, და ხელმძღვანელობს რა, რუსეთისა და საქართველოს ხალხების ტრადიციული მეგობრული ურთიერთობით (სად იყო აქამდე „ტრადიციული მეგობრობა“? ნუთუ ზვიად გამსახურდიას დროს ქართველი ხალხი სხვა იყო და შევარდნაძის დროს კი — სხვა? რა მოხდა? რა გარიგებას არ აწერდა ხელს ზვიადი და რაზე დაითანხმეს შევარდნაძე, რომ ევროამერიკიდან თუ რუსეთიდან ასე უხვად მოაყარეს სურსათ-სანოვაგე? — ჯ.დ.), რუსეთის მთავრობამ თებერვალსა და მარტში გამოგზავნა საქართველოს რესპუბლიკაში 135 ტონა შაქარი, 320 ტონა ფქვილი. აპრილსა და მაისში გამოვაგზავნით კიდევ 1500 ტონა ფქვილს. დაიწყო თბილისში 5 ათასი ტონა კარტოფილის გამოგზავნა.

გარდა ამისა, გადაწყდა მოსკოვის რეზერვებიდან რესპუბლიკაში უმოკლეს ვადებში 5 ათასი ტონა ბენზინისა და 5 ათასი ტონა დიზელის სათბობის, დაახლოებით 80 სამგზავრო ავტობუსის, კომუნალური მეურნეობისათვის განკუთვნილი 20 ავტომანქანის, აგრეთვე საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების მნიშვნელოვანი მოცულობის პროდუქციის გამოგზავნის საკითხები.

გულითად მადლობას მოგახსენებთ საქართველოდან თამბაქოს, სპირტიანი სასმელებისა და სხვა საქონლის შემხვედრი მოწოდებისათვის. იმედი გვაქვს, რომ მომავალში კიდევ უფრო განვითარდება მოსკოვისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობათა თანამშრომლობა“ (ორივე წერილი დაბეჭდილია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, №56, 1992 წლის 8 აპრილს).

ღმერთო ჩემო! რა სიამტკბილობაა ჯორჯ ბუშს, შევარდნაძეს, ლუკიანოვსა და პოპოვს შორის.

### სისხლით მორწყული საქართველო, ამერიკა და რუსეთი!

ამერიკა და რუსეთი, ორივე ძმურად უწვდის ხელს მთლად სისხლით მორწყულ საქართველოს.

გუშინ, როცა კანონიერი ხელისუფლება ჰყავდა ქართველებს, ყველამ ბლოკადა გამოუცხადა. შევარდნაძე გამოჩნდა თუ არა, მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან წამოვიდა მრავალმხრივი დახმარება, რომელიც ქართველ ხალხამდე დღესაც, 2009 წელსაც არ მოსულა!

სად მიჰქონდათ? საკუთარ ოჯახებში, მეგობრებში და ზოგს, დიდ ნაწილს, უკანვე აგზავნიდნენ ისევ და ისევ მადლობის ნიშნად.

მთავარი კი ისაა, რომ აშშ-ც კმაყოფილია და მაშინდელი რუსეთიც. თითქოს შევარდნაძე ისეთ რაღაცას დაჰპირდა... მაინც რას? რა შეიძლება ყოფილიყო? იქნებ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი? უფრო სწორად — აფხაზეთი და სამაჩაბლო რუსეთს, დანარჩენი კი — ამერიკასო!?

რაო, დღეს რაც უკვე მოხდა — აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, რომ უკვე საქართველოდან მოწყვეტილია, განა ფაქტი არ გახლავთ?

ზემოთ ჩვენ ვნახეთ ამერიკის და რუსეთის შეხმატკბილებული წერილი, სასიყვარულო მიმართვები შევარდნაძისადმი. ახლა გადავხედოთ 1992 წლის ისევ აპრილის, ოღონდ შუა აპრილის ამბებს, როგორ ეხმარებიან შევარდნაძეს (და არა საქართველოს,) გერმანიიდან.

გავშალოთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (№60, 1992 წლის 14 აპრილი), რომლის მოწინავე გვერდზე, პირველ გვერდზე მსხვილი ასოებით აწერია:

„ევროპა და საქართველო ერთმანეთის შესახვედრად დაიძრნენ“.

თურმე საქართველოში ჩამობრძანებულა ევროპა, რომელსაც ჰქვია გერმანიის ვიცე-კანცლერი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი და მას დახვედრია საქართველო — ედუარდ შევარდნაძე.

ვკითხულობ ჰანს-დიტრიხ გენშერის სიტყვას:

„ძვირფასო ედუარდ,

ძვირფასო ნანული!

ქალბატონებო და ბატონებო!

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“

ეს სტროფი, დიდი ქართველი და ევროპელი (ბიჭოს, ყოჩაღ ბატონო გენშერ, ჩვენ აქამდე არ ვიცოდით, რომ შოთა რუსთაველი ევროპელი პოეტი ყოფილა! როგორ ჩამოვრჩენილვართ, ძლივს არ აგვიხილე თვალი ამ კავკასიელებს? — ჯ.დ.) პოეტის, შოთა რუსთაველისა, ამშვენებს მის ძეგლს რუსთაველის პარკში, ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე, მოსკოვში.

პარკის პირდაპირ გერმანიის საელჩოა, რომელიც განლაგებულია თავად ბაგრატიონის ყოფილ სასახლეში (გერმანია, გენშერი, მაგრამ კვლავ მოსკოვი. აქაც დაშაქრულნი არიან გერმანია, საქართველო და რუსეთი! იქნებ მართლდება ჩემი ვარაუდი? მაშინვე ხომ არ გაურიგდა შევარდნაძე ევროამერიკას და რუსეთს-საქართველოს ორად გაგიყოფთ, თქვენ მშვიდად იყავითო? — ჯ.დ.). ამ ძეგლს ჩაუვლის ყველა, ვინც კი გერმანიის საელჩოში მიდის.

ვისაც ამ სტროფის გაგება სურდა, იმან გაიგო იგი (რაღაცას ორაზროვნებს ბატონი დიტრიხი, - ვგონებ, მხედველობაში ჰყავს შევრადნაძე, რომელმაც გაიგო შოთა რუსთაველის ცნობილი შეგონება, ხოლო ზვიად გამსახურდიამ ვერ შეძლო, ვერ წაიკითხა „ვეფხისტყაოსანი“, არ ეყო იმდენი განათლება, ცოდნა, მარიფათი, რომ კარგად აღექვა და გაეგო! არადა, ბატონი გენშერი და შევარდნაძე რასაც ფიზიკურად იწონიდნენ ორივე ერთად, ზვიადს ასი იმდენი წიგნი ჰქონდა წაკითხული და ბრწყინვალე ნაშრომიც ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“. რა სამწუხარო დროა! რა საშინელება ტრიალებს დღევანდელ მსოფლიოში! — ჯ.დ.). ეს სიტყვები ჭეშმარიტებას ღაღადებენ და მათ საუკუნეებს გაუძლეს. ეს ჭეშმარიტება ის არის, რომ ურთიერთგაგება, მეგობრობა და თანამშრომლობა ყველაფრის საწყაოა.

უკანასკნელ წლებში, ჩვენ ყველა დავრწმუნდით, თუ რა მართალი იყო პოეტი. ეს ასეა: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ და მე, ამ სიტყვებით, რომლებიც ჩვენ გვაკავშირებს, მივმართავ ჩემს მეგობარს, ედუარდ შევარდნაძეს (რა მეგობრობა აუტყდა ბატონ გენშერს სსრკ-ს საგარეო მინისტრთან, ხომ არის საინტერესო? — ჯ.დ.)...

ცივი ომი ისტორიას ჩაბარდა, ევროპის პოლიტიკური დაყოფა დაძლეულია. თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ, თქვენი წვლილი შეიტანეთ ამ ისტორიულ პროცესში. შორსმჭვრეტელობით და პასუხისმგებლობით მშვიდობისათვის აღნიშნულია თქვენი პოლიტიკა. ამით თქვენ საფუძველი ჩაუყარეთ საქართველოს დამოუკიდებლობის ხორცშესხმას, დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოსათვის, მსოფლიოს სახელმწიფოების თანამეგობრობის წევრისათვის.

ეს არ შეიძლება განვითარების საბოლოო პუნქტი იყოს. საქართველო დღეს დგას დიდი სამომავლო ამოცანების წინაშე. დემოკრატიული გარდაქმნები მშვიდობიან და თავისუფალ საზოგადოებაში. საქართველო 24 მარტიდან ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის საბჭოს წევრია. მან აღიარა ამ საბჭოს ყველა ვალდებულება და გადაწყვეტილება. პარიზის ქარტია — ევროპის კონსტიტუცია დღეს საქართველოშიც მოქმედებს.

გარდაქმნა მოითხოვს დიდ ძალისხმევას. ის მოითხოვს სტაბილურობას და მხარდაჭერას (ამ დროს შევარდნაძის სპეციალური სამხედრო-კრიმინალური დანაყოფები არბევს და ხვრეტს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს. აპატიმრებს და აწამებს საქართველოს რესპუბლიკის პირველი და კანონიერი პრეზიდენტის მომხრეებს. ციხეებში ამწყვდევს და აწამებს პოლიტიკურ პატიმრებს! — ჯ.დ.). ჩვენ გერმანელებს, გვსურს ვიყოთ თქვენი საიმედო, და თუ თქვენც ინებებთ, მრჩეველი და პარტნიორი.

ეს ჩვენს ინტერესებსაც შეესაბამება. თქვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები მთელ ევროპას ეხება. ევროპა ვერ გახდება ერთიანი თუ მის ნაწილებში საშიშროება და შფოთიანობა იქნება.

... დღეს მსოვლიო ძირფესვიანად შეიცვალა. გერმანია და საქართველო იმ ევროპის ორი ნაწილია, რომელმაც დაძლია სამხედრო და პოლიტიკური დაპირისპირება. დღეს საფუძველს ვუყრით ჩვენი ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობას, რომლის მიზანია მშვიდობა (ამ მშვიდობის მტრედის თბილისში ყოფნისას, როცა მომიტინგეებს დაერია პოლიცია, ძაღლებიც კი მიუსიეს ადამიანებს და ბევრს ახსოვს ამ ცხოველებს ხალხმა „გენშერები“ შეარქვა! — ჯ.დ.).

ბატონო თავმჯდომარევ!

მე ვწევ ჭიქას და წარმოვთქვამ თქვენს სადღეგრ-ძელოს, თქვენი ქვეყნისა და მისი მოქალაქეების სადღეგრძელოს, ჩვენი ქვეყნების მშვიდობიანი და თავისუფალი მომავლის სადღეგრძელოს“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14–38

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# devnilis xma xelisuflebis jibeSia

დეკარტი ბრძანებს: "ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ" და რადგან ვცოცხლობთ და რადგან ვარსებობთ, უამრავ პრობლემასთან გვიხდება გამკლავება. "არ არის კაცი, არ არის პრობლემა." პრობლემა ესაა, რთული თეორიული ან პრაქტიკული საკითხი, რომელიც საჭიროებს შესწავლას, ახსნას, განმარტებას. დღევანდელ საქართველოში არ ხდება პრობლემის არც შესწავლა, არც ახნა და არც განმარტება. დღეს, მხოლოდ დაპირებებია. დაპირება, რომ ხვალ უკეთესი დღე გვექნება. არადა, დღესაა საჭირო გადაწყდეს პრობლემა. პრობლემა კი უამრავია. მხოლოდ სამ ძირითად თემას შევეხები: დევნილები, უმუშევრები, დიასპორები.

გამიგია ტერმინი – მკვდრად შობილი კანონი. აი, მკვდრად შობილი სამინისტროების შესახებ არაფერი მსმენია. რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა დიასპორების კუთხით სახელმწიფო აპარატი. დღემდე გაურკვეველია, რა ფუნქცია და რა როლი აქვს ამ უწყებას, რომელიც რატომღაც არჩევნების წინა პერიოდში ახსენდებათ და ითვლიან უცხოეთში მყოფ ქართველებს, უფრო სწორად, მათ ხმებს. ასევე სრულიად გაურკვეველია დასაქმების სამინისტროს ფუნქცია. უფრო სწორად, გარკვეულია - რა უნდა ამ სამინისტროს. ტრაპაიძის უწყება გადასულია ღიად დაითვალოს ხმები. თითოეულ ოჯახში შედის აგენტი და არ აქვს მნიშვნელობა მუშაობს თუ არა ესა თუ ის პირი, ისინი ანკეტას ავსებენ და გამოკითხვის ბოლოს ღიმილიანი ინტერვიუერი იწერს რესპონდენტის მობილურის, სახლის ნომერს და პირადობის მოწმობის ნომრებს. დაახლოებით 3-4 დღეში დასაქმების სამინისტროდან ღიმილიანი ხმა უკავშირდება მოქალაქეს და აგენტის თაობაზე ეკითხება – რამდენად მოეწონა იგი და რამე პრეტენზია ხომ არ აქვს აგენტის მუშაობაზე. ისედაც შეშინებული საზოგადოება ამ ფაქტით უფრო მეტად იზღუდება. მისი გვარ-სახელი მონაცემთა ბაზაში შედის და იძულებულია სახელისუფლო პარტიას დაუჭიროს მხარი. უფრო მეტად უარესი და დამაბნეველი სიტუაციაა სუბელიანის ყოფილ უწყებაში. დევნილების სამინისტროში დევნილები არჩევნების წინ ახსენდებათ. ფაქტია, დევნილის ხმა იგებს არჩევნებს. წლების მანძილზე უკანონოდ შეჩერებული დროებითი მისამართები, მხოლოდ არჩევნების წინ ახლდება და იწყება ქაოტურად დევნილების მიწერა ამა თუ იმ რეგიონში. იმ მიზნით, რომ დევნილმა შეძლოს ხმის მიცემა. ყოველგვარი ბერკეტის გარეშე ხდება როგორც კერძო, ასევე ორგანიზებული მისამართების გაცემა. მეტიც, წინა საარჩევნოდ, კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში ჩნდება ერთი ყოჩაღი, ხუთოსანი დევნილი, რომელიც უკეთებს ორგანიზებას დევნილების მისამართებს, ისინი მიჰყავს სამინისტროში. სამინისტრო კი უპრობლემოდ გასცემს ახალ მისამართებს. გარანტია აქვთ "ყოჩაღისგან", რომ ეს ადამიანები აუცილებლად შემოხაზავენ №5-ს. ასევე წინასაარჩევნოდ გალიდან გადმოჰყავთ დევნილები, რომლებსაც ამისამართებენ კომპაქტურ მისამართებზე ხუთიანის შემოხაზვის სანაცვლოდ. ასევე წინასაარჩევნოდ, სამინისტროში იწყება ერთჯერადი ფულადი დახმარებების გაცემა, დევნილებით ჩასახლებული ობიექტების მოპირკეთება და ქონების საკუთრებაში გადაცემა. ასევე მნიშვნელოვანია ერთი დეტალი: წინა საარჩევნოდ, ხშირ შემთხვევაში, დევნილის მოწმობაზე ხდება დროებთი მისამართის გრაფაში მხოლოდ რეგიონის დასახელება ანუ უმისამართო მისამართი. ამ მოწმობით კი პირს უფლება აქვს აღნიშნულ რაიონში მისცეს ხმა.

დევნილები პრინციპით – დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამს, იყენებენ ამ შანსს. შიშით, ესეც არ დავკარგოთ რაც გვაქვსო, ერთადერთ ხმას აძლევენ ხელისუფლებას. მათ არ სჯერათ მოქმედი ხელისუფლების. მათ უკვე არც იმის სჯერათ, რომ ხელისუფლება მომავალ ახალ წელს სოხუმსა და ცხინვალში შეხვდება. ისინი დაიღალნენ მუდმივი დაპირებებით.

გვესაუბრება დევნილი, რომელმაც გვთხოვა, არ გავამჟღავნოთ მისი ვინაობა:

-რა ვქნა, მეშინია. უამრავი პრობლემა მაქვს. ვიცი, რომ ამ ტყუილში ვცხოვრობთ 20 წელია. ერთადერთი, რაც მინდა, ეს აფხაზეთში დაბრუნებაა. შემოვხაზავ "5"-ს. შვილები მყავს, მათ სამსახური უნდათ. რა ვქნა? არავინ გვეხმარება. 10 კვადრატში ცხოვრებასაც შევეგუე. ამათი 28 ლარიანი დახმარება მეყოფა? ვიცი, გვატყუებენ. როგორც უნდათ ისე გვექცევიან. მითხრეს ბინას მოგცემთო. რომ ვკითხე – სად-მეთქი? რა მნიშვნელობა აქვსო. შენ ხმა მოგვეცი და მერე გეტყვითო. აი, ასეთ შიში ვართ. იძულებით მივცემ ხმას, აბა, რა გავაკეთო?

საუბრის გაგრძელება აღარ ისურვა რესპონდენტმა. შიშს დიდი თვალები აქვს. დაშინებულ დევნილებს კი თავს ზევით ძალა არ აქვთ. ხელისუფლება კი კონფრონტაციას უწყობს ხელს. გახლეჩილ საზოგადოებას უფრო მეტად აპირისპირებს ერთმანეთთან და მხოლოდ პიარზე მუშაობს. მხოლოდ კამერების წინ ნიანგის ცრემლებით ტირის პრეზიდენტი. ჩაივლის არჩევნები და სახელმწიფოს ხერხემალი, ანუ საზოგადოება ავიწყდებათ.

არჩევნებამდე კი ახსენდებათ იძულებით გადაადგილებული პირები. არჩევნების შემდეგ კი მათი პრობლემა პრობლემად რჩება. დევნილის ხმა აღარ ესმის და აღარ ადარდებს ხელისუფლებას. ის უკვე მის ჯიბეშია მომავალ არჩევნებამდე.

კიდევ ერთი დევნილი აფიქსირებს თავის აზრს, მხოლოდ იმ იმედით, რომ ინკოგნიტოდ დარჩება:

-უკვე ერთი თვეა მინისტრთან შეხვედრას ვითხოვ. მინისტრამდე ვერ მივედი. მას ჩვენთვის არ ცალია. ამათი იმედი როგორ უნდა მქონდეს. არ მინდა, მაგრამ იძულებული ვარ, უცხოეთში წავიდე. აბა, აქ 28 ლარზე როგორ ვაცხოვრო ცოლ-შვილი? ამათი იმედი არ მაქვს. ესენი ჩვენ ვერ დაგვაბრუნებენ ჩვენს სახლებში. ხანდახან იმასაც ვფიქრობ, რომ სოხუმში დავბრუნდე. არ მაინტერესებს, რას იტყვიან ჩემზე. თუნდაც მოღალატე და ერის გამყიდველი მეძახონ. ცოლ-შვილს შიმშილით ხომ არ მოვკლავ?

გაღიზიანებული დევნილები სამინისტროს ეზოში ერთმანეთს უზიარებენ აზრს და ამით გაჰყავთ დრო. იციან, ხელისუფლება მათ პრობლემებს ვერ მოაგვარებს, მაგრამ რა ქნან, ხანდახან ტყუილი დაპირებაც სტიმული. ხომ უნდა იცხოვრონ, უფრო სწორად ხომ უნდა იარსებონ.

ისევ "უსახელო" დევნილი:

-ახლობელი გარდაიცვალა რუსეთში. დღემდე გვპირდება სამინისტრო ფულს გამოვყოფთ და გადმოსვენებაში დაგიდგებით გვერდითო. ახლა არჩევნები ახლოვდება და იმედი მაქვს, ფულს გაიღებენ. მის სანაცვლოდ კი შემოვხაზავ "5"-ს. აბა, რა ვქნა. ჩვენს მიცვალებულს უპატრონოდ ხომ არ მივაგდებთ. ფული ამათ აქვთ, ჩვენ კი იმას ვაკეთებთ, რაც მათ უნდათ.

მჯერა-არ მჯერას პრინციპია ქვეყანაში. აარ სჯერა დევნილებს, მაგრამ ხმას ნაციონალებს მისცემენ. რატომ? პასუხი მარტივიაშიში. აღარ უნდათ მესამედ დევნილობა. ამ შიშის ფონზე, წინასაარჩევნოდ, დევნილთა მონაცემების ბაზა ყველაზე ბოლოს შედის ცესკო-ში. დამუშავებული, მოწესრიგებული და გარანტირებული ხმები კი ხელისუფლების ჯიბეშია.

იციან დევნილებმა, ყველაფერი იციან, მაგრამ ... ნება თავისუფალია! სამიოდე კვირაში საქართველოს მოქალაქეები არჩევანს გააკეთებენ, უფრო სწორად, გააკეთებინებენ!

**ქეთი ყველაშვილი**










## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ხარატიშვილს!

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა




ბატონო ზურაბ!

2012 წლის 12 აგვისტოს „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 113-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგინეთ „უფლის სახელით — უფალია ჩვენი სიმართლე“-ს მიერ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია, საერთო რაოდენობით 26 896 (ოცდაექვსი ათას რვაას ოთხმოცდათექვსმეტი) ხელმოწერა.

2012 წლის 16 აგვისტოს ცესკოს შესაბამისი სამსახურის მიერ აღნიშნული სიის შემოწმების შედეგად მიზეზთა გამო გაბათილებული იქნა 11 322 (თერთმეტი ათას სამასოცდაორი) ხელმოწერა და დარჩა 15 574 (თხუთმეტი ათას ხუთას სამოცდათოთხმეტი) ხელმოწერა.

დაფიქსირებული ხარვეზის შესავსებად განკუთვნილი დროის ვადაში, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. ჩვენს მიერ შეგროვილი და თქვენდამი 2012 წლის 18 აგვისტოს წარმოდგენილი „უფლის სახელით — უფალია ჩვენი სიმართლეს მიერ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიის საერთო რაოდენობა გახლდათ: 12 339 (თორმეტი ათას სამას ოცდაცხრამეტი).

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ 2012 წ. 18 აგვისტოთი დათარიღებულ აქტში, კერძოდ, ვკითხულობთ „თანამიმდევრობით სულ შემოწმდა 412 ფურცელზე 12 339 (თორმეტი ათას სამას ოცდაცხრამეტი) ხელმოწერა; შემოწმების შედეგად გაბათილდა 113 ფურცელზე 3390 (სამი ათას სამას ოთხმოცდაათი) ხელმოწერა და დარჩა 8 949 (რვა ათას ცხრაას ორმოცდაცხრა) ხელმოწერა“.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ქ-ნ ელისაბედ ველიძის მიერ იქვე გაკეთებული ზეპირი განმარტებით ირკვეოდა, რომ ბლანკზე ხელმოწერების შეგროვებისათვის პასუხისმგებელ პირთა მიერ მათი ხელმოწერის თარიღი, თითქოსდა, არასრულად იყო მითითებული, რამეთუ მაგ. წერია — „17.08.12 წ.“ რაც არასრულია, და უნდა ეწეროს —„17.08.2012 წ“- იო.

მაშასადამე, გამოდიოდა, რომ ჩვენთვის უკვე ჩათვლილ — 15 574 (თხუთმეტი ათას ხუთას სამოცდათოთხმეტ) ხელმოწერას, ემატებოდა „მხოლოდ“ — 8.949 (რვა ათას ცხრაას ორმოცდაცხრა) ხელმოწერა. რაც ჯამში გვაძლევს 24. 523 (ოცდაოთხი ათას ხუთას ოცდასამი) ხელმოწერას და ასეთი „ოპერაციის“ შედეგად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 113-ე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ 25 000 სავალდებულო ხელმოწერას „აკლდებოდა“ — 477 ხელმოწერა, ანუ ჩვენ აღარ გვეძლეოდა საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირების უფლება.

ბატონო ზურაბ!

აღნიშნულთან მიმართებაში თქვენს მიერ მიღებულ №51-2012 განკარგულებაში, ჩვენთვის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლად — საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 38-ე მუხლის მე-4 პუნქტის განსაზღვრული მოთხოვნების არადაკმაყოფილების მითითება ზუსტად არ ასახავს სინამდვილეს.

როგორც მოგეხსენებათ, ხსენებული მუხლი გვაუწყებს:

—„4. ბათილია ყველა ხელმოწერა, შესრულებული იმ ბლანკზე, რომელიც დადასტურებული არ არის ხელმოწერების შეგროვებისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ, ან რომელშიც მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული ამ კანონის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები“ (მუხლი 38,4), ხოლო:

—„4. მხარდამჭერთა სიის ბლანკში მითითებული უნდა იყოს ხელმოწერების შეგროვებისათვის პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით) და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, აგრეთვე ბლანკის შევსების თარიღი და დადასტურებული უნდა იყოს ამ პირის ხელმოწერით“ (მუხლი 37.4);

ამასთანავე, ხელმოწერის შესრულების თარიღთან მიმართებაში, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 38-ე მუხლის 3-დ პუნქტი გვაუწყებს:

—„3. მხარდამჭერთა სიაში ამომრჩევლის ხელმოწერა ბათილად მიიჩნევა, თუ:

დ) ხელმოწერის თარიღი მითითებული არ არის ან არ ემთხვევა ამ კანონით განსაზღვრულ მხარდამჭერთა სიის შედგენის ვადას“.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მხარდამჭერთა ხელმომწერი ბლანკები საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ ყველა მოთხოვნათა სრული დაცვითაა შესრულებული, კერძოდ კი ყველგან მითითებულია. ხელმოწერის თარიღი, რომელიც ზუსტად ემთხვევა „ამ კანონით განსაზღვრულ მხარდამჭერთა სიის შედგენის ვადას“.

წერია —„17.08.12 წ.“ რაც არასრულია, და უნდა ეწეროს —„17.08.2012 წ.“.იო.

იგი (ეს ე.წ. ხარვეზი) არ შეიძლება გახდეს ჩვენი პ-გ საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, როგორც მე —„17.08.12 წ.“, ასევე — „17.08.2012 წ.“, ერთმანეთის იდენტურია და ზუსტად განსაზღვრავს, რომ ხელმოწერა შესრულებულია მიმდინარე ორი ათას თორმეტი წლის 17 აგვისტოს.

შესაბამისად, ჩვენს პ-გ „უფლის სახელით— უფალია ჩვენი სიმართლეს ექნება არა — 24.523 (ოცდაოთხი ათას ხუთას ოცდასამი) ხელმოწერა, არამედ — 27 913 (ოცდაშვიდი ათას ცხრაას ცამეტი) ხელმოწერა, რაც სრულ საფუძველს იძლევა პ-გ-ს „უფლის სახელით — უფალია ჩვენი სიმართლე“-ს საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირებისათვის.

ბატონო ზურაბ!

ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ჩვენი პ-გ „უფლის სახელით — უფალია ჩვენი სიმართლე“-ს საარჩევნო სუბიექტად არდარეგისტრირების თაობაზე, თქვენს მიერ — 2012 წლის 20 აგვისტოს მიღებული №51-2012 განკარგულება ჩვენ მხოლოდ — 2012 წლის 24 აგვისტოს გადმოგვეცა.

აღნიშნული №51-2012 განკარგულების მიღებიდან მისი ჩვენთვის მხოლოდ მე-4 დღეს ჩაბარებისა გამო ჩვენ შეზღუდულნი აღმოვჩნდით გამოვიყენოთ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-9 თავით (საარჩევნო დავის განხორციელება) განსაზღვრული, ჩვენთვის კანონით მინიჭებული — გასაჩივრების 2-დღიანი ვადის უფლება (77-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 78-ე მუხლის მე-10 პუნქტი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით — გაითვალისწინოთ ზემოთქმული და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თქვენთვის მინიჭებული უფლებით მიიღოთ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში ჩვენი პ-გ „უფლის სახელით — უფალია ჩვენი სიმართლე“-ს საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირების გადაწყვეტილება.

იმედი გვაქვს თქვენგან მივიღებთ ზემოთ წამოჭრილი კითხვების შესაბამის პასუხს.

პატივისცემით

*„უფლის სახელით — უფალია ჩვენი სიმართლე“-ს ხელმძღვანელი*
*„სამართლიანობის აღდგენის კავშირის ხმა ერისა: „უფალია ჩვენი სიმართლე“-ს „ლასკარის“ თავმჯდომარე*
***მიხეილ (გელა) სალუაშვილი***

*თბილისი, 2012 წლის 26 აგვისტო*

# is raprezidentia, romelic Tavis xalxs danapirebs ar usrulebs da yovel fexis nabijze atyuebs?

ჩვენმა პრეზიდენტმა ამასწინანდელ ბათუმის მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა: ხალხი, ისევ ძველ, კომუნისტების დროს მისტირის, ნეტავ, იმ დროში კარგი რა ნახეს? დენი მაშინ არ იყო და გაზი, წყალი მაშინ არ გვქონდა და გზა. ტანის დაბანა რომ მომინდებოდა, წყალს, ვედროთი ვაცხელებდი და „ფრ-ფრ“ ასე ვისხამდიო. თავს ზევით ხელის აწევით აჩვენა წყლის დასხმა.

მიშა, შეიძლება, პრეზიდენტი კაცი, ასეთი მამალი ტყუილების თქმას კადრულობდეს და მოსახლეობის წინაშე თავს ირცხვენდეს? თუ დაგავიწყდა სტალინის მიერ შექმნილ იმ ბრწყინვალე სოციალისტური ფორმაციის დროს კარგი რა იყო და რატომ მისტირის მას ჩვენი მოსახლეობა? შეგახსენებთ: — იმ სისტემის დროს ქართველი კაცი, მათხოვარი არ მინახავს, რასაც ვერ ვიტყვი, დღევანდელი, შენი კაპიტალისტური სისტემის ყოფის, რადგან ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხელებგაშვერილები დგანან. პრეზიდენტ კაცს, იმ სისტემაზე აუგის სათქმელად ენა როგორ გიბრუნდება! რადგან მაშინ ვისაც მუშაობა უნდოდა ყველას თავისი საინტერესო სამუშაო ჰქონდა. (ახლა მილიონი წელიც რომ გავიდეს, ის დასაქმება აღარასოდეს აღარ იქნება). მაშინ უმუშევარი არ არსებობდა, რადგან თითქმის ყველა ფაბრიკა-ქარხნების შესასვლელებში გამოკრული იყო სიები, გვჭირდება ესა და ეს სპეციალისტებიო. ამა თუ იმ ფაბრიკაში, ან ქარხანაში სამუშაო თუ არ მოეწონებოდა, მეორეში გადადიოდა. თუ ერთ საპროექტო ორგანიზაციაში არ მოეწონებოდა სამუშაო, მეორეში, ან რომელიმე სამმართველოში შოულობდა



თავისთვის შესაფერის ადგილს, ან სულაც რომელიმე კვლევით ინსტიტუტში მოეწყობოდა და ა.შ. რომლებიც შენ გააუქმე და შენობები დაყიდე.

საცხოვრებელი ბინები ცენტრალიზებულად თბებოდა, ზამთარში, ბინაში, ისეთი შემაწუხებელი სითბო იყო, რომ სითბოს შემომავალ მილებზე, ონკანებს ვკეტავდით. წყლის ონკანს გადავაბრუნებდი — ცივი წყალი მოდიოდა, გადმოვაბრუნებდი და ცხელი წყალი მოჩქრიალებდა. დენი 4 კაპიკი ღირდა, გაზი, თუ გინდა ათასი კუბი დაგეხარჯა, 20 კაპიკზე მეტს არავინ მთხოვდა და მთლიანად ყველა სახის კომუნალური ხარჯები 5 მანეთზე მეტი არ მიჯდებოდა. ახლა კი ზამთარში, მარტო კომუნალური გადასახადი, 400 ლარზე ადის. მაშინ მინიმალური პენსია 80 მანეთი რომ იყო, იმ ოთხმოცმანეთიან პენსიონერსაც კი ცხოვრება კაცურად შეეძლო, აღარ ვლაპარაკობ 140 მანეთიან პენსიონერებზე, რასაც ის 80-მანეთიანი პენსიონერი იძენდა, დღევანდელმა პენსიონერმა იგივე პროდუქტები რომ შეიძინოს, მას 640 ლარი უნდა ჰქონდეს, რადგან მაშინ კილოგრამი ხორცი 2 მანეთი ღირდა და 80 მანეთად 40 კილო ხორცს ყიდულობდა, რასაც დღევანდელი კურსით 640 ლარი სჭირდება. ამიტომ სტალინის მიერ შექმნილ სოციალიზმში ცხოვრება, ყველასათვის საამური იყო და იმიტომ მისტირიან იმ ყოფას, რადგან მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული ფორმაცია იყო სოციალიზმი. ამიტომაც ახლა, ჩვენი მოსახლეობა ამბობს: — თურმე კომუნიზმში გვიცხოვრია, და ჩვენ კი, ვერა ვხვდებოდითო. ახლა კი, ვინც ხალხის მიერ შექმნილი ქონება დაიტაცა, კომუნიზმში არიან იმ ქონების შემქმნელები კი ჯოჯოხეთში.

თქვენგან ნალანძღი სოციალისტური სისტემის დროს ამ ხნის კაცს მე არ მახსოვს კომუნისტებს რომელიმე ოჯახისთვის ან გაზი ჩაეჭრათ და ან დენი გამოერთოთ. თქვენგან ნაქებმა კაპიტალისტებმა კი ჩემი კარის მეზობლებს ოთხსულიან ოჯახს, რომლებსაც ორი მცირეწლოვანი — 8 და 10 წლის ბავშვები ჰყავთ, 4 წლის წინ (როდესაც ეს ბავშვები 4 და 6 წლისანი იყვნენ) გაზი რომ გამოურთეს, ეს ოჯახი დღესაც ზამთარში გათბობის გარეშეა, ბავშვები სკოლიდან რომ მოდიან ლოგინში წვებიან და ისე თბებიან. ამ ოჯახს დღესაც დენი გამორთული აქვს. ბავშვები, საღამოთი, სხვის განათებულ ფანჯრებს რომ უყურებენ, დედას ეუბნებიან: — რა ბედნიერები არიან ის ბავშვები, ვისი ფანჯრებიდანაც ელექტრონის შუქი გამოკრთისო. შეიძლება მოსახლეობის ასეთ ყოფაში ყოფნის დროს მისი პრეზიდენტი თავს იწონებდეს?!



ბატონო მიხეილ, მე რომ პრეზიდენტი ვიყო, მივიდოდი იმ ოჯახში, ამ მწარე სინამდვილეს რომ ვნახავდი, იმავე ოჯახში თავს ჩემი საკუთარი ხელით მოვიკლავდი, რომ შენს გაუმაძღარ და უსულგულო კაპიტალისტებს, ეგება, პატარა სინდისის ქენჯნა ეგრძნოთ.

სამაგიეროდ, დღევანდელი შენი „ელიტა“ — პარლამენტარები, სამინისტროების მუშაკები, გამგებლები და სხვა. ამ კაპიტალისტურმა სისტემამ ბედნიერზე ბედნიერებად აქციეს. თითქმის ყველა მათგანმა სასახლეები აიშენა და 100 ათასები რაში დახარჯონ, აღარ იციან. მათ ხალხიც და ქვეყანაც ფეხებზე ჰკიდიათ. ამიტომაც თქვენც და თქვენს გარემოცვასაც, კომუნისტების და სოციალიზმის სახსენებელიც კი გეზიზღებათ. კომუნისტების მიერ დღე და ღამე ოფლისმღვრელი შრომით აშენებული სოციალიზმის ქონებით, უშრომელად რომ გამილიონერდით, რა თქმა უნდა, თქვენ იმ ინფორმაციის გახსენებაც არ გინდათ, ამიტომაც არის, რომ თქვენ იმ სისტემას ავადსახსენებელს ეძახით. ხოლო ჩვენ, ვინც ის სოციალიზმი ავაშენეთ და ვიმეორებ, ვის მიერ შექმნილი ქონებითაც თქვენ გამილიონერდით, ამ სიმდიდრის შემქმნელებს ჩარეცხილებს გვეძახით.

დიდად შეამაყება, რომ ჩემი თავდადებული, 52-წლიანი შრომით სოციალისტურ საქართველოს ისე ვემსახურე, რომ ერთი კაპიკიც კი, ჩემი ხელფასით, ჩემი პრემიით და ჩემი გამოგონებებით — ჰონორარის სახით, სახელმწიფოს სალაროდან არ მიმიღია. ე.ი. რასაც მე სახელმწიფო არ მაძლევდა, ანუ ბინძური ფულისთვის ხელი არასოდეს არ მომიკიდია. მიშა,



ალბათ, შენც და შენი ნაცებიც იტყვიან — ე.ი. საშუალება არ გქონდა და იმიტომ არ აგიღიაო. არა, ჩვენო უძღებო შვილებო, მაშინ მე რის საშუალებაც მქონდა, ის რომ თქვენ გქონოდათ, თქვენი ღორული მოთხოვნილების გამო დღეს ყველა თქვენგანი, მილიარდერი იქნებოდით.

1980 წლიდან 1990 წლამდე ელმავალმშენებელ ქარხანაში 105 მილიონი მანეთის გენერალური რეკონსტრუქცია მიდიოდა (რაც მაშინ, იმ 105 მილიონი მანეთით კეთდებოდა, დღეს იმას 2-ჯერ 105 მილიარდი დოლარითაც ვერ გააკეთებ). ამ რეკონსტრუქციის განყოფილების უფროსი ვიყავი მე, მიშა, ალბათ, ყველა შენი ნაცი იტყვის, მაშინ სულელი ყოფილაო. ჩვენო მომხვეჭელებო, სულელები გამოგონებებს ვერ იგონებენ. (ექვსიოდე წლის წინ სრულიად შემთხვევით, რუსულ ჟურნალში, ჩემი ერთ-ერთი გამოგონება, რომელიც მე 1972 წელს ცხოვრებაში დავნერგე, იაპონელების ერთ-ერთ ინსტიტუტს, 34 წლის შემდეგ გამოუგონია. ე.ი. რაც მე, რამოდენიმე ათეული წლის წინ, ცხოვრებაში განვახორციელე, იმას იაპონიის ინსტიტუტის ტვინი 34 წლის შემდეგ ჩასწვდა და 250 მილიონი დოლარის ეკონომია მიიღო, მაშინვე ავიღე ჩემი გამოგონების მოწმობა და ჟურნალით ხელში მივედი საქპატენტში — რადგან ჰონორარი, როგორც პირველ გამომგონებელს, კანონით მე მეკუთვნოდა, სადაც მითხრეს: — ჰო, ვხედავთ, რომ გამოგონების ავტორიც თქვენა ხართ და კანონით ჰონორარიც თქვენ გეკუთვნით, მაგრამ ამ უსუსურ საქართველოს იმხელა იაპონიასთან ჭიდილი არ შეუძლია. ისევ საბჭოთა კავშირი რომ იყოს, მაშინ კი დედას ვუტირებდითო).

აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, ჩემი ქვეყნის მთლიანობის დასაცავად მაშინვე გამოვცხადდი ლენრაიონის სამხედრო კომისარიატში. მაგრამ კომისარმა ბილანიშვილმა 58 წლის ასაკის გამო არ გამიშვა, რეზერვში ჩამწერა და მითხრა: — ღმერთმა არ ქნას, თქვენი ასაკის ხალხი დაგვჭირდეს, თუ დაგვჭირდით, დაგიძახებთო. ვინაიდან მე არ წამიყვანეს, ჩემი გამოგონებებით მოგროვილი ჰონორარი — 72 ათასი მანეთი, ბოლო კაპიკამდე სულ აფხაზეთის თავდაცვის ფონდში ჩავრიცხე.

იმ სოციალისტური სისტემის დროს ჩვენ „ჩარეცხილების“ 90 პროცენტი, დღედაღამ მუხლჩაუხრელად ვშრომობდით და წყობას— სოციალიზმს იმიტომ მისტირის მოსახლეობა. თქვენ თქვენი ღორული მოთხოვნილებების გამო რიგით მოქალაქეებს ცხოვრება ჯოჯოხეთად გვიქციეთ.

**ავთანდილ ქურხული**

# მსოფლიოს 10 ცნობილი ნარკომანი



**1. ფროიდმა კოკაინი** 1884 წელს გასინჯა და გაოგნებული დარჩა მისი შედეგებით. ამ ნივთიერების გამოყენების შემდეგ მოეხსნა დეპრესია, დაუბრუნდა საკუთარი თავის რწმენა.

ახალგაზრდა ზიგმუნდმა სტატია გამოაქვეყნა სახელწოდებით „კოკაინის შესახებ“, სადაც იგი რეკომენდაციას უწევდა კოკაინს, როგორც ადგილობრივი გაუტკივარების საშუალებას, როგორც ასთმის, საკვებმომნელებელ წამალს, რაც დეპრესიასა და ნევროზებს შველის.

ფსიქოანალიზის მამამ იმ ხანებში ბევრი ნაშრომი გამოაქვეყნა კოკაინის თვისებების შესახებ, სადაც აღწერილი იყო ამ ნივთიერების მიღებით გამოწვეული ყველა რეაქცია. თუმცა ფროიდის დაინტერესება კოკაინით შემთხვევითი არ ყოფილა. ნარკოტიკის ბოროტად გამოყენების გამო დაიღუპა ფროიდის უახლოესი მეგობარი ენსტ ფონ ფლაიშლი.

მეგობრის სიკვდილამდე ფროიდი ცდილობდა ფლაიშლი განეკურნა ნარკოდამოკიდებულებისაგან და კოკაინის შენაცვლებით მკურნალობდა მას. მაგრამ მოხდა ისე, რომ ფლაიშლი ახლა კოკაინდამოკიდებული გახდა. მიიღო დიდი რაოდენობის კოკაინი და გარდაიცვალა.

მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ ზიგმუნდ ფროიდს. თვითონაც ბევრს ცდილობდა გაქცეოდა თეთრ ფხვნილს, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა.

## 2. ენდი უორხოლი – ობეტროლი



ობეტროლი არც თუ ისე გავრცელებული ნარკოტიკია. ამ კლასიფიკაციაში ადერალს უფრო იცნობენ. ამ უკანასკნელს რეცეპტით იძლევიან პაციენტისთვის, რომელსაც სამუშაოზე მეტი ყურადღება და შრომისუნარიანობა სჭირდება. პოპ ვარსკვლავი ენდი უორხოლი ობეტროლის აბებს ისე ყლაპავდა, როგორც „ტიკ-ტაკის“ მარცვლებს. მით უფრო, ასეთი ტიპის პრეპარატები ფსიქოლოგიურ არამდგრადობას, დეპრესიას, გულის მუშაობის შეფერხებას იწვევს. მაგრამ ობეტროლს კიდევ ერთი თვისება აქვს — ის სწრაფად იწყებს მოქმედებას და სწრაფადვე მთავრდება. რა უნდა ჰქნა ამ დროს? უნდა ყლაპო და ყლაპო აბები. შედეგი? ყოველთვის ფატალურია.

## 3. მაილზ დევისი — ჰეროინი



თქვენი არ ვიცი, მაგრამ მაილზ დევისი ჩემი უსაყვარლესი მუსიკოსია. მას „ჯაზის შავ ბარონსაც“ უწოდებენ. მე-20 საუკუნის ამ უდიდეს კომპოზიტორს სერიოზული პრობლემები ჰქ ქონდა ნარკოტიკებთან. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დროს იყო პერიოდები, როცა მუსიკოსი საერთოდ ვერ მუშაობდა. და ყველაფერ ამაში ნარკოტიკი იყო დამნაშავე. მაგრამ მაილზ დევისის უახლოესი მეგობრის, ცნობილი ბოქსიორის შუგა რეა რობინსონის დახმარებით ოთხწლიანი „ბრძოლის“ შემდეგ შეძლო გამომძვრალიყო ნარკოტიკული ჯურღმულიდან და დაბრუნებოდა შემოქმედებას.

## 4. ბალზაკი — კოფეინი



ბევრი თქვენგანი იტყვის, დილით ვერ ვფხიზლდები, სამუშაოს ვერ შევუდგები ჭიქა ყავა თუ არ დავლიეო. მაგრამ ეს არის ზუსტად ყავადამოკიდებულება და ეს „აწუხებდა“ სწორედ დიდ ფრანგ მწერალსაც. მოგეხსენებათ, ბალზაკი საკმაოდ ნაყოფიერი შემოქმედი იყო, იგი ყოველდღე საათობით მუშაობდა. ჰოდა. ფორმაში რომ ყოფილიყო, სვამდა ბევრ ყავას, ძილს რომ გაქცეოდა. მას უყვარდა თქმა — ეს სურნელოვანი ნაყენი ჩემს გონებაში არაჩვეულებრივ აზრებს ბადებსო. მაგრამ დღეს ითვლება, რომ სწორედ ყავის გადაჭარბებული მოხმარების გამო დაავადდა მწერალი გულის ავადმყოფობით, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა ახალგაზრდა ასაკში. ბალზაკი ხომ 50 წლისა გარდაიცვალა?! იგი დღეში ოც ჭიქა ყავას მიირთმევდა. ასეთ მდგომრეობას ყავადამოკიდებულება ანუ კოფეინიზმი ჰქვია და ტოქსიკომანიის ერთ-ერთი სახეა. იგი იწვევს გულსისხლძარღვთა დაავადებებს, ნერვული სისტემის დაავადებებს, თავის ტკივილებს, ძილის დარღვევას, ნერვულ აშლილობას, აღგზნებადობას, შფოთვას. ხშირად ადამიანს პესიმისტურ განწყობას უქმნის.

## 5. ლუის კეროლი — ოპიუმი



კეროლის ახალგაზოდობისას ოპიუმს ლაუდანუმს ეძახდნენ და ბევრი ადამიანი სვამდა ოპიუმს, როცა ოდნავ შეუძლოდ იყო, ან თავი სტკიოდა. არავინ დაფიქრებულა მაშინ იმაზე, რომ შეიძლებოდა ამ წამალზე დამოკიდებულნი გამხდარიყვნენ. ასე მოუვიდა ინგლისელ მწერალს ჩარლზ ლუტვიჯ დოდჯსონს, ლუის კეროლის სახელით ცნობილ ადამიანს. იგი მიგრენის მძიმე დაავადებით იტანჯებოდა. ტკივილის გასაყუჩებლად მწერალი ლაუდანუმს სვამდა. მით უმეტეს, რომ ადრეულ ბავშვობაში მას სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა. ნარკოტიკი კი „ეხმარებოდა“ მას კომპლექსის მოხსნასა და საკუთარი თავისადმი რწმენის დაბრუნებაში. როცა მის წიგნს „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ წაიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ ლუის კეროლი, ამ წიგნის წერისას ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იყო. თუმცა უნდა ითქვას, რომ სწორედ ნარკოტიკი იყო, რამაც მის ცხოვრებას სერიოზული ზიანი მიაყენა.

## 6. ედიტ პიაფი



ყველაფერს ილებდა. ცნობილია, რომ საფრანგეთის საყვარელი მომღერალი 1951 წელს სერიოზულ ავტოკატასტროფაში მოჰყვა. რომლის შედეგადაც მომღერალმა დაკარგა ხელი და ორი ნეკნი და საკმაოდ არასახარბიელო შესახედაობა მიიღო. ამის შემდეგ მიმართა მან მორფინს. სვამდა ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა. ამ საშინელ ავარიამდე ცოტა ხნით ადრე სწორედ ავტოკატასტროფაში დაიღუპა ედიტის საყვარელი ადამიანი. მომღერალს რეალობით გამოწვეული საშინელი დეპრესიისგან თავი რომ დაეღწია, ალკოჰოლს მიეძალა. თვითმკვლელობისგან იგი მეგობარმა ქალბატონმა იხსნა. ალკოჰოლიზმისგან განსაკურნებლად მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო. სასმელსა და დეპრესიას მომღერალმა თავი ვერ დააღწია. მიუხედავად ამისა, მომღერალი სცენაზე მაინც გამოდიოდა. თავის დიდ მწუხარებას სცენაზე გამოსვლისას ვერავინ ამჩნევდა, მაშინაც კი, როცა ის უკვე ფილტვის კიბოთი მძიმედ იყო დაავადებული და სუნთქვას უხუთავდა ყელში მიბჯენილი სისხლი.

## 7. მაგრამ იცით, თქვენ რომ უილიამ ფოლკნერი ალკოჰოლიკი იყო?



დიახ, სწორედ ის ამერიკელი მწერალი და ნოველისტი, რომელიც უნდა გითხრათ, დღემდე რჩება ჩემთვის უსაყვარლეს მწერლად და ლიტერატურული აზროვნების უგვირგვინო მეფედ. თუმცა, როგორც ამბობენ, სხვა არანაკლებ ცნობილ და სახელოვან ამერიკელ მწერლებსაც სტანჯავდა თურმე ეს საშინელი ჩვევა. ფრენსის ფიცჯერალდი, ერნესტ ჰემინგუეი, ედგარ პო, სინკლერ ლუისი, ინგლისელი პოეტი და დრამატურგი დილან ტომასი. ალკოჰოლი ძალიან ბევრი ცნობილი მწერლისთვის იყო ნარკოტიკი, რომელმაც შეიძლება ითქვას, მათ დიდი სიკეთე არ მოუტანა.

## 8. მარია კალასი — კუალუდი



ცნობილი ბერძენი ოპერის მომღერალი მარია კალასი საკმაოდ პუტკუნა ქალბატონი გახლდათ, მაგრამ თავისი კარიერის მწვერვალზე მან მომენტალურად დაკარგა წონა, ამბობენ, რომ ის სვამდა კუალუდს და სწორედ ამ აბებმა ჩამოაცილა ზედმეტი კილოგრამები, თუმცა ის ყოველთვის ირწმუნებოდა, რომ მისი სიგამხდრე მკაცრი დიეტის შედეგი იყო.

## 9. ტრუმენ კეპოტი



ტრუმენ კეპოტმა მწერლურ წარმატებას მაშინ მიაღწია, როცა არავინ ელოდა ამას, მაგრამ სწორედ ამ წარმატებამ დაღუპა იგი. ფუფუნება, ცხოვრების არასწორი წესი, ამავე დროს ბევრი სტრესი და ნერვიულობა იყო ის, რამაც ტრუმენ კეპოტი ალკოჰოლიზმამდე მიიყვანა. თუკი ვინმე მას სასმელს დაუმალავდა, მწერალი სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. ბოლო წლებში ის ნარკოტიკებს მიეძალა. სიკვდილის შემდეგ მწერლის სისხლში აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით ბარბიტურანი, ვალიუმი, ეპილეფსიის საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების კვალი.

## 10. ჰემფრი დევი



ცნობილი დიდი ბრიტანელი ქიმიკოსი და გამომგონებელი, რომელმაც უდიდესი აღმოჩენები გააკეთა ქიმიაში მიიჩნევდა, რომ აზოტი არ არის საწამლავი. ყოველივე ეს მან საკუთარ თავზე გამოსცადა. ჰემფრიმ დაიწყო აზოტის ყნოსვა და აღნიშნა, რომ აზოტის სუნმა შეიძლება ადამიანში სასიამოვნო განწყობაც გამოიწვიოს. იქედან მოყოლებული ქიმიკოსი ყოველდღე ყნოსავდა აზოტს და მით უფრო მეტად გრძნობდა მათრობელა ეფექტს, რაც მასში მხიარულ ჰალუცინაციებს წარმოქმნიდა. ამ „ზებუნებრივი გაზის“ ზემოქმედებით დაწერა ჰემფრი დევიმ ლექსები. ის ამ ლექსებში აზოტის მოქმედებით გამოწვეულ განწყობაზე ლაპარაკობდა.

ერთხელ, როცა სახელოვანმა ქიმიკოსმა გაზის 5 დიდი დოზა შეიყნოსა, 3 საათის განმავლობაში გონება დაკარგა, თუმცა გამოფხიზლების შემდეგ ექსპერიმენტები საკუთარ თავზე არ შეუწყვეტია. სწორედ ამან გამოიწვია მეცნიერის სერიოზული დაავადება და სიკვდილი.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**

## ასტროლოგიური პროგნოზი



**ვერძი** — ამ კვირში პროფესიონალური წინსვლა გელით. კონკრეტულად ეს შეიძლება იყოს ახალი სამუშაო ადგილი ან გასამრჯელოს მომატება.



**კურო** — მიმდინარე პერიოდში მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და შარმი, ეს კი საწინააღმდეგო სქესი ადამიანებს თქვენდამი სიმპათიით განაწყობს.



**ტყუპები** — თუ თქვენ გათავისუფლდებით გაორებისგან და ამასთან კონცენტრაციასაც მოახერხებთ, შესაძლოა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიოთ.



**კირჩხიბი** — კვირის პირველ ნახევარში მოსალოდნელია გარკვეული პრობლემები გაგიჩნდეთ და ეს, ძირითადად, დაკავშირებული იქნება თქვენს ემოციურ მდგომარეობასთან.



**ლომი** — მოერიდეთ მარტო მოქმედებას, თვით იდეებსაც მარტო ნუ დაგეგმავთ. ნებისმიერ საქმიან ურთიერთობაში უშუალობა და საქმისადმი პროფესიული მიდგომა გამოავლინეთ.



**ქალწული** — ამ პერიოდში მიიღებთ მეტად საჭირო ინფორმაციას, რომელიც თქვენს კარიერას სასიკეთოდ წაადგება, თუმცა ეს ინფორმაცია პრაქტიკულად უნდა გამოიყენოთ.



**სასწორი** — ამ კვირაში ნუ გამოიჩენთ ამბიციურობას და საკუთარ თავზე ნურც ზედმეტ პასუხისმგებლობას აიღებთ.



**მორიელი** — ნებისმიერ უმნიშვნელო წვრილმანს სერიოზულად მიუდექით, რათა უყურადღებობის გამო საბედისწერო შეცდომები არ დაუშვათ.



**მშვილდოსანი** — შესაძლებელია, საქმიანი ურთიერთობები დროებით დამუხრუჭდეს და იძულებით ცვლილებების გაკეთებაც მოგიწიოთ. ნუ აბობოქრდებით და პარტნიორებს ნუ დაუპირისპირდებით.



**თხის რქა** — იყავით აქტიური, ორიგინალური და ნებისმიერ ურთიერთობებში გულწრფელობა გამოიჩინეთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს გარშემომყოფებს გაუჩნდებათ სურვილი თქვენთან ურთიერთობა გაწყვიტონ.



**მერწყული** — ამ კვირაში თქვენი ყურადღება მთლიანად ოჯახურ პრობლემებზე გადაერთვება. ეს კი სამსახურებრივ საქმეებს დროებით უკან გადასწევს.



**თევზები** — მიმდინარე კვირაში „დასაჯდომად“ ნამდვილად ვერ მოიცლით და მთელ თქვენს ენერგიას ახალ და ამასთან, საინტერესო იდეების განხორციელებაზე დახარჯავთ.